

# ლიტერატურული გზეუტი

№12 (292) 16 - 22 ივლისი 2021

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



## ბათუ დანელია

### მკვდარი დედა

რამოდენიმე წელმა ჩაიარა,  
რაც აღარ მყავს დედა,  
მაგრამ ეს წლები  
მაინც ისე ჩავდივარ სოფლად,  
თითქოს დედასთან ჩავდიოდე  
და მკვდარი დედაც ისევ ისე მხვდება,  
როგორც ცოცხალი მხვდებოდა.  
დავსხდებით აივანზე და ვსაუბრობთ  
მე და ჩემი მკვდარი დედა,  
მაგრამ მეზობლებს  
მხოლოდ ჩემი ხმა მოესმით და  
ჰგონიათ ჩემ თავს ვესაუბრები  
და ზოგი, ალბათ, იმასაც ფიქრობს,  
გაუფრენია საწყალსო!  
ჩვენ კი ვსაუბრობთ: მე და დედა —  
მკვდარი დედა და ცოცხალი შვილი.  
ყველაფერზე ვილაპარაკებთ,  
აღარაფერი გამოგვრჩება  
და სალამოზე, მზის ჩასვლისას,  
ცაში ასვლის დრო რომ დაუდგება,  
ჩემი მკვდარი დედა ხმადაბლა,  
თითქმის ჩურჩულით მეტყვის:  
— შვილო, შენ ვიდრე აქ მარტო წვალობ,  
მე იქ, იმ ცაში რა მომასვენებს!  
და რომ ჩამოხვალ, სულ აქ დაგხვდები  
და ვისაუბროთ რაზედაც გვინდა,  
სუყველაფერზე ვილაპარაკოთ!

IV-V

შემდეგი ნომერი გამოვა  
ერთ კვირაში — 23 ივლისს

ვიქტორა და უზიპროვის კოლკოვნიკი

ვასილ ბესელია

საბინათმშენებლის ფანჯრიდან ვუყურებდი, ადმინისტრაციული კორპუსის წინ, მოედანზე, როგორ შემოტრიალებდა ნითელი „ზაპოროჟეცი“ და მტირალა ტირიფის ვარჯს შეეფარა. მანქანიდან გადმოსული სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი შენობის შემოსასვლელისკენ გამოემართა. ცოტა ხანში კადრების განყოფილების უფროსმა დამირეკა, მოქალაქეა მოსული დასაქმებულთან დაკავშირებით და თქვენთან შემოვიყვანო.

შემოვიდინე. ხარატი ვარო, მითხრა, ვიქტორ ლავი, მეექვსე თანრიგი მაქვსო, სახარატო ჩარხის გარდა, კიდევ ნებისმიერზე შემოძლია მუშაობაო.

გამიხარდა. ხარატები მაკლდა. — კორდინატულ-მიგმარხაზე შეგიძლია? — ვკითხე. მექანიკურ საამქროში ჩავედიო. კორდინატულ-მიგმარხაზე პრეცეიული ჩარხია, მის სიზუსტეზე გარემოს ტემპერატურა გავლენას ახდენს, ამიტომ ის ცალკე, დიდ ოთახში, გვედგა, სადაც, შეძლებისდაგვარად, ზამთარ-ზაფხულ თანაბარ ტემპერატურას ვიცავდით.

სახარატო ჩარხიც ვაჩვენე — ახალთახალი დახადგარი. თუ შეიძლება, ორივე ერთად დავდგათ, ერთდროულად ვიმუშავებ ორივეზეო. ჭკუაში დამიჯდა. სახარატო ჩარხის „კორდინატის“ ოთახში შეტანა და ვიბროსაყრდენებზე დაყენება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. ამაზეც ვიმუშავებო, მიმახედა რვა მეტრის სიგრძის უზარმაზარ სახარატო ჩარხისკენ, რომელსაც ძალიან იშვიათად ვიყენებდით და მასზე პერსონალურად ხარატის მიმაგრება არ ღირდა, თუმცა მაღალი კლასის სპეციალისტი სჭირდებოდა.

მოკლედ, ეს კაცი მომეწონა! — ადრე სად მუშაობდი, ვიქტორ? — ადრე — ავიაციონში, ერთი თვეა, წამოვედი. იქ სერიაზე ვმუშაობდი და ყელში ამომივიდა ერთი და იგივე საქმის კეთება... ჯოჯოხეთი იყო, სიგარეტს ვერ მონევიდი...

საუბარს შევეყვით. რუსი ვარო. სერპუხოვში ვარ დაბადებულიო. დედა ახლაც იქ ცხოვრობსო. მამა არ მახსოვსო. ქართულიც მშვენივრად ესმოდა, ოღონდ — ვერ დაპარაკობდა.

— კარგი, ჩააბარე საბუთები კადრებს. ვიქტორმა ხელი ჩამომართვა — დღესვე ჩავაბარებო.

— ხო, საიდან მოხვდი თბილისში? — ნასვლისას ვკითხე.

— ჯარში ვიყავი ლილოში, მერე დედაჩემმა მირჩია, საავიაციოში მივსულიყავი, იქ საერთო საცხოვრებელი ჩამწერდნენ და მუშაობას დამანყებინებდნენ. პროფტექნიკურიც იქ დავამთავრე. ერთოთახიანი ბინაც მომცეს.

— რა ხნის ხარ, ვიქტორ? — ოცდაათობმეტი შემისრულდება ერთ თვეში.

— ოჯახი? — ოჯახი? — ვნახოთ, ჯერ არაფერი ჩანს.

გამომემშვიდობა და წავიდა. მეორე დღიდან საქმეს შეუდგა. ჯერ სახარატო ჩარხი შეათრია „კორდინატის“ ოთახში. მერე ეს ოთახი ისე დაანკრილა და დააღება, ავ თვალს არ ენახებოდა. საიდუმლო საკეტისანი დიდი მეტალის კარადა მოიტანა, შიგ საკუთარი უნიკალური მჭრელი იარაღები შეაღება. ოთახის ერთ კუთხეში უნივერსალური გადასაწყობი საბარჯვების ტევადი კომპლექტი დადო. იქვე მიაწყო სახარატო ჩარხის რამდენიმე სხვადასხვა ზომის სამუშაო და ოთხმუშტა ვაზნები, მოძრავი ლუნეტი, გამყოფი თავი და თითქმის ყველაფერი, რაც დასჭირდებოდა. მოკლედ, დაფაცურდა.

სულ უფრო და უფრო მომწონდა ეს კაცი. გვიანობამდე რჩებოდა. ჩვენი ქარხანა ექსპერიმენტული იყო და ტარიფებით შეზღუდულები არ ვიყავით — ოთხას მანეთზე მეტი გამოსდიოდა. ჩემი — დირექტორის — ხელფასი მაშინ ორას ოცი მანეთი იყო.

დაახლოებით სამი თვე იქნებოდა გასული, ვიქტორმა, ცოლი მომყავსო, და ქორწილში თამადაობა მთხოვა.



მივულოცე. — რას ამბობ, კაცო, არ ვიცი მე სათამაოდო რუსული! — რუსული არც მინდა, ქართველი ქალი მომყავს. რუსი მარტო დედაჩემი იქნება, ნუ მეტყვი უარს, ბორისოვიჩ, სახელია ეს ჩემთვის!

რას ვიზამდი. დავთანხმდი. დიდებულად მოვილხინეთ. მშვენიერი პატარძალი გვეყავდა. ვიქტორიც არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. დედაც ძალიან ლამიანი ქალბატონი იყო, მიუხედავად ასაკისა, ყურადღებას იქცევდა. მეც, შემთვრალმა, ისე მშვენივრად ვაძლეგრძელე თავის მშობლიურ ენაზე, გაოცებული მიყურებდა. ქეიფი მეორე დღესაც გავაგრძელეთ. ვიქტორი პურმაროლიანი ბიჭი გამოდგა, არ იყო ასი გრამის კაცი.

საქალაქო კომიტეტიდან დარეკეს, სპეცგანყოფილების უფროსად ახალ კაცს გიგზავნიო და სამ დღეში მოვარო.

— ძველი მიდის? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— ძველს ვანიწაურებო, საავიაციოში გადაგვეყავს, ახალიც საავიაციოდან მოდის, ადგილებს ცვლიან!

სპეცგანყოფილებას უშიშროება აკომპლექტებდა, ჩემთან შეთანხმება მხოლოდ ფორმალურად იყო და მეტი არაფერი.

რამდენიმე დღეში მოვიდა. გადამდგარი პოლკოვნიკი ვარო, მითხრა, რუსეთში ვმუშაობდი, პენსიაზე გავედი და სახლში წამოვედიო. საბურთალოზე ვცხოვრობ ცოლთან ერთად, შვილები არ მყავს, კუკურა ვარ, ჩიჯავაძეო.

როგორც შევატყვე, რუსულად აზროვნებდა, წყვეტილად დაპარაკობდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა.

ვაჩვენე მისი სამუშაო კაბინეტი. ერთი ოთახიც მომეცი სადმეო, მთხოვა, ტახტს დავიდგამ და სამზარეულოს მოვიწყობ, დიაბეტი მაქვს, ჭამის მერე ცოტა ხნით წამონოლა მჭირდება, თავი მიბრუნისო.

ოთახიც მივეცი, ტახტიც და სხვა საჭირო ავეჯიც და ინვენტარიც. შინაურულად მოეწყო. საიდანდაც ერთი სეიფიც მოატანინა ბიჭებს და ისიც მოსასვენებელ ოთახში დაიდგა.

ასაკის მიხედვით მამად მეკუთვნოდა. ძალიან განათლებული კაცი გამოდგა. ერ-

თი სიამოვნება იყო მასთან საუბარი. დათასი არ იყოს, სულ მიკვირდა, ასეთი კაცები რატომ მიდიოდნენ იმ საზიზღარ უშიშროების სამსახურში. ისიც არ მესმოდა, რას ვაკეთებდით ჩვენ ისეთს, მუდმივი თვალთვალი რომ გვჭირდებოდა.

ტანსრული კაცი იყო, მაღალი, წარმოსადეგი. სპორტს მივსდევდი, მაგრამ დიაბეტმა დედა მიტირაო, გულის პრობლემები მაქვსო.

ყოველდღე ჩადიოდა საამქროში, ყველა მუშასთან მიდიოდა, კუთხე-კუთხულს არ ტოვებდა, მოიფლავდა საწყობს, საკომპრესორს, გალვანურ და სამღებრო საამქროებს, ხის დამამუშავებელ უბანსაც სტუმრობდა.

კინაღამ დამავიწყდა, დაცვის სამსახურში ახლები მოიყვანა, ძველები მუშებად გადამაყვანინა.

ვიქტორთან დიდხანს ჩერდებოდა, ხელობას უქებდა. ეს მაგარი ბიჭი გყავსო, მეუბნებოდა, ასეთ სპეციალისტს ნებისმიერი ქარხანა ინატრებსო. მახსოვს ეს ბიჭი, საავიაციოში მუშაობდა, ნეტავ, რატომ წამოვიდაო...

სექტემბრის ერთ საღამოს დამირეკეს, ხვალ დილით 7 საათზე ქარხანაში მობრძანდითო. მუშაობას რვაზე ვინცებდით და გამიკვირდა. რა არ ვიფიქრე, ღამე არ დამეძინა, არ იყო სასიამოვნო ზარი.

შავი „ვოლგით“ ამობრძანდნენ. ვიცანი უშიშროების მანქანის სერია. კუკურაც მათთან იყო. ცალკე „თიგულში“ მილიციელები ისხდნენ.

დაველოდოთ მუშებსო, გვითხრა მანქანიდან გადმოსულმა ოპერჯგუფის შეფმა. შორიდან ვიცილობდი ამ კაცს, დაუნდობელი მუშაკის სახელი ჰქონდა.

რვამდე გარეთ ვიდექით. შევიდნენ თუ არა მუშები, ჩვენც შევეყვით. შეფი პირდაპირ „კორდინატის“ ოთახს მიადგა. ვიქტორი ტანსაცმელს იცვლიდა და ტრუსის ამარა იდგა.

— აბა, გააღე ეს შკაფი! — უბრძანა შეფმა.

ვიქტორმა ფერი დაკარგა. ხელები აუკანკალდა, შარვლიდან გასალები ვერ ამოიღო, მერე, როგორც იქნა, მოახერხა, მაგრამ ახლა საკეტს ვერ მორარგო.. ორჯერ გაუვარდა ხელიდან...

— იქნებ დირექტორმა სცადაოს! — დაიქუხა ისევ შეფმა.

მე საამქროს უფროსს თვალთ ვანიშნე, მიხმარებოდა ვიქტორს.

როგორც იქნა, გაიღო კარადა. ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც, როგორც ჩანს, ამ საქმისთვის იყო მოყვანილი, ხელთათმანები გაიკეთა, რაც კარადაში რკინები იდო, თითო-თითოდ გამოალაგა და იქვე მდგარ „ვერსტაგზე“ დაანყო.

შეფი შეიმშუმნა, შევატყვე, რალაც არ მოენონა. მოძებნე ყველგანო, უყვირა თავის ხელქვეითს, მაგრამ აღარ დალოდებია, საამქროდან ჩქარი ნაბიჯით გავარდა.

ვიქტორი გაზინთულ სკამზე თეთრი საცვლით იჯდა და კანკალებდა.

— რა უნდოდათ, ვიქტორ? — ვკითხე. მხრები აიჩეჩა. ხმას ვერ იღებდა.

დაანებე თავი, გაუფლისო, მითხრა კუკურამ.

— არა, ბორისოვიჩ, რას უნდა ვჩალიჩობდე!

— აბა, რალა მაინცდამაინც შენ მოგადგენ?

— არ ვიცი, ბორისოვიჩ, ხომ ნახეთ, ვერაფერი იპოვეს!

— და რას ეძებდნენ?

— არ ვიცი, მართლა არ ვიცი... ვიფიქრე, რომ საამქროში ვიქტორს ვილაცემტერებოდა და უშიშროებაში იმ იმედით ჩაუშვა, რამეს მაინც უპოვნიანო!

ეს ამბავი მალე მივივიწყეთ. ვიქტორი ისევ ვირტუოზულად მუშაობდა, ოღონდ ახლა კარადის კარს არ კეტავდა.

კუკურამაც შეამჩნია — ხედავ, შკაფს არ კეტავსო...

ერთ დღეს კუკურა ვიქტორთან შევიდა და სკამზე დაჯდა. ფერი არ ედო. მოიკრუნჩხა, გულზე მიჭერს, ვერა ვარ კარგად და სასწრაფოში დარეკეო, უთხრა.

როცა სასწრაფო მოვიდა, ცოცხალი იყო, მერე ერთი ამოიხენება და ვიქტორას ხელეში დალია სული.

გასვენებაზე მთელი უშიშროების კომიტეტი მობრძანდა.

მუხიანის სასაფლაოზე დაკრძალეს. ორმოცის მეორე დღეს კუკურას მეუღლემ ქარხანაში ღვინო და პურმარული გამოგზავნა. მომტანმა კარგა მორზდილი გასალები გადმომცა, ეს კუკურას ჯიბეში დებია და მეუღლემ თქვენთან გამომატანაო. ვიცანი, იმ სეიფის გასალები იყო, მოსასვენებელში რომ ედგა. გამოვართვი და მაგიდაზე დავაგდე. კარგა ხნის მერე, მაგიდის დალაგებისას, ისევ წავანყდი. შევალ, ერთი, ვნახავ, რა დევს იმ სეიფში-მეთქი, ვიფიქრე.

ოთახში ბნელოდა. შუქი ავანთე. რამდენიმე წიგნი მომხვდა თვალში. კარადა გავაღე. შიგ რალაც მეტალის ნაკეთობები იდო. დავაკვირდი და თვალს არ დავუჯერე — ეს იყო თვითნაკეთი „ნაგანის“ დეტალები. ოთახი შიგნიდან ჩავეკეტე და ყველაფერი მაგიდაზე დავაწყვე. ექვსვაზნიანი დოლურები, კორპუსში ჩასასმელი ხრახნიანი ლულები... ცოციები, ჩახმახები, კავეები, ბარბაცები, შომპოლები, ჩარჩოები უზუსტესი ფანჯრით... მოკლედ — თითქმის ყველაფერი. დეტალები ოქსიდირებულიც იყო.

ავიღე ერთი ცალი დოლურა, გამოვკეტე ოთახის კარი და კაბინეტში შევედი. სასწრაფოდ ლავეი ამომიყვანე-მეთქი, ვუთხარი მდივანს.

ვიქტორი ჩვეულებრივად, ღიმლიანი შემოვიდა.

— რა არის ეს? — ვუთხარი და „ბარაბანი“ ცხვირწინ დავუტრიალე.

კი შეცბა, მაგრამ მალე გამოერკვა, დოლურა გამომართვა და შეათვალეიერა.

— რევილვერის ბარაბანს ჰგავს, — მითხრა ნირნამხდარმა.

— რას მუშენები!

— ჰო, ესაა!

— ამას შენ აკეთებ, ბიჭო? — ძლივს შევიკავე თავი.

— არა, ბორისოვიჩ, ეგ ჩვენთან ვერ აკეთდება. ჩვენს ჩარხებს ამის სიზუსტე არ აქვს.

თავს ვერ მოვერიე და წამოვევარდი.

— კორდინატკას, ბიჭოოოო!

ვიქტორმა თავი ჩაღუნა.

— რამდენი კომპლექტი გაქვს გაკეთებული? — ხმას ავუნე.  
 — ხუთი. მაგრამ დამთავრებულები არაა!  
 — სად გაქვს შენახული? სადაა სხვა ნაწილები?  
 — არ ვიცი, ბორისოვიჩ, ღმერთს გეფიცები. ან ეს საიდან მოხვდა თქვენთან, ვგიჟდები კაცი!  
 — ეგერ ყრია ყველა! — ვიქტორს ხელი მოვკიდე და კუკურას ოთახში შევიყვანე. გაოცებისაგან პირი დაალო.  
 — კუკურასთან იყო? — ძლივს ამოიღულულულა.  
 — ნუ თვალთმაქცობ, თქვი, როგორ მოხვდა სეიფში, თორემ ახლავე დაეურეკავ უშიშროებას!  
 — კომისია რომ მოვიდა, გახსოვთ? ნინა დღით ქარხნიდან გვიან წავედი და ჩემს შკაფში დავტოვე ყველაფერი. იმ ღამეს, როგორ გაქრა იქიდან, დღესაც არ ვიცი! დაფიქრდი. სიმართლეს ჰგავდა. გამახსენდა ნერვიულობისგან ენაწარმოებული ვიქტორი და კუკურას სიტყვები: დაანებე თავი, გაუვლისო.  
 ისევ გამოვკეტე კუკურას ოთახი და ვიქტორა კაბინეტში შევიყვანე.  
 — ბიჭო, სიმართლე მითხარი, რა ურთიერთობა გქონდა კუკურასთან?  
 — არავითარი!  
 — საავიაციოში იცნობდი?  
 — არა!  
 — იქაც ეწაღებოდი იარაღს?  
 — კი, მაგრამ იქ აპასნი იყო, სხვის ჩარხზე მალულად უნდა გემუშავა!  
 — მერე, გაგიგეს?  
 — ვერა, იქაც გამიჩხრიკეს ვერსტაგი და ვერ იპოვეს!  
 — იქაც გაქრა?  
 — იქ მე გავაქრე, წინა ღამით დამირეკა ვილაცამ და გამაფრთხილა. მერე იქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა — ქარხნიდან წამოვედი.  
 — ნადი, ვიქტორ, და კრინტი არავისთან დამდა.  
 დაბნეული თვალები მომაპყრო.  
 — ბორისოვიჩ, არ ჩამიშვა, ბავშვს ველოდები, ან ცხოვრებაში ამის გამკეთებელი არ ვარ, თუ კაცი ხარ, არ ჩამიშვა! ნავალ აქედან, ოღონდ ციხეში არ ჩამაგდო! მუშტისტოლა გახდა ამხელა კაცი.  
 — ნადი, ვიქტორ, და იმუშავე!  
 კადრების უფროსს დაეურეკე — ნახე, ერთი, ცხოვრებული კუკურის ავტობიოგრაფია და რამე თუ უნერია, მომიტანე. შრომის წიგნაკის ასლიც გამოაყოლე.  
 — შრომის წიგნაკი არ წარმოუდგენია, ბორისოვიჩ; ავტობიოგრაფია, მგონი, გვაქვს.  
 \*  
 „1950-1960 წლებში ვმუშაობდი ქ. სერპუხოვის უშიშროების სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე“ — წავიკითხე და მდივანს ვთხოვე, ისევ ამოეყვანა ვიქტორა.  
 — გისმენ, ბოორრრისოვიჩ, — ენა დაეება!  
 — დედაშენი პენსიონერია?  
 — კი, რატომ მეკითხებით?  
 — პენსიამდე სად მუშაობდა?  
 — სერპუხოვის უშიშროების სამმართველოში, ბოლოს კაპიტნის ჩინი ჰქონდა.  
 — გამახსენე, ერთი, რომელწლიანი ხარ?  
 — ორმოცდათერთმეტიანი, რა ხდება?  
 — ლავეი მამის გვარია?  
 — არა — დედის, მამა ადრე გარდაცვლილა, ხელი არ ჰქონიათ მოწერილი.  
 — კაი, ვიქტორ, სადამოს, როცა ყველა წავა, ამოდი, ის შენი ნაგანის ნაწილები ჩანთაში ჩაყარე და წამოიდე. კუკურას საფლავზე ავიდე, ღვინო ავიტანოთ და სანთელი დავუნთოთ.  
 \*  
 ვიქტორი ბოლომდე ერთგულად მუშაობდა ჩემთან. მართლა ოსტატი იყო. მჯერა, მას რომ საჭრეთლისთვის მოეკიდა ხელი, დიდი მოქანდაკე დადგებოდა. ფუნჯს აიღებდა? — შედეგებს დახატავდა, კალმით სასწაულებს შექმნიდა.  
 მაგრამ ხარატი იყო, უბრალო, მეექვსე თანრიგის მუშა.  
 ახლახან გარდაიცვალა, თავის შვილს, ჩემს ნათლულს, ხელში ჩააკვდა მამამისივით...

**კეე**  
 სკოლაში არ შეუყვანიათ. სიარული უჭირდა, გადაბიჯების ფეხებს მიათრევდა, მუხლებს ბოლომდე ვერ მართავდა, ირწოდდა და მოძრაობას ხელებსაც არაბუნებრივად აყოლებდა.  
 სახსრები დაბადებიდან აქვს ჩაკეტილი, ამბობდნენ მეზობლები.  
 მთელი კავშირი მოატარეს, ყველა ცნობილ ექიმთან ჰყავდათ, იქამდე — ცნობილ ექიმბაშებთანაც კი, მაგრამ არაფერი ეშველა.  
 დაქირავებული მასწავლებელი სახლში აკითხავდა, უნიჭიერესი ბავშვიაო, ამბობდა.  
 ერთადერთი, ველოსიპედით მოძრაობისას არაფერი ეტყობოდა, ჩვეულებრივად ატრიალებდა პედლებს. მუდამ ველოსიპედით დადიოდა. ჯერ „სკოლნიკი“ ჰყავდა, მერე „ორლიონიკი“, ბოლოს „უკრაინა“ უყიდეს — დიდი, წინ მერცხლის მონიკელებული ემბლემით.  
 ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო. ერთად ვიზრდებოდით. მეზობლად ცხოვრობდა. მოვიდოდა, მიაყუდებდა ველოსიპედს ერთსართულიანი ხის სახლის ბოკონს და ვაივაგლახით ამოვივლიდა კიბეს. ხელის შემველება არ უყვარდა, ამაყი იყო. მის მდგომარეობაზე არასოდეს მიფიქრია, ის ჩემთვის ჩვეულებრივი ბავშვი იყო, როგორც — მე.  
 სულ ოთხი კლასის პროგრამა გაიარა, მაგრამ იმდენად ნაკითხი გახლდათ, ნებისმიერ საკითხზე შეეძლო მსჯელობა. ტოლს არაფერში დაგიდებდა.  
 პატარაობიდან ვამჩნევდი, ჩემი კლასელი ებრაელი გოგო, გულისა, მოსწონდა. ხანდახან ჩამოვუგდებდი ხოლმე მასზე ლაპარაკს, მაგრამ არაფერს იმჩნევდა, თითქოს არც აინტერესებდა.  
 გულისაც მეზობლად ითვლებოდა, თუმცა შორს ცხოვრობდა. სკოლაში ჩვენი ქუჩის გავლით დადიოდა.  
 იდგა ჭიშკართან ველოსიპედზე დაყრდნობილი კემე და თვალი აყოლებდა.  
 ხან ვეებერთელა კოპიტს მოფარებული უთვალთვალებდა.  
 გულისას მამა, „იოსკა მესაათე“, ცნობილი კაცი იყო. საათების შეკეთება მამის შემოსავლიან ხელობად ითვლებოდა. გულისას ყოველთვის გამოჩნეულად ეცვა. ჭკუაც უჭრიდა — ხუთებზე სწავლობდა.  
 იმ წელს სკოლას ვამთავრებდი. კემე მეტყუარა, ჭადრაკი ვითამაშოთო. ყოველთვის მიგებდა და მასთან თამაში არ მსიამოვნებდა. ხათრი ვერ გავუტყებ. ჩემდა გასაოცრად, სამი პარტია მოვუგე ზედიზედ. არ ხარ შენ ჩემთან ჭადრაკის სათამაშოდ მოსული-მეთქი, პიდაპირ დავაჯახე.  
 — ბიჭო, მიმეგზავნე გულისასთან და უთხარი, რომ მიყვარს!  
 თვალები მუღზზე ამივიდა. კი ველოდი ამას, მაგრამ მაინც ძალიან გამიკვირდა.  
 — შენ თვითონ უთხარი, უკეთესად არ ეტყვი?  
 — არა, არა, გთხოვ, შენ უთხარი, როგორც გინდა, ისე უთხარი!  
 კემეს მეტი არაფერი უთქვამს, წვალეებით ჩავიდა კიბეზე და ველოსიპედს დაყრდნობილი ჭიშკრისკენ წაბანცალდა.  
 თვალთ გავაყოლე.  
 ძლივს მიითრევა ტანს, მაგრამ იმ წუთში ჩემთვის მასზე სრულფასოვანი და ჯანმრთელი ადამიანი არ არსებობდა.  
 გულისას ბევრჯერ ჩამოვუგდე სიტყვა კემეზე, მაგრამ ვერავითარი ინტერესი მის მიმართ, თქმას რომ გამიაღვილებდა ისეთი, ვერ შევინძნე.  
 ერთხელ, სახლისკენ ჩემთან ერთად მომავალს, კემეს უყვარხარ-მეთქი, პირდაპირ მივახალე.  
 — რა იცი შენ?  
 — თვითონ მითხრა.  
 — რაო, მიყვარსო?  
 — ხო, და უთხარიო!  
 გულისას კარგა ხანს ხმა არ ამოუღია.  
 — ვხვდებოდი მე ამას, კარგი ბიჭია კემე!  
 მოულოდნელობისგან სუნთქვა შემეკრა!  
 — იცი რა? მე წელს სამედიცინოზე ჩავაბარებ, ხომ იცი, რომ ვემზადები, ქირურგიულზე ვისწავლი, კემეს ოპერაციას გავუკეთებ და აუცილებლად ფეხზე დავყავნებ, ახლა ეს გინდა უთხარი და გინდა — ნუ ეტყვი. შენ გადაწყვიტიე.

მე ეს კემესთვის არ მიუთქვამს. გულისას ნათქვამიდან აზრი ვერ გამოვიტანე. ეცოდებოდა, უყვარდა თუ დასცინოდა, ვერ გავარკვიე, ან, იქნებ, ეს სულაც ბავშვური, გულუბრყვილო ოცნება იყო და მეტი არაფერი.  
 კემესაც არაფერი უკითხავს, პასუხს, ალბათ, არც ელოდა.  
 სკოლის დამთავრებისთანავე, ჩემდა გასაოცრად, გულისა გათხოვდა. როგორც თქვეს, ცოლად გაჰყვა ლენინგრადელ მილიონერს, რომელიც მასზე ჩვიდმეტი წლით უფროსი იყო და შორეულ ნათესავდაც ერგებოდა.  
 ასე დამთავრდა კემეს სიყვარული.  
 მალე „იოსკა მესაათის“ ოჯახიც წავიდა ჩვენი სოფლიდან.  
 სკოლის დამთავრების მეოცე წლისთავეზე შეკრებილეს მოულოდნელად გვაცნობეს, გულისა ერთი კვირის წინ ლიმფური ჯირკვლების სარკომით გარდაიცვალაო. ჩავგმწარდა ის დღე. ჩვენი უღამაზესი თანაკლასელი პირველი იყო, რომელიც ჩვენს მეთაურ კლასს გამოაკლდა!..  
 \*  
 იმ ხანებში თბილისში ვცხოვრობდი და რამდენიმე დღით ვიყავი სოფელში ჩასული. კემე მეტყუარა. დანჯღრეული ველოსიპედით მოვიდა. ძლივს ამოვიყვანე კიბეზე. სულ ჩამეკეტა სახსრებით, მითხრა. მობერებულყო, თუმცა ჯერ ორმოცდარვისაც არ იყო.  
 ბიჭო — მითხრა — თბილისში კანადელი ორთოპედები ჩამოსულან და ოპერაციებს ატარებენ. ხალხი რიგშია ჩანერილი. თურმე საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ. არ ვიცი, მე ვის გავახსენდი, მაგრამ გუშინ ჩემთან რაიონიდან სოცმუშაკები მოვიდნენ და მაცნობეს, კლინიკაში პერსონალურად ხარ მინვეულიო.  
 — როდის წავიდე? — ვკითხე გახარებულმა.  
 — პარასკევს უნდა ვიყო იქ, 12 საათზე!  
 — კაი, წავიდე თუ შეიძლება!  
 \*  
 კემე საავადმყოფოში დაანვიწეს. ათასნაირი ანალიზი გაუკეთეს, სურათები და ტომოგრაფიები გადაუღეს და ერთი კვირის თავზე უთხრეს, რომ ამ საავადმყოფოს ბაზაზე ვერც ოპერაცია და ვერც შემდგომი რეაბილიტაცია ვერ მოხერხდებოდა, საჭირო იყო მექსიკაში გადაყვანა, მისი პიროვნებით დაინტერესებული იყო მეხიკოს ორთოპედული ცენტრის ხელმძღვანელი, ამერიკის კონტინენტზე ორთოპედული ქირურგიის მამად აღიარებული, პროფესორი შარონ მანაგერი. გაგზავნილი იყო გამოკვლევების მასალები და პასუხს მალე შეატყობინებდნენ.  
 სამ დღეში აცნობეს, ნოემბრის შუა რიცხვებში მოგივა მოწვევა, ოპერაციის საფასურს და მასთან დაკავშირებულ ყველაწილი ხარჯს პროფესორი მანაგერი აფინანსებს, ოპერაციასაც თვითონ გაგიკეთებს, როგორც ჩანს, შენ მისთვის ძალიან საინტერესო პაციენტი გამოდებიო.  
 ორ დეკემბერს სასწრაფო დახმარების მანქანა ტრაპს მიადგა, კიბეზე საკაცით აიყვანეს. აფრენილ „ბონუსს“ კარგა ხანს ვუქნევდი ხელს, რატომღაც ისეთი განცდა დამეფულა, თითქოს კემეს სამუდამოდ ვემშვიდობებოდი...  
 მთელი რვა თვე არაფერი გამიგია. ერთხელ დამეხიზმრა, ველოსიპედზე მიმაგრებულ კალათაში პურები ენყო და თავის განუყურელ ორთვალაზე დაყრდნობილი ჩემს ჭიშკართან იდგა.  
 სექტემბრის ბოლოს მოულოდნელად დამირეკა, ბიჭო, ხომ არ დაგავიწყდითო. თარიღი და რეისი ჩამაწერინა, აეროპორტში დამხვდითო...  
 \*  
 ტრაპზე პირველი კემე გამიჩნდა. მოაჯირს ჩამოჰყვა. ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული. კიბეს რომ გამოცდა, ხელჯოხი დაიბჯინა და, ნელგამართული, ისე ჩქარა წამოვიდა, თვალებს არ დაეუჯერე. მოსუქებული, მოვლილი, დამაღლებული მომეჩვენა. მე რომ დამინახა, ხელები ჯოხინად აიშვირა და გადაამეხვია. საოცრება ხდებოდა — ჩემ წინ სალ-სალამათი კაცი იდგა! აეროვაგზლიდან გამოვედით და მანქანაში ჩავსხედით.  
 კემემ ჯიბიდან დაძველებული სურათი ამოიღო და გამომიჩინა. უღამაზესი წყვილი იყურებოდა ფოტოდან.

— ბიჭო, ეს გულისა არაა?! — კი არ ვკითხე, ამოვიხავლე.  
 თავი დამიქინა.  
 — მეორე გულისას ქვრივია, პროფესორი შარონ მანაგერი! — არ გამოუხედავს, ისე მითხრა.  
 თვალი გავაპარე. კემე ტიროდა!  
**ნუქრები**  
 დედამედი ჩემს მშობიარობას გადაჰყოლია. მამიდა მზრდიდა.  
 მოვიდოდი სკოლიდან, გამოვიცვლიდი ტანსაცმელს და:  
 — დედაა! დედაა! — ვეძახდი ბოსტანში მოფუსფუსე მამიდას, — მშიაა!  
 — მოვიდვარ, შვილო, აგერ არ ვარ? რა გაყვირებს!  
 მამიდა კი მეძახდა „შეილოს“, მაგრამ მე მიკრძალავდა „დედის“ დაძახებას.  
 — ბიჭო, არ ვარ მე შენი დედა, მამიდა ვარ!  
 მე მაინც არ ვიშლიდი ჩემსას. ასე უფრო მომწონდა და მეიმედებოდა.  
 ხის სახლი გვედგა, აგურის ბოკონებზე, სამი თვალი. მე და მამიდას ერთ ოთახში გვეძინა. სანოლებს შორის კამოდი იდგა. ლამფებით შეჭედნილ ჭურჭელები ირეოდნენ. დაძინებამდე, სანამ მამიდა სინათლეს ჩამიქრობდა, მივმტკრებოდი ერთი ამორჩეულად ფიცრის მოყავისფრო ნუჟის და თავსაფრიან ქალს ვამსგავსებდი. რაც უფრო მომეროდა ძილი, მით უფრო იკვეთებოდა ქალის სხეული, მერე მალალქუსლიანი ბოტებიც გამოისახებოდა და გვერდითა ერთი ციციქნა კორძიც პატარა ბიჭად იქცევოდა. დილით, გაღვიძებისთანავე, ისევ იმ ქალსა და პატარა ბიჭს ვესიყვარულვებოდი, სანამ მამიდა არ გამომძახებდა, ადექი, ჩაის გისხამო.  
 ეზოს სიახლოვეს პატარა მდინარე ახლაც ჩამოგვიდის, ლელისხელა ტოტი ტეხურიდან გამოედინება და ორი სოფლის გავლით აბაშას ერთვის. იმ ზაფხულს წყლიდან არ ამოვსულვარ. გავცვივდი, მომცა სიციხე და ლოგინში ჩამანვინა. მესამე დღეს ორმოცამდე ავარდა ტემპერატურა. მამიდამ ექიმი მომიყვანა. მასვეს ნორსულფაზოლი და სტრეპტოციდი, მიკეთეს პენიცილინის ნემსები, მაგრამ უშედეგოდ. უარესად გავხდი.  
 მოულოდნელად მოსალამოებულზე ედუკია ოდიშარია მოგვადგა.  
 — წყლიდან უყმური აქვს შენს ბიჭს ამოყოლილი და უნდა შეველოყო, ნაცარიც მოვიტანე! — უთხრა მამიდას.  
 ეს ქალი კარგა შორს ცხოვრობდა და მამიდას გაუკვირდა, საიდან გაიგო ჩვენი ამბავიო.  
 შემოვიდა ედუკია, მარჯვენა ხელში ნაცარი ჰქონდა მომუჭული. ტაბურეტზე დაჯდა და დაინყო ბუტბუტი, ამთქნარა და ალვარღვარა ცრემლები — მამალი უყმური ამოჰყოლიაო! დროდადრო წამოგვებოდა და ხელუკულმა შეაყრდა ნაცარს კედელს. სამჯერ გამიგორა ლოცვა. ექოსავით მესმოდა: „კი ბიჭის შენაყარი ბონონების ბედისაო, რომ მოსულხარ დილითაო, უნდა გაქრე ღამითაო“...  
 ჭერს შევყურებდი და უცებ ამოდრავდა ქალი, მიაბიჯებდა მალალქუსლიანი ბოტებით და გზადაგზა თავსაფარს ისწორებდა, პატარა ბიჭიც, კაბას ჩაფრთხილი, არეული ნაბიჯებით მიჰყვებოდა... ძილმა წამართვა თავი და ის წარმოსადგეი ქალბატონი სიზმარში გადამყვა. ნელა მიდიოდა. ის ბიჭი მე ვიყავი, უკან მივსდევდი. გაჩერდა.  
 — მოვიდა ედუკია? — დაიხარა და შუბლზე ტურნები დამადო, — არ გაქვს ახლა სიციხე!  
 — შენ ვინ ხარ? — მორიდებულად ვკითხე.  
 — მე შენი დედა ვარ! — მითხრა ქალმა, — მიტრიალდა და გზა გაავრძელა. ოფლში გავდვროლს გამეღვიძა. გახარებული მამიდას შუბლზე ედო ხელი. სიციხე არ მქონდა.  
 — კარგად ვარ, მამიდა! — პირველად არ დავუძახე „დედა“.  
 — ღმერთმა გამოგვიგზავნა ედუკია ოდიშარია, დაილოცოს მისი ოჯახი! — თვალები აუცრემლდა მამიდას, — ანი ყოველთვის მამიდა დამიძახე, შვილო!  
 ჭერს აგხედე. ნუჟრები ირეოდნენ. ჩემს ფიცარს მივაშტერდი. ვერაფრით ის ნუჟრი ქალს ვერ მივამსგავსე. ეტყობა, ჭერიდან ჩამოვიდა და ჩემს სიზმარში გაუჩინარდა.



ბათუ დანელია

ციკლიდან „ARTკლავი“

მძინავს

მძინავს და ბაღში გრძელდება გაკვირება.  
 მძინავს და — ყველა საგანი მაკვირდება:  
 უნდათ, რომ მიხვდნენ — სიზმარში რასაფხვდავ,  
 ფიქვებს თუ ფოთლებს, ნიავის გასაფხვდავ.  
 მძინავს და მჭვრეტენ ნივთები მორიდებით,  
 სიზმარშიც ხომ არ ნახაო კორიდები!..  
 მძინავს და ვიცი — არავინ გამაღვიძებს,  
 არ ვფიქრობ ლექსზე, სიკვდილზე, ჯამაგირზე...  
 ჯერ აღარ ვჩანვარ არყოფნის მინარევად...  
 მძინავს და აღარ ვიცი, რომ მძინარევარ...  
 მძინავს და კედლებს, თაროებს, ლექსიკონებს  
 სჯერათ, რომ მძინავს და ძილშიც ლექსსვიგონებ...  
 მძინავს და სჯერა კარადას, ტელევიზორს,  
 დრო ჯერაც არ გვაქვს პატრონის შეღვევისო!  
 რადგან სწამთ, მძინავს მკვდარივით, სალათისებრ  
 და სული მიმდის ღვიძილის ნახატისკენ...  
 სურთ ჩემი სახე ღვიძილმა ააყვასო,  
 მაგრამ მე, იქნებ, აღარ ვარ სააქაოს!

პილატა

ქრისტე რომ მიჰყავდათ, პილატე ჩაფიქრდა,  
 თავს გრძნობდა სიმწარის მდინარის ნაპირთან...  
 უნდოდა ეხარა საშველის მიგნებით,  
 მაგრამ თავს ყორნებად ესხმოდნენ ფიქრები:  
 „ვთქვათ ძეა ღვთის, მაგრამ დროს მისთვის ვინარევს?!  
 ჯობია მე ვგრძნობდე სიმწარის მდინარეს,  
 ვიდრე ბრბო აღმოჩნდეს არეულ დროშიდა“ —  
 ფიქრობდა ასე და უეცრად მოშივდა,  
 არადა ახლახან მიირთვა საუზმე:  
 „მშიოდეს, ოღონდაც ამათ შარს დავუძვრე!“ —  
 თქვა გულში და შეძლო ხელების დაბანაც —  
 უნდა, რომ არავინ ჩათვალოს ჯაბანად...  
 უფრთხოდა, სანყალი, ცხოვრების უდაბნოს...  
 ვერაფრით ვერ გრძნობდა, თავი რომ უკვდავყო,  
 რადგანაც, რომ არა გზა ჯვარცმის ექოთა,  
 პრეფექტი პილატე ვის ეხსომებოდა  
 დღეს!

ფოთლებად გაფანტვა

მე მინდა ძმობა ფოთლებთან გავაბადა  
 საშველი, იქნებ, ფოთლებმა მაპოვნინეს!  
 იქნება შემხვდეს ფოთლების კავაბატა!  
 იქნება შევხვდე ფოთლების აპოლინერს!

იქნება ამცდეს ცხოვრების ავიფანდი!  
 არადა, უკვე, ხალისშიც მეგლოვება...  
 და მინდა, ერთხელ, ფოთლებად გავიფანტო  
 და ველარ შევძლო ისევე შეგროვება!

სხვამხატვარი

ვახტანგ ჯავახიძეს

გადაწყდა — როგორმე მივბადო პირახასტომს,  
 თორემ დღეს პალიტრის ფანტელებს ვინაღართოვს!  
 და ვილტვი იქ, სადაც არაფრობს ყოველიდა  
 არვინ ჰგავს გადმოსულს ბორხესის ნოველიდან...

ციცაბო ქაში

უცეცხლოდ შობილი ბოლითვიმოსებით,  
 აბოლებს დუნია...  
 გარშემო დროის და პოლიტიკოსების  
 დაბალი დონეა!

ამოდ ვათეთრებთ ახალგზასგუაში...  
 ვედრებით ქვანაჭამს...  
 არც იქით, არც აქით, აღარცაშუაში —  
 საშველი არაჩანს.

დაგვათოვს კარუზო მთვარიანარიას... —  
 როდემდე ვიძაბოთ!  
 ნინ მთელი ღამე და რვაიანვარია  
 და ჟამი ციცაბო!..

ქალაქელი სტუმარი

მზეს უკვე მსგავსება სულთან აქვს ამოსულთან...  
 და დილა ჩემ მხარზე ჩიტივით ჩამოსკუპდა.  
 გათენდა ისევე და მხარზე რომ დილამაზის,  
 ქალიც არ მინახავს ასეთი სილამაზის...

და მე და ეს დილა გავყურებთ მზისამოსვლას,  
 ცაც უკვე ისე ჩანს — ივარგებს დღისამოსად...  
 მზე ისევე ამოდის სალალოდ, სასეიროდ...  
 მე აღრე ავდექ და სოფელში დავსეირნობ,  
 გავყურებ ეზოებს, ვარდიანს, გვირილიანს.  
 ნველიან ძროხებს და — ხბოების ტირილია...  
 იღვიძებს სოფელი ლეღვების მცინარეშხით,  
 მზის ნახვას ელტვიან თევზებიც მდინარეში...  
 ხილს თავი ქუდში აქვს, ურყევს და ყრუბურჯიანს,  
 ხოლო ქარს ნუხელის ხეები უბურჯგნია...  
 მზე ისევე ამოდის, ჯერ ისევე ნახევარობს,  
 მინდვრისკენ გარეკეს ზაქები საყვეარო...  
 და თუკი ქალაქი არაფრით არამშვიდებს,  
 სოფელში სიმშვიდე ორ-სამ წვეთ ცვარნამშიდევს.  
 გათენდა ისევე და მხარზე რომ დილამაზის,  
 ბავშვიც არ მინახავს ასეთი სილამაზის.

ციკლიდან „უბალოპელი საბალოპელი“

მეოცნება კაცის ამაპვი

ამ დილით  
 მემანვნე გლექკაცის ძახილზე  
 მანვნის ყიდვა გადაწყვიტე  
 მაგრამ ნახევარლიტრიანი ქილა  
 ხელიდან გამივარდა და გატყდა  
 და რას ვხედავ  
 დამსხვრეული ქილიდან  
 მანონი გადმოიღვარა  
 მანონს გამოყვინენ  
 ვარიები და მამლაყინები  
 რამდენიმე ჩასუქებული ბურვაკი  
 და რამდენიმე სახარე მოხვერი  
 არადა ის ქილა  
 მთელი წელიწადი  
 ცარიელი იყო მაგიდაზე

ციკლიდან „ნიბლიაპი“

სამყაროსადმი მიმართვაში

სამყაროს უნდა უთხრა ვინხარშენ  
 და რომ დაფრინავ იმის წინკარში  
 და სიყვარული გწავს მზისგარეშე  
 და რომ ნათებას რისკავ უკუნთან  
 და რომ სიავს მიხანს უბურდავ...  
 და რომ არ ზოგავ თავს ცისკარებში  
 და პოეზიის გიცავს ჩუქურთმა...

სამყაროს უნდა უთხრა ქარისხმით,  
 რომ მთავარია ტანჯვის ხარისხი...  
 მაგრამ ლოდს მხრიდან მაინც არიხსნი.  
 სამყაროს მწარედ უნდა მიუგო,  
 რომ იყავ დანტე, შელი, პიუგო,  
 და ზარი ყველგან მიტომ არისხე,  
 რომ ყველა ფრენა გაატრიუკო!..

აქ და იქ

შენფერი ქვეყნად არვინ მებადა.  
 შენ იყავ ბალი ჩემთა ვნებათა.  
 შენ გეძღვებოდა ყველა დეკადა...

აქ რომ იცვამდი კაბებს მოხდენით,  
აქ რომ გშვენიოდა თეთრი კოფრები,  
იქ მათი ნახვა მეჩქარებდა  
მათ სიახლოვეს როდის მოვხვდები!

აქ დასასრული არ აქვს დამბობებს —  
ერთად მაძგერალ გულთა გამყოფებს,  
ბედნიერებას დრო ვის ამყოფებს!  
იქნებ ჩემთვისაც სადმე მზადაა  
ბედნიერება, მაგრამ სადაა! —  
მის სიახლოვეს მე ვინ მაყოფებს —  
ცისქვეშ რამდენი არამზადაა!

ციკლიდან „დალაგებისას ნაპოვნები“

ლეკსების წერის ასაკი

მიდის ლექსების წერის ასაკი —  
თითქოს მივყავდე მონა გასაყიდად,  
ვერსად ვიპოვე მისი ჩასაკეტი...  
მიდის ასაკი ლექსთა გამოცხობის,  
ალარ მოველი პნკარებს გამოწყობილს.  
და შენ, უფალო, ნეტავ, რასაკეთებ —  
ჩემი ღობიდან მათი გამოძრობით!

თითქოს მეშულლე მიშენს მაჭახელას.  
თითქოს დევებმაც რქები მიჭახუნეს —  
უნდათ არ დამრჩეს წვეთი სიჭახუკე...  
მიდის ლექსების წერის ასაკიდა,  
ღმერთო, ნუ მაქცევ თოკზე დასაკიდად!  
აკი ლექსები — შენი ჭრიჭინები —  
ჩემთან არიან ჩემი ჩასახვიდან!..

ციკლიდან „რითმინი ჰოკუ“

მაისში

ყვავილების სურნელით შეშლილინიავეს,  
სადმე არ შევეფეთო — მეშინიამე.

პარლ მიხელის ზოლო სიტყვა

მომრიგებელს, მედიატორს  
მეტი აწვიმს, მეტათოვს!..

ჩიტების მუსიკალობა

ჩემ ბელურებს დაუყარე წინიბურა —  
კენკავენ და იძახიან: „წივ-წივ-პურა!“

ერთ ცილისმანაბალს

შენ ხომ უკან სვლასვერიტან  
არაკაცთა კლასტერიდან!

ციკლიდან „ზურბისთვალი“

თოვლა თუ იცის!

თოვლა თუ იცის, რომ ის თოვლია  
და რომ აიგო თრთოლვის კედლებად  
და რომ უმისოდ რაც მითრთოლია,  
ის დრო სიცოცხლედ აღარ მეთვლება!

თოვლა თუ იცის, თოვით გართულმა,  
რომ შურთ იმისი სცენებს, მანუჟებს...  
და რომ ცისხელა არის ნათურა,  
განათებული ძაბვის გარეშე!..

თოვლა თუ იცის, ამ პირქუშიან  
ყოფნას რომ აღარ ძალუძს უმისოდ!  
თოვლა თუ იცის, რომ ნიმუშია  
არამქვეყნიურ ჩამიჩუმისო!

შაჰვი პარკატილი

მღერის სუროს ქლამიდიდან,  
ვუსმენ ხმათაბალიანს...  
გული უკვე გამიდიდა —  
გულის კვართი გახია.

გულისცემაც თუგახშირდა —  
უნდა ჩავსვა ესმამვი  
ბახის ერთერთ ფუგაშიდა...  
ან — მოცარტის მესამე —

ჯობს ისინი დაამშვენოს  
ღვთიურ ხმების თოვითა,  
ვიდრე ჩემთან სამაშველო  
112 მოვიდა!..

რახან

რახან ისე სდით ერთი კურცხალი,  
თითქოს მილიონ დღეთაბორისდით...  
რახან ტანჯვისთვის სულაც უძღვნიათ  
სული, ნახევარ მეტაფორისთვის,

რახან სურთ სული ყველგან მოედოს,  
და მაინც უგავთ ნარჩევმზისადგილს —  
ბავშვივით სწყდებათ გული პოეტებს,  
უყურადღებოდ დარჩენისათვის...

ყველა ფანჯრიდან

უთოვლობამაც დამჭრა... დამჭრიდა...  
დღეს კი ამინდი აქეთიქეთობს...  
და ჩემი ბინის ყველა ფანჯრიდან  
უცებ რომ თოვლმა შემოიხედოს —

რა მომივა და, ფიქრთა მოურავს,  
გამითავდება ჟამი შინგდების...  
გავგიჟდები და, მეც ერთდროულად,  
ყველა ფანჯრიდან გადავფრინდები...

უთოვლობის ლექსი

გემს ნახსადგურში როგორც ხვდებიან,  
სულ ისე ვხვდები თოვლის შემოსვლას  
და თოვლი სულ ჰგავს ოქროსფრთებიან  
ანგელოზს, როცა მთაბარს შემოსავს...

და ეს შემოსვა, ისე შეშლილად,  
გაცოცხლება ყველა მკვდარმოდის...  
ვერ ნარმოიდგენთ მე რა დღეშივარ  
ზამთარში, როცა თოვლი არმოდის!

ციკლიდან „სტროფები“

შაჰვი

ისე აჩუქურთმებს მოტივს,  
თითქოს სამოთხიდან მოდის  
და, ორიოდ ნუთით, ტოტის  
მხარზე შეისვენა, ნოტის  
ჩასანერად...

კრიტიკოსი ნახახუსევა  
იუმორესკა

თამადა ჰგავდა ღმერთს უღვთოეთის...  
მე თითქოს, ვიქვე დღესქვისმზიდავად...  
რითმინ ლექსის ვერმწერ პოეტის  
თარგმნილ რითმინ ლექსივითავარ...

ერთხელაც მარტოობაზე

მარტოობამ სიუხეშით დამამგვანა კენტავრს...  
კენტავრით გავძლიერდი — ვერაფერი მთენთავს.  
შეუცნობელ მარტოობას ბედი ჩვილსაც შემრთავს —  
აკვანს თავად ვირნევი და ვაძინებდი ჩემთავს...

ციკლიდან „სამორები“

სურვილები

ყველას სურს, ჰქონდეს რაღაც ისეთი,  
რომ დაინახონ ქვეყნის იქიდან  
და მისით მიწვდენენ ხსოვნის თავანებს.  
ზოგს სურს გავესოს სული ბიზეთი,  
ზოგს — უამებდეს ტკივილს გრიგდა  
ემოს მოცარტი — ჰანგთა სავანე,  
ვინც ჟამი მხარზე გადაიკიდა...

ქარს სურს გაპუტოს ხეებს თავწვერო,  
ფოთლები ექცეთ მწარე ბგერებად  
და დაემგვანონ გემის მტვირთავეებს...  
მე მსურს ისეთი წიგნი დავწერო,  
სადაც სიტყვები არეწერება... —  
ბედკრულნი მაინც ნაიკითხავენ  
და დასცინებენ გარეწარები...

ციკლიდან „შხაჟები“

ქალი

როდესაც  
გველოდება —  
ფანჯარაა  
და  
იხედება  
თავის  
თავისგან...



ლალი გულისაშვილი

ციკლიდან: „სახელაპი“

რაზო იუკურიქან

ყველა საყელო გაცვდა,  
იმ ერთის გარდა, ყველა,  
რატომ არაფერს მკითხავ?  
მკითხავ და ნელა-ნელა  
დუმბილს ნაილებს ქარი,  
ამაოების წყება,  
„რა კარგი იყავ მაშინ“...  
და გული უფრო მწყდება!  
ყველა საყელო გაცვდა,  
იმ ერთის გარდა, ყველა,  
ნუხილს ნაილებს ქარი,  
ნელა, სულ ნელა, ნელა...

3. კ-ს

ვისი იყავი ამდენი ხანი?  
ვის თვალეში ეძებდი საყდარს,  
მარადმწვანე საძოვარებს?..  
მე წყარო ვარ,  
შენ რომ დაგაკლდა,  
სინათლე ვარ,  
შენ რომ გჭირდება,  
ობლის კვერი ვარ,  
ბოლოს რომ შენთვის გამოცხვა...  
გატეხე ჩემი გამხმარი პური,  
დალიე ჩემი წყაროს წყალი  
და მიეყრდენი ჩემს უმწეობას,  
მემკვიდრეობით რომ მარგუნეს  
ჩემივ მშობლებმა...  
რალას დაგვირდე,  
სულ ეს არის, რაც გამაჩნია,  
რახან მოხვედი,  
უნდა ვიდგე, როგორც საყდარი,  
უნდა ვიძინო, როგორც სისხლმა  
და როგორც ცრემლმა  
და უნდა ვდუმდე,  
როგორც სამარე...

თ. რ-ს

ჩქარა, ჩქარა დამადე შუბლზე ხელი,  
გრილი და მძიმე,  
თორემ ფიქრებმა, უიმედომ და სევდიანმა,  
კვლავ ჩამოთოვა...  
გახსოვს, იმ ღამეს როგორ უბრად დამემშვიდობე,  
რადგან დალილ მგზავრს არ მოგეცი  
ღვინო და ხემსი,  
ჩემს ნაპირზე არ დაგასვენე...  
მეგონა, უკან არასოდეს დაბრუნდებოდი,  
მაგრამ ღმერთებმა კვლავ ჩემს კლდოვან  
ნაპირს მოგაგდეს...  
თითქოს მომაკვდავს მომისწარი,  
ძლივსლა ვსუნთქავდი,  
მერე მუხლებზე დავდექი და ასე გითხარი:  
დალილ მგზავრს უნდა ღვინო და ხემსი,  
გრილი ნაპირი,  
გრილი ნაპირი,  
ღვინო და ხემსი უნდა დალილ მგზავრს...



ცოტნე ავსაჯანიშვილი

# პერიკო

კვიციანიძე სახლის ყველა ოთახს ძვირფასი ჭალებით ანათებდნენ. საერთოდაც, კვიციანიძეების სახლში ყველაფერი ძვირფასი იყო, რადგან კვიციანიძეებს ბევრი და ფართო ოთახები ჰქონდათ. იქ კი, სადაც კვიციანიძეები ცხოვრობდნენ, ყველა, ვისაც ბევრი და ფართო ოთახები ჰქონდა, ვალდებული იყო, საკუთარი ძვირფასეულობა წარმოეჩინა. სხვანაირად ვერ შეინარჩუნებდა იქ ცხოვრების მორალურ უფლებას.

ამიტომ ვერიკო კვიციანიძის დაბადების დღის აღსანიშნავ ქეიფზე არავინ ურთყამდა მაგიდაზე მუშტებს, ემანდ, რამე ისეთი არ გავტეხო.

ვერიკო კვიციანიძის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ თავად ვერიკო, ყურნალისტი ოლა მირცხულავა, ვერიკოს ჯგუფული კანია ლეონოვა, ვერიკოს კლასელი ნანა სანადირაძე და ლერი ბუხუღიშვილი.

— გოგოებო, ერთს ვიტყვი რა, — ჭიქა ასწია ლერი ბუხუღიშვილმა.

— ორი თქვი, ლეკო, — გაიციხა ოლამ.

— აი, ამიტომ არ მიყვარს ქალებთან ერთად სუფრაზე ჯდომა. ვერიკო, შენი მამიკო შემოგვიერთდეს, რა. ისა... ზვიადი ბიძია... — წამოდგა ლერი ბუხუღიშვილი.

— ეეე, ლერიკო, დაჯე, რა. ტრაკი დააყენე, — გაბრაზდა ვერიკო.

— ეგ რა ლაპარაკია?! — დაიბნა ბუხუღიშვილი.

— კაი, ლეკო, არ იცნობ ვერიკოს?! რა გაგიკვირდა? — დაამშვიდა კანია ლეონოვამ.

— როგორ არ ვიცნობ, მაგრამ ხომ უნდა გადაეჩვიოს ოდესმე. მანდილოსანია. კდემამოსილება მართებს ასე თუ ისე.

— ეეეუ, ისევე უტრაკო ყარაჩოლობა. რაღაცას ხო ამბობდი, თქვი, რა, — გაანწყვტინა ბუხუღიშვილს ვერიკომ.

— კარგი. მე მინდა, რომ იუბილარის სადღეგრძელო შეესვა, — დაიწყო ბუხუღიშვილი.

— ჩემი ანუ ჰო?! — გაანწყვტინა ვერიკომ.

— დიხ, შენი. მინდა, ვერიკოს სადღეგრძელო შეესვა, როგორც ქართველი ქალის. ლამაზი ქართველი ქალის. მომავალი დედის, რომელიც ხმალს და ფილას დაიკავებს...

— აეეე... კაი, ჰო. სპასიბა. გამიხარდა, ლამაზიო, რო თქვი, მარა ხმალს არა, ნაგანს დავიკავებ კიდე. კაროჩე, ლერიკო, სპასიბა ზა ტოსტ. უმინოკტი. გაკოცე. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა... — ახარხარდა ვერიკო.

— მე კი შენთვის რაღაცის ჩუქება მინდოდა, — თავი დახარა ბუხუღიშვილმა.

— უიმეე, საჩუქარზე უნდა გეთქვა? ვერ მანიშნე მერე? გეხუმრე, ლერუკა. მიდი, მარუქე. თერმოსია? თუ თეფშები?

— არა, მაცადე. ნანიკო, კარი დაკეტე, რა.

მორცხვი ნანა სანადირაძე უთქმელად ადგა და ოთახის კარი მიხურა.

— ჰაჰაჰა, კანსპირაცია. მამიკო არ მოსხნან თანამდებობიდან, ლეკო, რაიმე ანტისაბჭოთას ხლართავ?! — საუბარში ჩაერთო კანია ლეონოვა.

— ნახეთ... — სიამაყით გახსნა ლერი პორთფელი და იქიდან წითელი მარლბოროს ბლოკი ამოიღო.

— რააა?! მიატა ერთი პარკა, — წამოხტა ვერიკო.

— სულ შენი არ არი?! — სკამზე გადაწვავა ლერი ბუხუღიშვილი.

— აუ, მეც მინდა, — ერთი კოლოფი დაითრია კანია ლეონოვამ.

— გოგოებო, თქვენ? — გადახედა ოლას და ნანას ლერი.

— ჩვენ არ ვენევიტ პაპიროსს! — ერთხმად იყვირეს გოგონებმა.

— ვერიკო, გვიმღერე, რა, — მიუბრუნდა კვიციანიძეს ბუხუღიშვილი.

— რატო, სიგარეტი რო მარუქე?! კჩორტუ.

— რა შუაშია სიგარეტი, კარგი რა. მიყვარს შენი ნამღერი.

— აუ, მიდი, ვერო, რაა... — აყაყანდნენ დაქალებიც.

— კაი. სიიმიღერა ეძღვენეებაააა გასპაძინ ბუღუში პერვი სეკრეტარ ნაშეი სტრანი და ახლანდელ კომსომოლების ხაზინისსსს, ლერი ბუხუღიშვილს... — ვერიკო როიალისკენ წავიდა.

— მიდი, ვეროოო! — იყვირა კანია ლეონოვამ.

ვერიკომ თმა გაიშალა და დაკვრა დაინყო. უყვარდა, როცა დაკვრისას გრძელ ქერა თმას იქნედა. ადრე სადაც ნენსი სინატრას ფოტო ჰქონდა ნანახი.

— შენ გენაცვალე მე... — ჩაილაპარაკა ლერი.

— აუ, გაზაფხულის ბრაილას მღერის. სადმე თვალს თუ მოგკრავდი, გდევდი სახლის კარამდის... — აჰყვა დაქალს ოლა.

— დღეს კი შენთვის, ლამაზო, ხშირად აღარ მცალია, მე სხვა მომწონს, რა ვუყო, გაზაფხულის ბრააააააააა... — მღეროდა ვერიკო კვიციანიძე.

— ამას მიძღვნი მე?! — ყვირილით გაანწყვტინა ბუხუღიშვილი.

— ჰო. არ მოგწონს?

— ვინ სხვა მოგწონს? — ფეხზე ადგა ლერი.

— ვინ და ჟერარ ფილიპი.

— რას ცანცარებ?

— შენ უნდა შეგეკითხო?

— მე უნდა შეგეკითხო, აბა, ვის?

— აეეე, რა დღეშია ეს, ნახე. აახვიე ეხლა აქედან, — წამოდგა ვერიკო.

— ვინ სხვა მოგწონს-მეთქი, გოგო?

— ჟერარ ფილიპი-მეთქი, ბიჭო!

— ანუ წავიდე?

— წადი, შენი დედაც ვატირე!

— შე ნაკლა, უზრდელო ქალო. შენ თუ ეს ბლატაობა შეგარჩინოო...

— ეეე, სიგარეტები დატოვე და ისე აახვიე. რეებს კადრულობ, კაცი ხარ თუ პრობკა? აჰაჰაჰაჰა...

\*\*\*

— რა ვუყოთ შენ ბიჭს, ნესტორ?

— რა უნდა ვუყოთ, რო?

— არ იცი არაფერი?

— რა უნდა ვიცოდე?

— არასწორ ხალხს დასდევს, ძმაკაც. ზემოთ გამადიდებელი შუშით აკვირდები-

ან. ერთი ნიტო დვიჟენია და გაქრება შენი თანამდებობა და იქვე ჩემი პაგონებიც.

— კაცო, კირილე, რას იძახი?

— რას ვიძახი და გუშინინ ზვიად კვიციანიძის სახლში ედო. სკანდალი აუტეხია და გამოქცეულა. მე ფეხებზე მკიდია, იმათ როგორ ეჩხუბა და რაზე ეჩხუბა, მაგრამ ბაზრდება, რო შენი ბიჭი კვიციანიძესთან იყო და რომც არ ბაზრდებოდეს, საერთოდ რომ იყო, ეგ ფაქტი მაფიქრებს, ძმაკაც.

— რა გინდა კვიციანიძისგან? რესპუბლიკის დამსახურებული ოფთალმოლოგია. ფულიანი, წარჩინებული ოჯახი. სულაც პარტიის წევრია ზვიადი. მაგის გოგო უნდა ლერის, მგონი. ნეტაი არ ატრაკუნებდე. მე-თქი, რაზე შფოთავს...

— ზვიადი კვიციანიძე სულ ფეხებზე მკიდია მე. მაგასთან ატრაკუნიაზე არც მაქვს რაიმე წინააღმდეგობა. მე ზუსტად მაგის გოგო მაფიქრებს.

— რა იყო, ბოზობს?

— ბოზობს კიდევ. მაგრამ ეტა იშო ცვიტოჩიკი.

— ვახ. კიდე რას შვება?

— სუფრაჟისტკა, ანარხისტკა... ანტი-სავერინა! ილანძლება, იფურთხება, დიაირება გაუგებარი ტანსაცმლით, ენევა პაპიროსს, უსმენს და უკრავს გაუგებარ სიმღერებს, კითხულობს მარკიზ დე სადს!

— ვახ, უყურე შენ მაგას... ბავშვია, გადაუღვლის, კაცო.

— რა ბავშვი, იცი, რამდენი აქვს მოხვედრილი?!

— შენ რა იცი?

— სამსახური მაქვს ეგეთი.

— რა ვქნა, დავკოდო, კაცო, ის ბიჭი? უნდა და...

— მანდ ხომის გასწორებაზე არ არი, ნესტორ. მანდ იმაზე, ეგ ხომი რომ ძვირად გვიჯდება. შეიძლება, იმდენად ძვირად, რომ მერე საერთოდ ვეღარ გავისწოროთ ხოშები.

\*\*\*

ვერიკო კვიციანიძე მწვანე დენანთი მისეირნობდა რუსთაველის პროსპექტზე და ეცვა ყვავილებიანი ჩითის კაბა. ელვარებდა ვერიკოს ლამაზი თეთრი ფეხები და სინრბილი დაჰყვებოდნენ რუსთაველზე გამოშლილი ახალგაზრდა ბიჭები, იქნებ რამე ისეთი დაინახოთ, მერე სხვებთან მოსაყოლად რომ გამოგვადგესო.

ვერიკო ნამდვილად არსებობდა, მაგრამ თითქოს არც არსებობდა. უსირცხვილოც იყო და ამაყიც, თანაც, როგორც ნესი, ორივე ერთი მიზეზით. არც მანამდე და არც მას შემდეგ, კვიციანიძის გარდა არავინ ყოფილა ამაყი დახეული და ჭუჭყიანი ტანსაცმლის ტარების გამო. მის გარდა ვერცერთი გოგო ბედავდა ბიჭებისთვის ცუდი სიტყვების თქმას და არც არავის უსეირნია რუსთაველზე ასე უცნაურად — ნახევრადმიშველს, უფეხსაცმოვად.

სინამდვილეში არსებობდა თუ არა, მის დანახვას მაინც ახერხებდნენ და ამისათვის სულაც არ სჭირდებოდათ მათრობე-ლანივითიერების მიღება. ამიტომ, ატეხილი ბიჭუნები საათობით უცდიდნენ კვი-

ციანიძის ჩამორბენას. არავის უთქვამს, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ ასეთი უჩვეულო სანახაობა ოდესმე აუცილებლად დასრულდებოდა და ესენიც არც ერთ სენას მაზავდნენ იმის შიშით, რომ ამბის მინურულს სინანულში არ ჩავარდნილიყვნენ — დრო იყო, ხდებოდა და ჩვენ კიდე არ ვნახულოდით და ახლა კიდე არაფერიც აღარ ხდება.

კვიციანიძე ყოველდღე უწყობდა ძვირფას სანახაობას თანაქალაქელ ბიჭუნებს, რადგან ყოველი დილის ყოველი თერთმეტი საათისთვის ველოსიპედით მისეირნობდა კაფე „კასა ბლანკაში“, რუსთაველის თეატრის უკან. მანდ კონტრაბანდული ყავა აქვთო — ჩურჩულებდნენ ხოლმე ვერიკო და მისი დაქალები.

\*\*\*

ველოსიპედს ქაშვეთთან ნაცრისფერი ვოლგა წამოენია. კვიციანიძე გაჩერდა. გაჩერდა ვოლგაც.

— პრივეტ, ვერო, — მიესალმა ვერიკოს ლერი ბუხუღიშვილი.

— ოჰ, მამიკომ მანქანა გათხოვა? თუ თავის მძღოლად მოგანყო? ჰაჰაჰაჰა...

— რა იყო? კიდევ მიბრაზდები?

— როდის გიბრაზდებოდი? ეგლა მაკლია. ტოჟე მენე...

— კაი. მოდი, დაჯექი. მე მიგიყვან. ველოსიპედს ბავშვნიკში ჩავედებო.

— კატაობა მინდა.

— მე გაკატაობე.

— ნადი, რა, საქმე ნახე.

— ნუ დაბოდილობ, გოგო, ამ ველოსიპედით და ესეთი კაბებით, მთელი თბილისის უსაქმურების ფანტაზია უნდა გახდეს?! — მანქანიდან გამოვიდა ბუხუღიშვილი.

— კჩორტუ. შენ არავინ გეკითხება.

— მასე ნუ მელაპარაკები-მეთქი, ათასჯერ გითხარი. დაგსჯი, იცოდე! — ლერი ვერიკოს მკლავი გადაუგრიხა.

— ხელი გამიშვი, ე, ახვარო!

— აბა, ვის ეკითხება? — აყვირდა ლერი.

— არავისაც არ ეკითხება! უკან მაკოცეთ ყველამ!

— არც უმაგისობა იქნება.

— ჰიჰიჰიჰი, რა კოცავი ქალ ცენა... გამიშვი, დამალო! — კოდა ვერიკო.

— ბიჭო, ე, ლერი, რას აკეთებ? — საიდანლაც გაჩნდა ნაცნობი შუახნის კაცი.

— ნუ ჩაწერევი, კირილე ბიძი!

— გაუშვი, ბიჭო, გოგოს ხელი, — კირილე ვერიკოს მკლავი გაუთავისუფლა.

— ეგრე, ჰო?! — ისევე ყვიროდა ლერი.

— ეგრე, ეგრე, დიხაა! ჰაჰაჰაჰაჰა... — ვერიკომ ლერის ენა გამოუყო.

— ნამოეთრიე, დაჯექი მანქანაში! — კირილემ ლერი ვოლგაში ჩატენა.

\*\*\*

ბოლო დროს ნესტორ ბუხუღიშვილი შფოთიანი და მშობარა კაცი გახდა, რასაც მისი ცოლი სიბერეს აბრალედა, კომპეტენტური აღმამიანები კი — მისი უფროსების უეცარ გამკაცრებას. არადა, ნესტორის ერთადერთი ვაჟი, ლერი ბუხუღიშვილი, პატარაობიდან შეაჩვიეს იმ აზრს, რომ ჩვეულებრივი უფლებები და საშუალებები არ ჰქონდა და ყველაზე არაჩვეულებრივი იდეების განხორციელება შეეძლო. ლერი იცოდა, რომ თავად რაღაცებს იზამდა, სხვები კიდე — ვერა. რამე ისეთს თუ გაბედავდა, ვერავინ გატისკავდა. არადა, ეგეთი რამის გაბედავაზე სხვებს ყურებს დააჭრიდნენ. სწორედ ამიტომ, ბოლო დროს მაგრად აიცრუა გული მამაზე, რომელიც ნამდვილად იყო დიდი ვინმე, მაგრამ მაგაზე დიდებიც არსებობდნენ და იმ დიდების ძალიან რომ ეშინოდა, ამის გამო ლერიკოს კონტროლი დაიწყო და ეუბნებოდა, ისე არ არის, შენ რო გგონია და ცოტა ჩაუნიე ავარჯარებულ ფითილსაო.

ლერი მამაცი იყო, როგორც ნამდვილი ახალგაზრდა. მამის ყველა ასეთი შეგონებას შეურაცხყოფად მიიჩნევდა და ყვიროდა, ერთი შენი ნაწალნიკების დედაც რა ვთქვიო. ეგლა მაკლია, ვილაცის გამო რამეზე უკან დავიხიო. მრცხვენია, მამი, ეგეთი რო გახდით, კაცი მეგონე და ოპტამ ზადნი გქონიაო.

ბოლოს ნესტორი ჰყვებოდა ხოლმე საკულტო ამბავს ბუხუღიშვილთა აღზევებაზე, რათა ბოლოს არ მოეყოლა ამბავი მათ დაცემაზე. შთამბეჭდავი იყო ახალგაზრდა ლერისთვის იმის მოსმენა, თუ როგორ მიაღწია ბუხუღიშვილთა წარსულ-

ში არცთუ წარჩინებულმა დინასტიამ ფინანსურ კეთილდღეობას და ადგილს დედაქალაქის გადაპრანჭულ საზოგადოებაში. თხრობის ბოლოს ნესტორი პათეტიკური ხდებოდა და თვალცრემლიანი აფრთხილებდა შვილს, რომ გადაპრანჭულ საზოგადოებას თუ მოუნდება, ზღაპრული ცხოვრებაც გაქრება, რადგან ისინი ბევრნი არიან, ნესტორა კი — ერთი. მამის მონოლოგების შემდეგ ცხოვრების წესის შეცვლით დაშინებული ლერი ცოტა ხნით წყნარდებოდა. აღარ უზრდელეობდა მამას და არც მის ძმაცაცებს.

და ასე ხდებოდა მუდამ, გარდა უკანასკნელი შემთხვევისა, რომელიც მოხდა კასპის რაიონის რომელიღაც რესტორანში, სადაც პურსა სჭამდნენ მამა-შვილი ბუხულიშვილი და ვინმე კირილე მეთონიძე. მამის მოუწია მამას შვილის პირველად გალახვაც. ბედი მისი, რომ ლერიმ ხელის შებრუნება ვერ იკადრა, თორემ რას მოერეოდა სამოცი წლის ნესტორი ოცდაორი წლის ლერიკოს. ნესტორი ყვიროდა, უწესო ქალებს ნუ დასდევო. კირილე მშვიდად ამატებდა, თანაც სახალხოდ, რუსთაველის პროსპექტზე დგამ სპექტაკლებსო. ლერიც ყვიროდა, უწესო ბებიათქვენია, ვინ შემეყვარდება, ეგეც ბრეჟნევის უნდა ვკითხოო?! \*

— არ მინდა ყავა, ბორჯომი დამისხი.  
— ინებეთ.  
— რამდენია ჩემზე?  
— ათი კაპიკი.  
— გამომართვი და ესეც გამომართვი!  
— ეს რა არის, ბატონო?  
— ეს არის დამამშვიდებელი მედიკამენტი. შიზოფრენიის მსუბუქ ფორმებს დასაწყისშივე სპობს.  
— მერე მე რად მინდა?  
— გეტყვი! შენ რად გინდა და ერთ კარგ კაცს, ზვიად კვიციანიძეს და მის ოჯახს უნდა დაეხმარო.  
— რას გულისხმობს?  
— ვერიკო კვიციანიძე აქ დადის ხოლმე, არა?!

— დიახ.  
— არ ვიცი, შეამჩნიე თუ არა, მაგრამ მას ფსიქიკური პრობლემები აქვს. რესპუბლიკის ყველა ექიმი საქმის კურსშია. თუმცა, ის უარს აცხადებს ნაწილების მიღებაზე. ასე თუ გაგრძელდა, სრულად დაკარგავს ცნობიერებას. გიჟს გავს მამამისი...  
— რას მეუბნებით...  
— შენ ხომ მხოლოდ ყავის მომდულე-ბელი არ ხარ, ხომ მეგობრობ კიდევ ვერიკოსთან?  
— დიახ.  
— მაშინ ერთად უნდა გადავარჩინოთ. მამამისი საქმის კურსშია. მე ზვიადის უახლოესი მეგობარი ვარ, ფსიქიატრი... ჰო, ფსიქიატრი, ნაკაშიძე. ნაკაშიძე...  
— სასიამოვნოა. მე რიტა მელიქიანი ვარ.

— ვიცი, ვინც ხარ.  
— საიდან იცით?  
— საიდანაც საჭიროა. მოკლედ, როცა მოვა, ამ წამალს ჩაუყრი ყავაში. შემდეგ დავაკვირდებით, თუ დადებითად იმოქმედებს, კიდევ მოგიტან.  
— არა, გთხოვთ. მეშინია...  
— რისი, კაცო?  
— რამე რომ მოუვიდეს?  
— არაფერი მოუვა. მტერი კი არ ვარ.  
— ვერა, ვერ ვიზამ.  
— თქვენ იმპორტნი ყავა გაქვთ, არა?!

— იმპორტნი?  
— ჰო. კაპიტალისტური ქვეყნებიდან შემოაქვთ რაღაც მაქინაციებითო, გავიგებ...  
— მე... იცით... ეს ყავა...  
— მოკლედ, დაგვეხმარები, ჰო?!

\*\*\*

ნიკო არდოტელი ყიდულობდა შოკოლადს და კონიაკს. ქუჩის ბოლოში უცდიდა ვერიკო კვიციანიძე. წყვილი მამადავითზე აპირებდა ასვლას.  
ნიკო არდოტელს ჯიბეში სულ ჰქონდა ფული, რადგან ხშირად იგებდა ახალგაზრდულ სპორტაკიადას ცურვაში. ბოლო სპორტაკიადაზე ასი მანეთი აჩუქეს. რესპუბლიკის სპორტის მინისტრი ზღაპრობდა, მიუხედავად ოლიმპიადაზე მაგან უნდა წარადგინოს საბჭოთა კავშირიო.  
მაღალი იყო არდოტელი, ჯონ ლენონის მსგავსი ვარცხნილობითა და მაგარი

შმოტკებით. თავიდან ვერიკოს მაგიტომ შეუყვარდა, სხვა ქაჯევივით არ აცვიაო. ერთმანეთი „მაღალი კომსომოლის“ ყუ-რნალისტ ოღლა მირცხულავას სახლში გაიცნეს. მირცხულავას გასვლა როცა ეზარებოდა, ინტერვიუზე სახლში იბარებდა ვილატებს. არდოტელი ჯერ არ იყო ძალიან ცნობილი მოცურავე, ამიტომ ოღლამ იფიქრა, მე სად ვეახლოო და ეგეც სახლში დაიბარა. ინტერვიუ უნდა ყოფილიყო პათეტიკური და ისეთი, ახალგაზრდებს გაეგოთ, მაგარი მოცურავეები და მხატვრები რომ გახდეთ, ჩვენ უნდა დაგიჯეროთო, იმიტომ, რო ეს ნიკოც ჩვენ გვიჯერებსო. მაშინ ინტერვიუზე მისულ მორცხვ მოცურავეს მთვრალი ვერიკო შეეფთა და მაგრად შეეშინდა, ეს ვინ გიჟიაო. კვიციანიძე გიტარას უკრავდა, რაღაც რუმინულ თუ ციგურ რომანსებს.

ნიკო თუ არა, ვერიკო ეგრევე ავარდა. ყველას ვიცნობ, ყველა მამამს და ეს საერთოდ ვინ არის, დანახულიც არ მყავსო.  
მერე ვერიკო სულ ნიკოს სავარჯიშო აუზის გარშემო დასეირნობდა დესნათი, სანამ არდოტელმა არ უთხრა, წამო, პონჩიკები ვჭამოთო. თავიდან გაეცინა კვიციანიძეს, მაგრამ მერე იფიქრა, შამპანური და ყვავილები ყველა გოიშმა იცის და ეს, ეტყობა, კრუტიო ბიჭია, ნახე, რა მოიგონაო.

\*\*\*

— ვერაჩკა, ვჭამოთ შოკოლადი და მერე განახებ რაღაცას, — ცმუკავდა არდოტელი.  
— ოჰ, როგორც იქნა, — ჩაილაპარაკა ვერიკომ.  
— არა, არასწორად გამოგი. დამაცადე და ნახე.  
— დაგაცადო კი არა, უთხარი ბუხულიშვილს, რომ შენთან ვარ, თორე შუბლს გაუხვრეტ და მერე ციმბირში მნახე ხოლმე საკონცერტო!  
— რა უნდა?  
— რაღა რა უნდა, დამსდევს, მაკონტროლებს, მიყვირის... ნინა კვირაში ალექსანდროვთან ხელი გადამიგრიხა. არ ვაგრძნობინებ, მაგრამ მეშინია.  
— ნუ გეშინია, ვცემ, — გაიცინა ნიკომ.  
— როდის?  
— კიდევ ერთხელ თუ შეგანუხებს, ფეხებთან დაგიგდებ ნაცემს.  
— რა მაგარი რამეები გაცვია ფეხზე.  
— სპორტული ტაპკეხა, პოლონური. მოგწონს?  
— ძალიან მომწონს. მაჩუქე, რა.  
— შენზე სამჯერ დიდი ფეხი მაქვს, გოგო.  
— არაუშავს, მაინც ჩაიცვამ.  
— კაი, მერე გაჩუქებ.  
— ოოო, რო დახვებ, რაღად მინდა. ჟმოტი ხარ.

— არ ვარ ჟმოტი. გიშოვი შენს ზომას. აჰა, მოსვი კონიაკი.  
— მომე. უი, გოგოებმა ანაშა გავსინჯეთ, იცი? ჰაჰაჰა... მაგარი იყო.  
— ვერაჩკა, ზედმეტადაც ნუ აფრენ.  
— ცემი ძანსალი. პაპილოზიც ლომ ალ მოუნევიანა.  
— არ მომიწევია და შენც დაანებე თავი.  
— მეტი საქმე არ მაქვს. კაი, დავაი, მანახე ის რაღაც.  
— რა?  
— რაც უნდა გენახებინა.  
— ა, შეხედე... — ნიკომ ჩანთიდან იარაღი ამოიღო.  
— აუ, ნამდვილია?  
— სპორტულია. წედან სხვების ვარჯიში იყო და მე მთხოვეს, გაისროლეო. მერე დაავიწყდათ გამორთმევა და წამოვიღე გასართობად.  
— სროლა რა შუაშია?  
— სროლა არი ნიშანი, რო შეჯიბრი დაინწყოს.  
— ჰაჰაჰაჰაჰაჰა... — ახარხარდა ვერიკო.  
— რა გაცინებს?  
— ბუხულიშვილი ამბობდა ჩემს დაბადების დღეზე, ვერიკო მომავალი ქართველი დედააო, ხმალი უნდა დაიკავოსო. მეთქი, ხმალი არა, ნაგანს დავიკავებ კიდე და კი მიკავია მართლა, რა გინდა.  
— რატო დაპატიჟე?  
— შენ ზბორზე იყავი და...  
— მაგიტომ დაპატიჟე?  
— გეხუმრე. არ დამიპატიჟებია. თავისით მოეთრა და მამამ არ გამაგდებინა. ნესტორას ვიცნობო.  
— რა იდიოტი ბიჭია.  
— ძალიან. მათხოვე რა ეს იარაღი.  
— ხვალ უნდა დავაბრუნო, მაგრამ რად გინდა იარაღი?  
— ბუხულიშვილი უნდა მოვკლა.  
— კარგი ეხლა, მოდი ჩემთან, — არდოტელი ვერიკოს მოეხვია.  
— დაცა, მერე მეკონცნავე, რა. ეხლა ეს უფრო მაინტერესებს, — კვიციანიძე ხელში იარაღს ატრიალებდა.  
— მიდი, ათვალე რე, ჰა.  
— ვათვალე რო კი არა, ამათ ნახე, რა ვუქნა ეხლა... — ვერიკომ კორპუსებს დაუმიზნა.  
— რას შევბი?  
— ეს ხო არ კლავს?  
— ვაბმე არა, მაგრამ შეიძლება, მოკლას კიდევ.  
— ჰოდა, ამათ ნახე, რა ვუქნა!  
— არ ისროლო!  
— ჰაერში გავისვრი, დედას გეფიცები. ჰაჰაჰაჰაჰა...  
ვერიკომ უმისამართო სროლა დაინყო. ქვეშით, ერთი-ორგან გაისმა ჩაღენილი მინების ხმა...

— მილიციას დაუძახეთ ვინმევემ! — ისმოდა გაბმული ხმები ქალაქიდან.  
— ჩაისვარევეთ?! — კიოდა ვერიკო.  
— რა ქენი, გოგო... ჩქარა, გავიქცეთ!  
— ფერდაკარგული ეჯაჯგურებოდა გოგოს არდოტელი.

\*\*\*

— კაკ ქელა, რიტაჩკა? ჰუჰჰ... რამდენი ვირბინე, — მიესალმა მიმტანს ვერიკო კვიციანიძე.  
— კაკ ვსიგდა. რატო ირბინე?  
— რატო და მილიცია გვეძებს. ჰაჰაჰა-ჰა... ნიკუმას ხო იცნობ?  
— ვიცნობ, ვიცნობ... რა მილიცია, რას იძახი?  
— რა მილიცია და მთანმინდიდან ტყვიები დაუშინა კორპუსებს შენმა დაქალმა, — ჩაერია საუბარში ნიკო არდოტელი.  
— ოოოო, ჰაერში ვისროლე და ნუ ნუნუნებ ჩმორი კაცივით. რა ჩემი ბრალია, მაღალი სახლები რომ აქვთ. თან არ კლავს სპორტული იარაღი. ფანჯრებისთვის ახალ მინებს იყიდებიან.  
— მართლა გიჟი ხარ, ვერიკო, ნამდვილი გიჟი, — იციოდა რიტა მელიქიანი.  
— გიჟი თავი გაბია. გიჟები თქვენ ხართ. რიტაჩკა, შენ თუ გეშინია, ნავალთ. ისე, არ იციან, მე რომ ვიყავი.  
— მე რისი უნდა მეშინოდეს, თუ დაგიჭერენ, ვიტყვი, რომ არ ვიცოდი.  
— დიახაც. მაშინ მოგვიხარშე შენი კოფი.  
— რომელი?  
— რომელი და ვკუს ბრაზილიი. ნიკო, იცი, რიტას ნამდვილი ბრაზილიური ყავა აქვს. ფერეგედან გედეერში უგდებენ ამის ჯარისკაც ძმას და ეს კიდე ძვირად ყიდის.  
— ვერა, ნუ ამბობ, რა, ყველასთან.  
— ნუ გეშინია. არდოტელი ჩვენია. ხო არ იბოზებ, ე, ნიკო? აგე, არ ვიბოზებო. მიდი, მიდი, მოგვიხარშე და შენთვისაც მოიხარშე.

\*\*\*

— გიჟს ვგავარ კაცი.  
— რა მოხდა?  
— რაღა რა მოხდა, კირილე, კაცო... ან შენ როგორ არ იცი?!  
— რა უნდა ვიცოდე, რა გინდა?  
— ის გოგო დაილუპა რაღაცა კაფეში.  
— ვინ გოგო?  
— ისა, კაცო, ზვიად კვიციანიძის გოგო.  
— რას იძახი?! უყურე შენ... „კასა ბლანკაში“ ალბათ.  
— შენ რა იცი?  
— რა ცოდნა უნდა, მანდ დადიოდა სულ.  
— გულის შეტევა მოსვლია. რა დროს მაგისი გული იყო.  
— გული არა, ისა. მორფინისტკა იქნებოდა...





### შალვა საბაშვილი

#### ჯამთარი

სად ვიდოდნენ — დაავიწყდათ ლამის, დაეკარგათ, რაც სადმე მოიძიეს, იანვარი პოლუსია ჟამის — აქ დრო თითქოს სამუდამოდ იძინებს.

რახანია არრამ შეაშფოთა ეს ბორცვები, მოზურულნი ჩარსავით, აქ მოდიან ნაკადულნი დროთა, მაგრამ აღარ გრძელდებიან არსაით.

შორეულთა მუსიკათა მოვლით სიჩუმესთან გადანულან ნოტები, ნაძვის ხეებს ჩაუბლუჯავთ თოვლი გარინდული მარადმწვანე ტოტებით.

იბადება მეტისმეტად მშვიდად, რომ ნარჩენიც იმედისა დაღალის, მწუხარე და უმოძრაო დღიდან მწუხარე და უმოძრაო საღამო.

შეველ სახლში, ხსოვნა დავიფერებზე, რაც მიყვარდა, ჟამმა ნაკლებ დაინდო, აღარ მესმის, ამ ხედიდან ერთხელ გაზაფხული როგორ უნდა აინთოს.

#### მსბავსის არ მქონა

სივრცე, რაგინდ ფართობდებ, შენში ბევრი წყლული სტირს, სიცოცხლე ღირს მარტოდენ აღტაცების გულისთვის.

ჰქმნის სევდათა წყება არილს, და გვიმხელებს ჭოგრები: მხოლოდ გაოცება არის სიხარულის მომგვრელი.

რაგინდ ფიქრი გავაქროლოთ, არ ვინამოთ სხვა დასკვნის: აზრს ყოველი იძენს მხოლოდ ერთმანეთთან გადასკვნით.

სულს მარადის ეძვირფასა მონყურების გენია, ძებნად ის ღირს მარტო, რასაც თვალი არ მისწვდენია.

შესაძლებლის გასაყარზე ფრთამალ მერანს ვაქროლებ, ჩემთვის ფასობს მხოლოდ არსი — არსად მსგავსის არ მქონე.

#### კვლავ თაჰიდან...

ერთ და იმავ თემას უბრუნდები ათასჯერ, იკვლევ მას, რაც თითქოს არაერთხელ გადასჭერ.

რაც მოჩანდა მკვეთრად, ფერმკრთალდება ლანდებად, თითქოს ზღვრულად ცხადი ისევ ბუნდოვანდება.

სულს რა მხარეც ხმოვდა, მისვლა იქ არ რგებია, შენი ლურჯი მზენი ნისლში იქარგებთან.

არ სცალდება შანდალს მწყობრად მოკელაპტრება, რასაც თითქოს გასცდი, ისევ მოგენატრება.

ფიქრი, ოდეს მტკიცე, უცებ იჭირვეულებს, უმკრთალდებათ ხიბლი შენს უძველეს რვეულს.

წვება სახლი, სხმული უმტკიცეს სართულებით, წავლენ ქარნი სულმთლად ახალ მიმართულებით.

და კვლავ მოგთხოვს ჟამი, როცა მძაფრად დაცხება, მეთათსედ რბოლის კვლავ თავიდან დაწყება...

#### მიდიან ჩემი ტოლები

უცნობ მზით ანათროლები საოცარ ბილიკს ვეძებ, მიდიან ჩემი ტოლები ყოფის გადაღმა ველზე.

მათ სულს, ტყეებზე შენაფენს ვინ უმასპინძლოს ღირსად? აქვე ტოვებენ ყველაფერს, ვერ ნაილებენ წკირსაც.

რისთვისაც გული უცემდათ, როგორც ვულკანებს — ლავა, მათი ხსოვნიდან უცებ და სამარადისოდ წავა.

მიდიან ჩემი ტოლები — ითრევთ წრებრუნვა ბეცი, და ამგვარ გადაქროლებით მიმაქანებენ მეც იქ.

შორ ხედთა გამოისობით კარგავ პირვანდელ ზრახვას, მაგრამ ვერ გამოიცნობდი მათ უკანასკნელ ნახვას.

მიდიან, სახე ეცვლება აქეთ დარჩენილ მხარეს, ყველანი გამოგეცლება, ვინც გზანი გადახარეს.

თითქოს შეიგრძნეს ღიად ის, რაც ფარულ ფიქრით ჰფერე, რაღაც ნამდვილად ღიადის მოახლოებას ჟღერენ.

#### ხედვა შორიდან

მთას მგზავრები აჰყავს, ბორცვი ბოლავს ნამწვივით, რამდენ ვინმეს გაჰყავა ჩემი სულის ნაწილი!

შეეხვდი ფარულ რიფებს, სევდამ წვრილად ამკრიბა, მალე ჟამიც მნიფე ატამივით გამკრიფავს.

კეთილის თუ ავის მფანტავი და მკრებელი დღეს ვარ ჩემიც თავის შორი მასურებელი.

#### მონიჭული ტყვენი

მე მინდოდა უცხო ფერადების გროვება, მე მწყუროდა ნამი, მზით რომ შეინოვება. მე მხიბლავდნენ გზები, მინდვრები და ქალები, ვარსკვლავები მხმობდნენ, ღამით ნაციალები. მე მატკობდნენ ვარდნი, აფეთქილი რტოებით, შევცქეროდი ბალებს თვალეზგაფართოებით. თბილი ქარი მზიურ შთაგონებას მახლიდა, როგორც შორი მგზავრი, გავდიოდი სახლიდან. ფერდობების ახლოს ჯაგებოც კი ყვაოდნენ, თვითვე გრძნობდა კორდი, ტურფა იყო რაოდენ. სიხარული მდევდა, მარად განუშორები, ვედებოდით ველებს ტოლები და სწორები. რა გვატკობდა სრულად, ვერც ვერავინ მოთვლიდა, ზრვა მუსიკა ძვრდა თითოეულ ფოთლიდან. სხივის ყველა თრთოლა, სიოს ყველა მობერვა მოვლენილი იყო გულით შესაგრძნობულად. სურდა ყველა მსმენელს ჩაკონვა და ფერება, ის ნეტარი ყოფა ვერრით აღინერება. ჩვენ ვიყავით მისი იდუმალი მიხრობელი, მოხიბლული ტყვენი რაღაც შეუცნობელის.

#### ყველანი და მე

სულში ურყევი კრთიან ხატები, სივრცეც მთლიანი არის ხატება, რაც ჩანს, ყველაფერს მე ვემატები, რაც ჩანს, ყოველი მე ვემატება.

ყოველს მოიცავს გული, გონება, ყოველს ვფლობ, ვიყო არრის მქონებიც, რაც მოჩანს, ყველა მე მეკონება, რაც სუფევს, ყოველს მე ვეკონები.

თუმც ბევრთან ბევრჯერ შევკამათებ, და ბევრიც ჩემთან შეკამათება, ვინც სუფევს, ყველას შუქით ვნათებ, და ყველა — ჩემი შუქით ნათდება.

ო, არაერთხელ ამეტყველებდა სიბრძნე, ბევრისგან მოუხელთები, ყოველი არსი ჩემში გრძელდება და მეც თვითეულ არსში ვგრძელდები.

სულში სამყაროს კრთიან ხატები, სამყაროც სულის არის ხატება, რაც სუფევს, ყოველს მივემატები, რაც სუფევს, ყველა მოემატება.

#### რაგინდ ჰქუხდეს თქვენი

ბევრი დამეკისრა, რადგან არსთა სხვა რიგზე ვარ, მენანება ის, რაც პოეზიად არ იქცევა.

ვეტყვი მწყაზარ აისთ: „რა რიგრიგად იქოლებით!“, მენანება, რაც არ ცოცხლდება სტრიქონებით.

მოვლენათა მასას ცივი ჟამი გადაარჩევს, მენანება, რასაც ლექსები არ გადაარჩენს.

რაგინდ მძაფრი შუქი, რაც სიტურფის კრთის სახებად, მენანება, თუკი ლექსად არ გადისახება.

სიცოცხლეთა ზოლო, გახმაურებ მარეკივით: გადარჩები მხოლოდ პოეზიად არეკილი.

სხვა, გინდ ჰქუხდეს თქვენი, რაც კი ქვეყნად საითმეა, ჟამის გულცივ წრეში უგზოუკვლოდ ჩაინთქმება.

#### რაც ხანი გადის

რაც ხანი გადის, ნამსხვრევების გრჩება გროვება, მარადის მთელი არაფერი მოიპოვება, ყველა სიხარულს, რაგინდ მძაფრად ოდესმე განცდილს, ჯერ დააბლაგვებს, მერე აქრობს სევდის თოვება. დიდხანს გვატარებს, მაგრამ ბოლოს გასხლტება ნავი, ზედ ვერ დავრჩებით, რაც არ უნდა მტკიცედ მოვებათ, ბოლოს მოგვიჭერს, გაგვანვალებს ყველა სამოსი, ზუსტად საფერი არაფერი მოიპოვება. ქვები, ამგები ერთხელ მართლაც ზღაპრული ტაძრის, ბოლოს გზისპირად, მიმოყრილი ნახო გროვებად, დაბადებიდან თანშეზრდილმაც და მშობლიურშიც ერთხელაც არის, გამოკრთება გაუცხოვება. გადახუნდება ქარ-წვიმისგან ყველა ვარაყი, ყველა მოფიფქვა — მოვერცხლვა და მოოქროვება, ჩვენც სხვა არა გვაქვს — ერთადერთი მოგვანდეს ვალი — ირგვლივ გადაშლილ ველ-მინდვრებზე ჟამის ძოვება.

#### ის უნს ხელში

ვერ შეაკავებ — ყოველივე ერთად გასხლტება, ჩიტების მწკრივი გადაჭიმულ მავთულს ასხდება. ვინც გულმოდგინედ სახავს მყობადს — თავს უქმად იქცევს, ყველა შეხვედრა შეიძლება სულ ბოლოდ იქცეს. აღვსილი წყენით ხამს მადლობას თვის ბედს სწირავდეს, რადგან ცხოვრებას ძალუქს წამში ამოყირავდეს. ხარობდებ — ენთო მზე, ყინულთა გამაღნობელი, თვითეულ მშვიდ წამს აღუვლინე სამადლობელი! რამდენჯერ აგცდა შიშით ფორთხვა გათხრილ სანგრებთან, არც წარღვნა სჭექდა, არც ვულკანი მწვერვალს ანგრევდა. არც შვილების სისხლს ღვრიდა მტერი

შენს ციხე-ქავთან და არც ცუნამი სანაპიროს ქალაქებს ნთქავდა. რამდენჯერ ჩასწვდა სულს გალობა უთვალავ ჩიტის, რამდენჯერ ყრმისას შენს სანატრულს ისმენდი ტიტინს, ან ცალაჟვარდი ღრუბელთ კომკებს ქმნიდა და შლიდა, ან ულურჯესი სივრცე ზღვისა ეფინა მშვიდად. ამოიძიე შენს ხსოვნაში ტურფა დღეები, ბალი, ვენახი, ნაყანობი, ორლობეები, როს მშვიდი სივრცე ვერ გაზნარა მცირე ხმაურმაც, ნელა ავსებდა წვიმის წყალი როცა ნაურმალს, ატმის ყვავილთა სურნელებით მთვრალი ბუნება, მთვარის კამკამის გაიხსენე დიდებულება, ეზოს მამლები, ამაყად რომ აჩენდნენ დეზებს, ჭიანჭველების აღმავალი დინება ხეზე, ფიჩხის მოზიდვა ახლო ტყიდან, ფრენა ფარვანის, ღამით თონიდან ამოვარდნილ ალის ვარვარი... ჩაგძირავს ხსოვნა, დარწმუნდები — მრავალ ნელს ერთობ

დაუსაბამო სილამაზე გარშემო ენთო. ო, სინამდვილე, მოზეიმე, დაუკვნესარი, იმდენი ნელი — სასწაული სწორედ ეს არი. რაც აღარ სუფევს, იმავ ძალით შემოგრჩენია, ვერვინ ნაგართმევს — სამუდამოდ იგი შენია. მიტომ ნუ დარდობ —

მე მტკიცებას მოვიტან მრავალს — რაც ძვირფასია, ვერასოდეს ვერსაით წავა. ის შენს სულშია, ველარსდროს განაპირდება, და ღობით მისი შემოსაზღვრაც სულ არ გჭირდება...





### დალილა ბედიანიძე

#### ციკლიდან „ლაქსაჰი მასხა“

\*\*\*  
 სარკეში ჩავიხედე და ჩემი თავი კი არა,  
 შენ დაგინახე, მაქს!  
 შენ დაგინახე საკუთარ თავში.  
 იგივე თვალები, იგივე ღიმილი, იგივე მზერა.  
 და მე შენ იმდენად მიყვარხარ,  
 რომ საკუთარი სახე დავკარგე  
 და უკვე შენად გადავიქციე.  
 სარკეში იყურებიან ბედობა ღამეს,  
 რათა მომავალი საქმრო დაინახონ.  
 მე კი შენი ცოლობა არც მიფიქრია —  
 შენ ხარ ჩემი ორეული და ჩვენ მაინც ერთად ვართ  
 და ერთად ვიქნებით სამუდამოდ.  
 მაქს! გიყურებ სარკეში და  
 გიცნობ, როგორც საკუთარ თავს.  
 გიყურებ და გესალმები და არ მბეზრდება  
 ეს თამაში — სარკეობანა,  
 რადგან ისე შორს ხარ ჩემგან, რომ  
 მხოლოდ შენი სული ტრიალებს ჩემს ირგვლივ  
 და რომ მოვკვდები,  
 შენი სახელი იქნება ჩემი ბოლო სიტყვა,  
 როგორც მასველი რგოლი.

\*\*\*  
 ბახის ფუგა რე მინორი  
 და ოთახში ვართ ჩვენ ორნი.

და მუსიკა ოთახს ავსებს,  
 დაგეტრიალებს დახრილ თავზე.

სადღაც მალლა, მალლა მიდის  
 ცასა და ჩვენს შორის ხიდი.

რა იცოდა ალბათ ბახმა,  
 სანამ გავიდოდა გალმა,

თუ რას წერდა, ან რას თხზავდა!  
 ის ხომ უფალს დაუზავდა.

ხმას ვერ ვიღებ, მეშინია  
 არ შეიკრას ზეცა ღია.

ბახის ფუგა რე მინორი,  
 ახლობელი და რა შორი.

და ავყავართ მალლა-მალლა,  
 რა დროს შიში, რა დროს დალლა!

უკვდავებით ზიარება  
 ამ მუსიკით იარება.

ისმის, ფუგა ისმის ბახის  
 და ღმერთს ვუსმენთ მისი სახით.

\*\*\*  
 დამიმახსოვრეთ! დამიმახსოვრეთ!  
 ერთხელ მეც ვიყავი ლამაზი  
 და ერთხელ მეც ვმღეროდი.  
 დროს შერჩა ჩემი სიმღერები.

ერთ დროს მეც ვკამაშობდი  
 საახალწლო ნაძვის ხესავით.  
 ახლა კი ძველ წელს მივყვები  
 და მხრებზე მაყრია ჩამქრალი ვარსკვლავები  
 და კენწეროზე ჩამოსავარდნად ქანაობს ბრმა მთვარე.  
 დამიმახსოვრეთ, დამიმახსოვრეთ!  
 ისევ მოვა ახალი წელი,  
 ოღონდ უშენოდ.  
 თქვენს თვალებში იკიაფებენ სხივები,  
 რომლებიც უღერენ სიმღერებივით  
 და ჩემი სიმღერებიც მათში გაერევა,  
 როგორც ჩიტების გუნდში გულწითელები,  
 მკერდზე რომ მოკიაფე სისხლის წვეთები ატყვია.  
 ერთხელ მეც ვიყავი!  
 დამიმახსოვრეთ და გამიხსენეთ!  
 ერთი დრო არავის შერჩება.

\*\*\*  
 სამას სამოცდახუთი ფოთოლი აბია ჩემს ხეს  
 და ყოველდღე თითო ფოთოლი სცვივა  
 და როცა ყველა ფოთოლს წაიღებს ქარი  
 და ხე შიშველი წარსდგება ცის წინაშე,  
 უცებ იფეთქებს მასში ვნება და  
 გაიკვირება და ნორჩ ფოთლებს გამოიღებს  
 და ზუსტად სამას სამოცდახუთი ფოთოლი  
 აშრიადღება ჩემი ხის ტანზე  
 და მისი შრიალი ემგვანება  
 სამადლობლო ლოცვებს ზიარების შემდეგ,  
 როცა განწმენდილი მიეახლება უფალს.  
 სამას სამოცდახუთი ფოთოლი აბია ჩემს ხეს —  
 ჩემი სამას სამოცდახუთი სიხარული  
 და ყოველი ახალი წლის შემდეგ  
 ჩემი ხე იფეთქებს და აღსდგება მკვდრეთით.

\*\*\*  
 როგორც გზატკეცილი ციდან მინისკენ  
 და მინიდან ცისკენ,  
 მზის შუქი მისრიალებს ჰაერში  
 და როგორც საქანელა ზემოთ და ქვემოთ,  
 ქანაობს მთვარე  
 და ვარსკვლავები მონმეები არიან  
 კიდევ ერთი დღის გასტუმრების  
 ზღვის მიღმა, სადაც კეთილი მასპინძელივით  
 ბრუნდება ნაპირზე ზღვის ტალღა  
 და როგორც ერთგული ძაღლი  
 ულოკავს ზღვის პირას მდგარ ხეს  
 შიშველ ფესვებს.  
 საოცრებაა მზის აღმოხდომა,  
 საოცრებაა ადამიანის დაბადება,  
 რომელიც პატრონი და მბრძანებელია ამ სამყაროსი  
 და დადის მზის შუქის გზატკეცილით  
 ცასა და მიწას შორის.

#### სიტყვაჰი

თოვლის ფიფქები ღრუბელთა სიტყვები არიან.  
 წვიმის წვეთები ცის სიტყვები არიან  
 და ცის ძალა აქვთ.  
 ყვავილები მინდორ-ველებს სიტყვები არიან,  
 ფოთლები ხეების სიტყვები არიან.

დავდივარ და დავეძებ სიტყვებს,  
 რომ მოვკრიფო და თაიგულებად შევკონო და  
 ლექსებად ვაქციო,  
 სიყვარულის ლექსებად,  
 რომელნიც მარადმწვანეა, არასოდეს ჭკნება და ხმება,  
 არასოდეს ქრება უკვალოდ  
 და ერთნაირი მშვენივით ამკობს  
 როგორც საქორწინო გვირგვინებს,  
 ასევე გვირგვინებს პანაშვილისა.

\*\*\*  
 ჩემი ნათესავები არიან  
 გვირილები ზაფხულის მინდორზე და ნაკადული —  
 რას ყვება, მისი ენა მხოლოდ მე მესმის.  
 ჩემი ნათესავები არიან  
 მრავალხიანი ტყეები  
 და შორიდან მეხმინანებიან — მომიკითხავენ.  
 ჩემი ნათესავები არიან კოჭლი ღრუბელი  
 და ქვრივი მთვარე,  
 რომელთაც ხშირ-ხშირად ვნახულობ  
 და რჩევებს ვეკითხები.  
 ჩემი ნათესავები არიან  
 შავი ზღვის თევზები,  
 რომელთაც პირი წყლითა აქვთ სავსე,  
 მაგრამ ჩვენი ნათესაობის ამბავზე არ სდუმან —  
 მე ამ სამყაროს შვილი ვარ და შვილთაშვილი ვარ  
 და მერე რა, რომ შვილი არ მყავს,  
 სამაგიეროდ მყავს ნათესავები  
 და როცა დაებერდები,  
 ისინი მომხედავენ.

#### სურათი


ჩემს ცაზე გამოტილა მკვდარი ღრუბელი  
 და ბრმა ვარსკვლავები ყრია,  
 რომელთაც წინ უძღვის ველური მთვარე  
 და გადარგული ხეებისკენ მიჰყავს.  
 გადარგული ხეები ჰგვანან  
 სხვა ქვეყნებში გადამფრენ ჩიტებს  
 და ბასრია მათი ფესვები ჩიტების ფრთებივით  
 და მინაში ისე მისრიალებენ,  
 როგორც მეღუზეები ზღვის სიღრმეში.  
 ლეღვის შემდეგ, როცა ზღვა მეღუზებს გამოიყავს  
 წყლის სამყაროდან ჰაერის სამყაროში,  
 ისინი ისე დნებიან ბასრი მზის ქვეშ,  
 რომ გგონია, გაიპარნენ დედამიწიდან  
 და საკუთარ ნიაღვრს დაუბრუნდნენ,  
 როგორც გადარგული ხეები და გადამფრენი ჩიტები,  
 რომელთაც გადმოჰყურებთ მკვდარი ღრუბელი  
 და ბრმა კენტ-კენტი ვარსკვლავები.

\*\*\*  
 არ გამოვიდა ჩემგან ცოლი და დედა,  
 ბედნიერება მარტოობაში ვპოვე.  
 არც სიყვარული ორმხრივი დამებედა,  
 თუმცა ღმერთს ბევრჯერ, ეს ბევრჯერ მე შევთხოვე.

ახლა არ ვიცი, ვის მივინდო და გავყვე,  
 წინ გზა გრძელია, გავყურებ ფრთხილზე ფრთხილი.  
 როგორც ბუდეში კვერცხი ჩიტისა ლაყე,  
 ამაო ფიქრი მდევს და დამიფრთხა ძილი.

მხოლოდ მაშინ ვარ კარგად და არხეინად,  
 როცა ვარ მარტო, მოსვენებული ჩემთვის.  
 გულში ლამაზმა გრძნობამ დაიდო ბინა,  
 რომელიც ტკივილს და მოგონებებს ერთვის.

არ გამოვიდა ჩემგან დედა და ცოლი  
 და ვინც მიყვარდა, დაუბრუნებლად გაქრა.  
 მე მარტოდენ პოეტის მერგო როლი,  
 ცხოვრების შხამი რათა ვაქციო შაქრად.



აზო თბილელი

თუკი შენს მშობლებს ღმერთი გაუწყნარათ და აბო დაგარქვეს, სრულიად საკმარისია, სკოლაში ქართული ჰაგიოგრაფიის სწავლისას აბო თბილელი შეგერქვას და მთელ სოფელშიც ასე გახმინდეს შენი სახელი.

ახალი მეტსახელისა თუ ნოდების მიღების დროიდან, ანუ მეცხრე კლასიდან, დაიწყო აბომ ვარჯიში. პაპისა და მამის ნიჭი გამოჰყოლოდა — სავარჯიშო მოწყობილობები სულ საკუთარი ხელით შექმნა. ნამდვილი ტრენაჟორების იდეალური მინაბაძები იყო. აბო გულწრფელად და მშვიდი სინდისით ხსნიდა მის მიერ შექმნილი სავარჯიშოების უპირატესობას კატალოგში დახატულთან შედარებით — ნელ-ნელა განიერდებოდა, კუნთები უდიდებოდა და უმაგრდებოდა. კუნთების სიდიდემ სკოლის დამთავრებისას აბო ჩაგრულთა და თავმჯდომარეობისა რიგებიდან მჩაგვრელთა და თავშიჩამტყაპუნებელთა რიგებში გადაიყვანა.


„კაცმა ლუკმა შენი ოფლით უნდა იშოვონო“ — ახსოვდა პაპის ნათქვამი. ბიბლია არ წაკითხა აბოს, აბა, რა იცოდა, რომ ეს სიტყვები პაპამის კი არ მოეგონებინა, გულმოსულ ღმერთს ანდერძად დაუგდია ადამიანისთვის. პაპა კი აბოსთვის მართლა ბიბლიასავით იყო — უყვარდა, მოსწონდა, სჯეროდა მისი, მაგრამ მის კვალზე ცხოვრება ეძნელებოდა.

აბოს პაპა სიბერეში ჩია კაცი იყო, მძიმე-მძიმედ დადიოდა შენელებული კადრით და გამუდმებით თავისი ხელით მოყვანილ თამბაქოს ეწეოდა. ოთხმოცი წლის ასაკში დაიჭინა, ცხენი უნდა ვიყიდო. ახალგაზრდობაში ჰყოლია ცხენი, ომს დაუშორებია. „ბიჭო, აბო, — ეტყოდა ხოლმე, — იმისთანა ცხენი იყო, ჩვენს მეფეებს შემურდებოდა“. კაბალზე გამოურთმეგია ვიდაც კეთილთვისლება თათრისათვის. „რო გავაჭენებდი, ქვეყანა ჩემი მეგონა. ომის დროსაც დედაჩემი და ჩემი ცხენი მესიზმრებოდა მარტო. ცხენს აქეთ-იქით დავაქროლებდი, დედაჩემი კიდე იდგა ჩვენი დიდი ფურცლის ხის ქვეშ და ტიროდა. ვფიქრობდი, რა ატირებს ამ ქალს, რა, რა და ვერაფერს რო ვერ მოვიფიქრებდი, ამ დროს გამეღვიძებოდა კიდეც. ომი რო დამთავრდა და ჩამოვედი, დედაჩემი დამხვდა და ცხენი კი არა, ცუდ კაცებს მოუკლავთ. იმ სიზმარში რო დედაჩემი ტიროდა, ალბათ ეს იყო“.

იყიდა აბოს პაპამ ცხენი და ორიოდ წელიწადში კიდეც ჩამოვარდა და კიდეც მოკვდა. ხვდებოდა აბო, პაპამისი სხვანაირი კაცი რომ იყო, არც მამამისს და მამამისის თაობის კაცებს და არც სხვების პაპებს არ ჰგავდა. ეს სხვანაირობა აბოს მოსწონდა, მაგრამ როგორც სამუზეუმო ექსპონატი, ისტორიული რელიკვია, ისე, ძველია, კარგია, მოყვები მასზე და მისით თავსაც მოიწონებ, მაგრამ არაპრაქტიკულია, სიძველის სუნი დაჰკრავს. ამიტომაც აბო უფრო თანამედროვე საშუალებებს გამოიხატავდა ცხოვრებაში ფონს გასასვლელად.

სოფელში ერთი კაცი იყო, რომელსაც ერქვა უალრესად ღვთისნიერი სახელი — ღვთისაყვარი — და რომელიც იყო უკიდურესად არაღვთისნიერი ადამიანი მიუხედავად იმისა, რომ ერთი-ორი ეკლესიის აღდგენა დაფინანსებინა. კომუნისტების დროს ამ კაცს რალაც დიდი თანამდებობა ეკავა. საბჭოთა კავშირი რომ ინგრეოდა და საქართველო დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდა, ღვთისაყვარმა დრო იხელთა, სახელმწიფო ქონება — ქარხნები, ათასნაირი დანიშნულების შენობა-ნაგებობები, მიწები — უფასოდ თუ ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში და დაიწყო ტყუილად ცხოვრება იმ გამწარებულ დროს. ამის მერე დრო გავიდა და აბო სიიოლის ძებნამ ბატონ ღვთისაყვართან მიიყვანა.

აბოს ყველაფერი ჰქონდა — ფული, მანქანა, ქალები, ძმაბიჭები და ძალის გამოვლენის შესაძლებლობა. დადიოდა ქვეყანაზე და ხან ღვთისაყვარის ბიზნესკონკურენტებს აშინტაყებდა, ხან იმ ხალხს ემუქრებოდა წამებით, ვისაც ღვთისაყვარისგან ფული ესესხა, მაგრამ ვეღარ აბრუნებდა და არც თავის მოპაკედავი ბიზნესს თმობდა — ერთ კაცს კი მალაზიებიც დაუნვა. და ყველას რომ ეთოხა, ასეთი ხილული აკვაკობა და მათი სილამაჟე, ვისთანაც აბოს ჰქონდა საქმე, კიდეც დიდხანს გაგრძელდებოდა.



ამირან ბასილაშვილი

იქაური ნოველები

დებოდა, ერთ დღესაც აბო ყელგამოჭრილი იპოვეს. მამამისი მანამდე ჭკუიდან გადასულიყო და აბოს დაკრძალვაზე საგიჟეთიდან ექიმებისა და პოლიციის თანხლებით მიიყვანეს. ქელეხში სადღეგრძელო მოითხოვა და ის კაცი ადღეგრძელა, ვინც მისი შვილი სიცოცხლეს გამოასალმა.

ასე დასრულდა ცხოვრება ქართველი ჭაბუკისა, აბოსი, დაბადებულ ოცდაშვიდი წლისა. დასაბამითგანის, ქრისტესაქეთისა და ქორონიკონის გამოთვლა არ ეგებოდა, არც ჩვენი ძვირფასი ანბანის ასო-ბგერების შენახება ღირს, მისთვის თავი არ მოუკვეთავთ, ღორივით დაკლეს და საეჭვოა, მის საფლავს როდესმე ნათლის სვეტი დაადგეს.

თმა

მილოზ ფორმანის „თმასავით“ ამბავი ვერ იყო, მაგრამ კამბიზანთ შვილიშვილი გრძელი თმით რომ ჩამოვიდა სოფელში, უბანმა ულაპარაკოდ არ დატოვა. ახლა ვის უკვირს ზრძელი თმა, მაგრამ რამდენიმე წლის წინ სოფელში კი განისჯებოდა ვითარცა არაჩვეულებრივი მოვლენა.

ზაფხულის არდადეგებზე, მზე მოქმედებდა თუ მაყურებელ გოგოთა რაოდენობა, ახალგაზრდები ხშირად და ვერ იტყოდნენ, რომ დანდებით, ულილავებდნენ ერთმანეთს თავ-პირს. ერთ ასეთ ჩხუბში კამბიზანთ შვილიშვილი გამშველებლად მოხვდა, მაგრამ იმ ცნობილი გამონათქვამის საპირისპიროდ, რომ გამშველებელს მეტი ხვდება, კამბიზანთ შვილიშვილი ჯარასავით დატრილადა და ზედახორიდან ხელისკვრით ყრიდა ბიჭებს. ეს რომ უბნის ბებიაქალმა დარემ დაინახა, გამოვარდა ნივილი-კვილით, კამბიზანთ შვილიშვილს მივარდა, თმაში ხელი ჩაავლო და ქალი ხარ, სად ეჩრებიო, თმის თრევით გამოიყვანა. დარე კი დააშოშმინეს, მაგრამ არა მგონია, გრძელთმიანი კაცის რწმენა როდესმე გასჩენოდა.

ეჭიმი

მ, რა უცნაური კაცია ჩვენი ეჭიმი. გამშინჯა და რო გამოვდიოდი ოთახიდან, მამაძახა, ცოტა ნორმალურ ეჭიმსაც ერყენო. აბა, ეჭიმი რომ მაგია გეტყვის. ჩვენია, ჩვენი გვარისაა, კაი კაცია, მაგრამა თავი ყადრი არ იცის. ეგემარე ემასხრება

ყველა, არ კი იცის, რო ზოგი გულბოროტია, ეს რო მასხრობს, ის გულში იმახსოვრებს და მერე საცა არ იქნება, იქ იტყვის.

მაგი მამაი ჩვენ ოჯახში მოსვლა ძან უყვარდა. ეგე, ანაგი მიჯნაზე, არა ცხოვრობენ, ვირი ყავდა და იმით წამოჩაქაქებოდა ხოლმე. მე ის ფხიზელი არ მინახნია, თავი ნილი სუ მიღებული ქონდა. მამაჩემზეც ვერ იტყოდი, დალევა არ უყვარდა და მოსულ სტუმართან პურ-მარილი გაზიარება უჭირდა. დასხდებოდნენ და ისხდნენ მთელი დღე და ლაპარაკობდნენ ამ მთისას და იმ მთისას. ბევრ ვერა სვავდნენ, მაგრამა იმასა ყოფნიდა, იმიტო, რო უკვე ნაცლაპი ქონდა, სანამ ჩვენსა მოიღოდა. ხან ჩვენსა დარჩებოდა, ხან კიდე თავი ბიჭი, ე ჩვენი ეჭიმი, გადმავა კითხვდა და ნაიყვანდა ხოლმე, ცხენზე შამაისვამდა და იგრე. ი ვირ კიდე აქა ტოვებდნენ. ამ გადმოკითხვაში დავმეგობრდით ჩვენა და, ეგე, აქამდე მოვდივართ. განა ცუდი ეჭიმი, კაია, ი დიპლომი თუ რალაცა ვერ აიღო, იმიტო კი არა, ტვინმა არ შაუნყო ხელი, იმიტო, რო დეეზარა, ვერ დეელოდა, ან ე ქალაღები რი მაქნისია, აექ თუ არაფერი გიყრია და ფხა არა გაქ. მაგრამა ჩვენი ხალხია ეგეთი, შინაურ ღვდელზე რო ანდაზა მოიგონეს, მართალია, ვილაცა ქალაღებიან ეჭიმთან გაიქცვიან რაიონში, ამასთან კიდე არ მოვლენ, რა იცისო. იცის, როგო არ იცის, მაგრამა წამალ ცოცხალი თავით არ გამოგიწერავს. ბაღლ რო ყელი ატკივდება, ეტყვის, ბაბოშენ რო გადამალოდი ტყლაპი აქ, გამაართვი და ისა ჭამე; თუ გახველებს, ლეღვი ჩირი მაადლე და ის დალიე, ყელ მოგიღობოსო, გეტყვის; წნევა თუ განუხებს, ღორი ხორც და სასმელ მეერიდო, დაგარიგებს. აბა, ეგეთი ეჭიმი ვის უნა ეხლა ჩვენ დროში. არზები თუ არ ჩამოუნერა ეჭიმმა თავი დოზებითა და განრიგით, ვერ მაისვენებენ. ეს კიდენა საცოდავი გულისაა, ხალხი ჯამრთელობაზეცა ზრუნავს და იმათ ჯიბესაც უფთხილდება. რა აქ, ქონება მაგია არ მოუგროვებია და არაფერი, ი სახლიც მაგი მამამ ააშენა, ცოლი მაგია არა ყავ და შვილი. ე პატარა გოგობიც, ბულბულაი შვილიშვილები, არ ასვენებენ, ჩვენ ვისნავლეთ და ეხლა ჩვენ უნ დავეგეთ ეჭიმებათო. იგრე იკლირსებთან, დიდ ხან ვერ გაუძლებს ჩვენი ეჭიმი, გემერეიდებათ. სწორსაც იზავს. წამოა და დაჯდება სახში. ხან მე გადავალ იმაითთან, ხან ის გადმო ჩემთან. მამაჩვენებსავით, ი ცხონებულსავით, დავსხდებით, პატარა სუფრაი გავიწყობთ, ღვინოი მოვიდგავთ და ვიქნებით აეგრე. რა, განა მამაჩვენების შვი-

ლები არა ვართ, განა ჩვენ არ გვიყვარს ჩაყლაპვა?!

თეთრი ცხელაბა

ყმანვილკაცობიდან სვამდა. ბევრს. ცოლის მოყვანამ არ უშველა და შვილების დაბადებამ. არყის პირველ გამოძვდელს ლოცავდა, ღვინოზე იჯლანებოდა, მაგრამ არც იმას იკლებდა.

ნახევარ საუკუნეს რომ გადასცილდა, „ბელაია გარიჩკა“ დაემართა. მამინ მე რა ვიცოდი, „ბელაია გარიჩკა“ რა იყო, მაგრამ დედაჩემზე რომ ჰკითხა ცოლმა, აბა, ზაქარ, იცანი, ვინ არიო და იმან, რას ამბობ, ჩემი ბიძაშვილი გია არ არიო, რომ უპასუხა, მივხვდი, კარგად არ ჰქონდა საქმე. მერე კი უარესს შევესწარი. ნათესავი ქალი მოსულიყო, ზაქარას ხელი ხელში აელო და იცრემლებოდა. ზაქარამ ხელი მაგრად მოუჭირა ამ ქალს და დრრრ, ცხენო, შე სამგლეო, დაუყვირა.

თეთრცხელბიანი ზაქარა დედაქალაქში მოარჩინეს. გამოკეთებულმა ზაქარამ ერთ ხანს იკავა თავი, იკავა და მერე თეთრით კარგად გამოთვრა. გამოთვრა და მთვრალი მიჰყვებოდა ცხოვრებას, სანამ სული არ განუტევა.

ლოთობა რა გასაკვირია ან თეთრი ცხელაბა, მაგრამ თქვენ არ იცით, რა ფიქრებით იყო გატაცებული ზაქარა. რომ გითხრათ, პირამიდების აგების საიდუმლო აინტერესებდა-მეთქი, დამიჯერებთ? ან უფრო მეტი, ქრისტეს მოკვლის მიზეზს იკვლევდა-მეთქი? „ი საწყალ კაც, იესოს, რას ერჩოდნენ?“ — მკითხა ერთხელ. რა უნდა მეპასუხა? ის, რაც სოფლის მოძღვარმა უპასუხა და რასაც ყველა დანარჩენიც უპასუხებდა? რომ იესო კარგი იყო და სიკარგის გამო მოკლეს? მერედა სჯეროდა ზაქარას, რომ სიკარგის გამო შეიძლება კაცი ასე გაიმეტო? საწყალი იესო...

ჩაპრა

მეხუთიქალსალი ბიჭი მასწავლებელს გაკვეთილიდან ეთხოვება და საჭირო ოთახისკენ გარბის. ოთახი კი ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში ეზოში მდგარი გაურკვეველი ფორმის პატარა შენობაა. რამდენიმე ადგილას დიდი გათლილი ლოდებია ჩატანებული. ეკლესიის ქვებიაო. საიდან მოხვდა აქ, უცნობია. გაჭირვება თორემ ამ

საპირფარეშოში შესვლა არც შეიძლება. ბიჭი სუნთქვას იკავებს ხოლმე შესვლისას და მერე განითვლებული გამოივსის. საპირფარეშოსთან მეთავე და მეთერთმეტეკლასელები დგანან. გაკვეთილებს აცდენენ, სიგარეტს ეწევიან და თავიანთ დიდობას ამით ამტკიცებენ. ისიც იქ დგას, მეთექვსმეტეკლასელები. ბიჭს რომ დაინახავს, ხელს სტაცებს და ზურგზე მოიდებს. დაატრიალებს რამდენჯერმე. ბიჭს პერანგზე ღილები აუნწყება.

— მამაშენს რატო არ დაყვები მინდორში?

— ინგლისურზე დავდივარ და ცეკვაზე.

— ინგლისურზე! შენც ეხლა ის არ გამოხვიდე.

— დამსვი.

გურამი ბიჭს დასვამს. ბიჭს სიბრაზე ახრჩობს. მთელი არსებით სძულს გურამი. საპირფარეშოში შედის, მაგრამ აღარ უნდა. უკან გამოსვლისას გურამი შეუსწრებს.

— მოდი აქ! — სახეს ახლოს მიუტანს, — ცხვირში შემხედე, კინკლები ხო არ მაქ?

ბიჭი უყურებს ნესტოებში, აქა-იქ ჰკიდია კინკლები, მაგრამ ეუბნება, რომ არაფერი აქვს. ჯერ გურამი გადის საპირფარეშოდან, მერე ბიჭი მიჰყვება. გურამი მეგობრებს უერთდება, რომლებიც საბანაოდ აპირებენ წასვლას. გამწარებული ბიჭი საკლასო ოთახისკენ მიდის. მას სკოლა სძულს, სკოლას კი სულ არ ადარდებს, რატომ სძულთ ის პატარა ბიჭებს.

**აღდგომა**  
ეკლესიაში

ლამისთქვაა. ხალხით გადავსებული საყდარი. ლიტანიობა დაიწყო. ეკლესიას სამჯერ შემოუვლიან გალობითა და ანთებული სანთლებით. ზარების რეკაც იქნება, მაგრამ მათი ხმა სოფლამდე ყრუდ თუ მიადვინვებს. ტაძარი შორსაა მოსახლეობიდან, ტყეში. მთებთან რომ გადმოხედავ, იფიქრებ, თითქოს გორაკს თავი გადააჭრეს და იქ ააშენესო. გემოვნებიანი ხალხი იყო, იცოდნენ, სად რა აშენებინათ.

მღვდელი ახალგაზრდაა. ყოჩაღი ჩანს, საცეცხლურს სწრაფ-სწრაფად იქნევს. თვალები ისე ახლო-ახლო აქვს ერთმანეთთან, ეშმაკი კაცი უნდა იყოს.

ეკლესიის დახშულ კართანაც იგალობეს და მხოლოდ მერე გახსნეს კარი და შევიდნენ. ცისკრის ჟამის მსახურება დაიწყება, რომელსაც წირვა მოჰყვება. მედავითნებმა კითხვა დაიწყო. ანტიფონურად კითხულობენ, თითო საკითხავის შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებიან. მედავითნეთა კათედრა სამკვეთლოს პირდაპირაა. სამკვეთლოს კარი გაიხსნა და მღვდელმა გამოყო თავი. მოცლილად მყოფი მედავითნე მგალობლებთან ლაპარაკში გართულიყო, მაგრამ დაჟინებულმა მზერამ სამკვეთლოს კარისკენ მიახედა. მღვდლისკენ ნავიდა. სანამ მიუახლოვდებოდა, მღვდელმა შორიდანვე დაუნყო ლაპარაკი, ეგ რა საკითხავსა კითხულობთო. მედავითნემ უთხრა, რასაც კითხულობდნენ. არაო — თავი გააქნია მღვდელმა — ეგ ძაან დიდია, მაგას ნუ ნაიკითხავთ, გამოტოვეთო. კარგიო — მედავითნემ და თავის ადგილს დაუბრუნდა. მღვდელმა კვერქსი წამოიწყო. ყოველ მუხლზე, ქრისტე აღდგაო — მგალობლები პასუხობდნენ.

მედავითნემ ამხანაგს გადასცა მღვდლის ნათქვამი დიდი საკითხავის გამოტოვების შესახებ. ეს კაცი გამაგიჟებს, ამ ღამეს გათენება არ უნდაო — ჩაილაპარაკა იმან. მე რა ვიცი, აბაო — მხრები აიჩინა ამანაც. იდგნენ მედავითნეები, ტაპიკონს ჩაჰყურებდნენ და მომავალ საკითხავებს ამზადებდნენ.

**სასაფლაოზე**

აღდგომამ დღესასწაულია და იზეიმეთ, საფლავებზე ორშაბათობით გადითო — გვეუბნებიან მღვდლები. აღდგომა თუ სიკვდილის დამარცხების, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაულია და თუ ღმერთისთვის მკვდარიც ცოცხალია, მაშინ კვირას გახვალ თუ ორშაბათს, რა მნიშვნელობა აქვს.

სოფლად ორშაბათობითაც გადიან და კვირაობითაც. ძველი ხალხი კვირას დადის. ავთანდილა ახალი მკვდარია. გოგო

და შეილიშვილები ჩამოვიდნენ ქალაქიდან საფლავზე გასასვლელად. მეზობელმა მიშამ წაიყვანა საფლავზე. ავთანდილა ღვინის ჭიქით ხელში გამოეხატათ შავი მარმარილოს ქვაზე. ისეთი ცოცხალი სურათი იყო, ჭიქასაც კი მიუჭახუნებდა კაცი. ავთანდილას გოგომ მიწაზე გაზეთი გააფინა და ზედ პასკა დაჭრა. მერე შვილებს — გოგოსა და ბიჭს — სანთლები და კვერცხები ჩამოურიგა. ბავშვებმა სანთლები აანთეს და კვერცხები გააგორეს. ბიჭს სათვალე ეკეთა. მაისხენ, ჯო, სათვალე, პაპაშენ რო ემაგრე დეენახე, ხელმეორედ გადაიბანცობოდაო — გადაულაპარაკა მიშამ. ავთანდილას გოგო უქმრო იყო, ქმარი საზღვარგარეთ წასულიყო და მერე იმისი კვალი დაკარგულიყო. გოგომ „ბორჯომის“ ბოთლიდან ღვინო ჩამოსახსა ჭიქაში და — მიშა ძია, დაილოცეო — მიანოდა. მიშამ ჭიქა ჩამოართვა. ჭიქაში ბალახი თუ ფოთლის ნაგლეჯი ჩავარდნილიყო, ნეკა თითოთ ამოიღო, მერე კი დაიწყო: „ხსოვნა იყო ჩვენი მიცვალებულებისა გიორგევიჩი თამადაობით, მთელი დუნი მკვდრები აემ საღირაული სასაფლაოთი თამადაობით ღმერთმა ნათელში ამყოფო. გიორგევიჩი, იქიდან ილოცე აემათვიჩი!“. დაასრულა სადღეგრძელო, ჭიქა დაბლა დაიქნია, ხელის ზურგით პირი მოინმინდა და პასკის ნაჭერს პატარა ნაწილი წაატყა.

პასკა, კვერცხი, ღვინო საფლავზე რჩება. პატარა ბიჭები დადიან და აგროვებენ, რადგან მათი ოჯახები ვერც პასკას აცხობენ, ვერც კვერცხს ღებავენ და ვერც ღვინოს აყენებენ. აგროვონ, შეარგონ, მისავალიც ეგ არი.

**სახლში**

— ბო, ნონაპ, როგო ხარ?

— კარგათ, ელიკო ძალო, შენ როგორ ხარ?

— რავი, აბა, როგო ვიქნები, ეგე, მინდერიდან მოვდივარო.

— აღდგომას? ირემი ხეს არ შეეფხანებო და...

— რას ამოხ, აჯამო, ეგ გუშინ, დღეი შეილება.

ქალების დიალოგს ნონას ქმარი, გოჩა, უერთდება.

— მალხაზა სად არი, ელიკო?

— სახშია.

— მიდი და გამოდით, გო.

სააღდგომო სუფრა მზადდებოდა. ნათესაობა შეიყრებოდა. წლიდან წლამდე აღდგომა ახვედრებთ ერთმანეთს, აღდგომალა ახსენებთ ბავშვობას, ახალგაზრდობას, ერთად გატარებულ წლებს, იმ დროს, სანამ გათხოვდებოდნენ, დაცოლშვილდებოდნენ, სამოვარზე გადაეგებოდნენ, სანამ დაბერდებოდნენ, გამავდებოდნენ, ნელში მოიხრებოდნენ, თვალს დააკლდებოდნათ. აღდგომის დღესლა თუ გაიცინებდნენ გულიანად, თავისუფლად, დაუნახებლად.

ზემოთა სახლში გავუშალეთ სუფრა, იქა გრილაო, როგორც იქნა, გადანყვიტეს. ბეზინი არ იყვნენ, მაგრამ ვინც იყვნენ, ერთმანეთს ხუთი თითივით ეცნობდნენ. კარგიც იცოდნენ ერთმანეთისა და ავიც. სიყვარულისთვის თუ კარგი ურთიერთობისთვის, როგორც ჩანს, ორივეს ცოდნა აუცილებელია.

ჩაქაფული კარგად იჭიმებოდა, ზედ მწვანელიც კარგად ეტანებოდა, მაგრამ ღვინო რჩებოდა ისე. ქალები არ სვამდნენ, ახალგაზრდები ნრუპავდნენ და გოჩა და გოგლა რამდენს დალევდნენ. მალხაზა კი არ ჩანდა.

— გოგლავე, კაი ჭარხალია, არ გინა, მოგანოდო? — ჰკითხა ცოლმა გოგლას.

— მოიდა, მამაშორე, თეფშ გამითხუნავს, — უპასუხა გოგლამ.

კარის დაბრახუნების ხმა იყო. ეზოში მალხაზა შემოვიდა.

— ამდენი ხანი რას იბანდი, მირონ იცილებდი? — შეაგება გოჩამ.

— მოდი, მოდი, არხზე იყავ? — ახლა გოგლამ დაუნყო.

მოვიდა მალხაზა და გოგლას გვერდით დაჯდა. გოჩა თამადაობდა. ფეხზე იდგა, ცხელ-ცხელი მამალი მოეტანათ და იმასა ჭრიდა.

— გოჩი, სანამ ხელებ გაინმენდავე, მე დავლევ, დრო რალაზე დავკარგო, — თქვა მალხაზამ და, მაიტა, აბაო, გოგლას მიუბრუნდა. გოგლამ გრაფინიდან ღვინო ჩამოუსხა.

საჭმლის ჭამას ღვინის სმაც წამოენია. ქალები აღარა ჭამდნენ, კაცები სადღეგრძელოებს შიგადაშიგლა ამბობდნენ.

— გოჩი, პაპიროშ თავი გაანებ? — გაახსენდა გოგლას.

— ხო, გავანებე და დავისვენე კიდევ. ეგე, სუთმეტი კილო მაქ მომატებული.

— მალადეც. მეც უკვე იმ დონეზე ვარ, რო თავი უნ გავანებო.

— შენ ყოველდღე მაგ დონეზე ხარ, — გოგლას ცოლს კაცების ლაპარაკი არ გამოეპარა.

იმდენ ხანს ისხდებიან და დღეევენ, სანამ ენა არ დაეხმებათ და ფეხი არ აერევათ, სანამ ლაპარაკის საღერღელი არ აეშლებათ და ბოდილის სურვილი არ მოუვლით. ლაპარაკი, იცოცხლე, მაგრამ ბოდილის აღარც ასაკია და აღარც შეძლება. დალიონ, ილაპარაკონ, რას აშავებენ. აღდგომა წელიწადში ერთხელაა.

— ქრისტე აღდგა!

— მეგელანდებოდა! — იქაური ვითომ ენამოსწრებული პასუხი.

**ფიგუ**

ჩამ წინ მიდის. ჩამოსახვევიდანვე დავინახე. ის იყო, თითქოსდა ბავშვური, ბოლომდე ვერგაბედილი სიარულის მანერით. ტყავის სამემოდგომო ქურთუკი აცვია. ნელში უფრო მეტად მოხრილა.

სოფელში მამიდასთან ჩამოდიოდა და პირველს მე მნახულობდა. ფეხბურთს დიდებულად თამაშობდა, ლამაზად და მოხდენილად, ამიტომაც ფიგუ შეარქვეს. ფიგუ ჩვენი გუნდის გამორჩეული ფეხბურთელი იყო. ლამით ჩემთან რჩებოდა. აივანზე გვექნია. იმას ჩემს სანოლს ვუთმობდი, მე კი პინგ-პონგის მაგიდაზე ვიშლიდი ლოგინს, აივანზე მეორე სანოლი აღარ ეტეოდა. გვიან ვიძინებდით, სიჩუმე რომ სრულად გამეფებოდა, აქა-იქლა თუ გაისმოდა ძაღლების ყეფა. ძილის წინ ვოცნებობდით, რომ ერთ დღესაც დიდი ფეხბურთელები ვიქნებოდით, ნამდვილ გუნდებში ვითამაშებდით, ნამდვილ სტადიონზე ვირბენდით და ჩვენი თამაშით აღტაცებული მაყურებელი გაგვალმერთებდა.



ჩვენ გვინდოდა, ვყოფილიყავით ფეხბურთელები და გვექნოდა ფერმა და ტბა. ფერმაში გვეყოლებოდა ყველა შინაური ცხოველი და ფრინველი — ძაღლი, კატა, ძროხა, ღორი, ცხვარი, თხა, კამეჩი, ცხენი, ვირი, ჯორი, ჯორცხენა, ქათამი, ინდაური, ციცირი, ბატი, იხვი. ტბა არ იქნებოდა დიდი. იქ იცურავებდა ბევრი თევზი. ტბაში და ტბასთან იცხოვრებდნენ ბაყაყები, გომბეშოები, კუები, ხვლიკები, გველკუები, გველები, გველხოკერები, იხვები, წყლის ქათმები...

სვლას ვანელებ. ვიცი, ახლა გზა უნდა გადაკეთოს და ქვემოთ ჩაუხვიოს, ამ დროს კი შეიძლება, ჩემკენ გამოიხედოს. არ მინდა, დამინახოს; არ მინდა, დამელაპარაკოს. ჩემი სახლიდან შორს არ ცხოვრობს. ადრეც შემხვდა. ახლა სამსახურში მივდივარ და აქვეა, შემომიარეო. ფიგუ „მატორისტია“. მანქანის ძრავებს აკეთებს. არ შემივლია. რისთვის შევუარო? ფეხბურთელები ჩვენ ვერ გავხდით, ტბა და ფერმა ჩვენ ვერ გავაკეთეთ. რაზე ვილაპარაკოთ? მივალ ჩემი ვითომ ადამიანური სამსახურიდან დალილი და ნერვებმოშლილი, მოიცვლის ფიგუც. დაიბანს იმ თავის გამაზუთიანებულ ხელებს (რა ფაშორებს იმ მაზუთს?!). დაველეთ იაფფასიან ლუდს და იაფფასიან სიგარეტს გავაბოლებთ. ფეხბურთზე ჩვენ ვეღარ ვილაპარაკებთ. დამთავრდა, ნავიდა ეგ ამბავი.

ფიგუსთან რალა დამრჩენია?!

**ღვინო**

— შამო, ტარას, რა შორიდან იყურები, — შეინვივა ეზოში ღადაღანთ გოგია მუზობელი. ტარასას თავპატიყი არ გამოუდია, ან კი რატომ გამოიდებდა, უცხო ხო არ იყო? გოგია და ისა უბნელები იყვნენ, კლასელები და მოგვარე-ბიძაშვილებიც.

გოგიას ფიჩხი მოეჭანა. ფიჩხი, თითონ ეგრე ეძახდა, თორე სხვა მაგ სისხოსას შემას ეზიდებოდა. ჯანიანი კაცი იყო, მუშტები დევისა ჰქონდა. ერთხელ ქვემოთა უბანში, გზაზე, როგორც თითონ გოგია უწოდებდა, რადგან შარავზასთან ახლოს იყო ეს უბანი, ვილაცა იმ უბნელი კაცი ახირებია რალაცაზე. გოგია გულფიცხი კაცი იყო, ბევრი არ უფიქრია, დავკრა თუ არა ეს ჩემი დევის მუშტი თავშიო და დაუქრავს. ის კაცი მერე გოგიას ბიჭს ეუბნებოდა, ერთი ჰკითხე მამაშენს, რკინა დამკრა თავში თუ რა დამკრა, მაგ ღმერთძაღლმაო.

გოგია ტანჯული კაციც იყო. მამამისი სამამულო ომში გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა, ამიტომ სტალინმა მოუსვა ხელი და ოჯახიანად ყაზახეთში გადაასახლა. ბავშვი იყო გოგია, ტრატორზე რომ იჯდა და ყაზახეთის მიწებს აბრუნებდა. ბელადი რომ მოკვდა, მობრუნდნენ. ფიცრული სახლის ადგილზე კაი აგურის სახლი ააშენეს. აქაც დიდად გაისარჯა გოგია. მერე ჯარში ნავიდა, რუსეთის ცივ მხარეში, ჯარიდან ჩამოსულმა კი ცოლი შეირთო და დაიწყო ჩვეულებრივი სოფლის კაცის ცხოვრებით ცხოვრება, რაც, უპირველესად, და შეიძლება ითქვას, მხოლოდ შრომას გულისხმობს თავის პატარა, ხშირად შემთხვევითი გამონათებებით, რასაც საზოგადოდ მიღებული აზრი ბედნიერ ნუთებს უწოდებს.

გოგიას შვილები დაეხინავებინა და ცოლთან ერთად წყნარი ცხოვრებით ცხოვრობდა ანუ კუკუნებდნენ, აღარც აშენებდნენ, აღარც ანგრევდნენ. დასაგრევი დაენგრაით, ასაშენებელი აუშენებინათ, გასაზრდელეები გაეზარდათ და ახლა ცხოვრების ბოლო ფაზადა ჰქონდათ გასავლელი, უფრო სწორად — დასამთავრებელი, რაც სიკვდილსა ნიშნავს და მისი გარდუვალობა არ იქნება. ოღონდ კი გოგია ღვინოს მანაც აყენებდა და მისი ცოლი პურს მაინც აცხობდა.

ტარასა პატარა სკამზე ჩამოჯდა. გოგია ნავიდან ხელები ამოიბანა, სახეზეც შეისხა წყალი და სახლში შევიდა. იქიდან ჭიქით ღვინო გამოიტანა.

— ერთი გამისინჯე, ტარას, როგოთია, შეპარული ხო არა აქ?

ტარასამ ჭიქა გამოართვა, სულმოუთქმელად გადაჰკრა, ეშმაკურად ჩაიცინა და თქვა: „აბა, ერთი ჭიქით როგო გავიგო?“

გოგიასაც გაეცინა და გაცივებული მარანი შევიდნენ. იქიდანაც გაცივებულები გამოვლენ. ასეა, როცა ქვევრში კარგი ღვინო გიდგა, მეკრდში კი კეთილი გული ძგერს...

გვანცა გვამათასი ფეხსაცმელს რომ ლურსმავდა, მარცხენა ხელის ცერა თითზე ჩაქუჩი ისე ძლიერ დაირტყა, ლამის წამოიყვირა. ჩაქუჩი მოისროლა და თითი უმალ პირში ჩაიდო. უხურდა. ბაღლივით სწოვდა...

რა ხანია, იოსებ ჯანაშვილს ეს ჩაქუჩი უჭირავს ხელში. სიჭაბუკის წლებიდან ეს არის მისი იარაღი, ეს და მახათი — არც მახათი შერტობია თითში და არც ჩაქუჩი დაურტყამს ხელზე. არასოდეს — ერთხელაც არ ყოფილა ასეთი რამ. ამიტომ იმას შეუკუთხა, იმის სულის ჯოჯოხეთში დასახლება შესთხოვა ადონაის, ვისი მიზეზითაც ამ ხნის ხელოსანმა ცერა თითის ძვალი ლამის გამხმარი სიმინდით დაფუძნა. თითი პირიდან გამოიღო — შალიკია „ბომბორას“ თავივით ჩანთივით... კიდევ ერთხელ უხსენა დედ-მამის სული იმას, ვინც მეორე დღეა, სულს უფორიაქებდა. სულის აფორიაქებას კიდევ გაუძლებს კაცი, ჯავრმა ისე დარია ხელი, სუნთქვაც კი უჭირს — რადიო უკანასკნელ ცნობებს ყოველ საათში გადმოსცემს და იოსებს სხეული ხან წინაწარმით დათუთქულივით უხურს, ხანაც, ამ გაგანია სიცხეში, ხელის თითები ლამის ყინულის ლოლვებზე ექცევა. ამის მიზეზი იმის წარმოდგენა გახლავთ, რაც იმ ოჯახგადასაშენებელი კაცის ქადილს შეიძლება, მოჰყვეს. თუმცა, წარმოდგენა რალა საჭიროა, ის კაცი საჯაროდ, საკვეყნოდ აცხადებს — „გიხაროდეთ, ხმელთაშუა ზღვის თევზებო, ხვალ მთელი ისრაელის ებრაელობის გვაძებს გადმოგიყვრით, ებრაელთა გემრიელ ხორცს ნება-ნება შეექცით!“

— რავარია, რავარი სულის პატრონი ყოფილა! — შესძახა, მოსროლილი ჩაქუჩი აიღო და ისე დაიჭირა, გეგონებოდათ, ვილაცას უდგებოდა. არა, ჩაქუჩი ასე თავად არ დაუჭერია, ფიქრმა დააჭერინა — ფიქრს შეყოლა: „ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან: თევზებს ეუბნება, ხვალიდან ებრაელების ხორცის ჭამით გაგაძობთ?! ყველა ისრაელის შვილი ზღვაში უნდა გადაყაროს და თევზებს აჭამოს!“

გვანცა გვამათასის ფეხსაცმელი აიღო — ენადა, მისი დაღურსმავა მოეთავებინა. „რა არი ეს, რას დაუმსგავსებია ფეხსაცმელი — დადის, თუ ფეხს მიაჩრიალებს. რო კითხო, მაგნაირი კოპონია და თავმომწონე გოგო ამ ქალაქში არაა!“ მერე შერცხვა კიდევ, ის გოგო რომ გაკილა — „რას ვერჩი, ძალიან კაი გოგოა, ფეხსაცმელს თუ იხმარ, გაცვდება, აბა, რა მოუვა, რკინა ხო არ არი!“

ფეხსაცმლის დაღურსმავის ჩათავება ენადა, ფიქრით მონოლილი დარდი არ უშვებდა — ხელის განძრევის უნარიც კი დაკარგვოდა. სიციხე? ჯერ თორმეტიც არ გამხდარიყო და მზე ძლიერ აჭერდა. ბუდრუგანას შემოსასვლელზე ჩამოფარებული ფარდაგი გადასწია — იქნებ ნიაგი მელიროსო. „სად არი ნიაგი — ნიაგს ოქროს ფასი ადევს!“ ქუჩას გახედა. არც დაბლა — ბაზრისაკენ, არც ზემოთ — სადგურისაკენ ადამიანის ჭაჭანება არ იყო. „ამ ხვატში კარში ვინ გამოვა!“ — გაიფიქრა და ოფლი ჩამოინწინდა. ცხვირისაქოც ისე სველი იყო, სახე უფრო დაუსველა. „ნიაგი არც იქ არი — ქუჩაში — და აქ ვინ მომართმევს“. შემოსასვლელს ფარდა ისევ ჩამოაფარა — ქუჩის ბუღს მაინც დაიჭერსო: „არაბებმა უდაბნოს ხვატი აქეთ, ჩვენსკენ გამოუშვეს — საქართველოში წადი, შენი მცხუნვარებით იქაური ისრაელისშვილები ამოშანთე, ჩვენს მეზობლებს ჩვენვე მოუვლთ — ამოვობოცავთ და ზღვაში გადაყვრით — თევზებსაც ხო უნდა დააპურებო.“

იოსები გაირინდა. ზღვაში მთავრდებოდა გვამები დაუდგა თვალნი. ამ სურათს ისე მკაფიოდ, ცხადლივ ხედავდა, ლამის გული შეეკუმშა. სკამზე დაეშვა. თავჩაქინდრული იჯდა. „იმ კაცმა გამალ ნასერია, თუ ვილაც ოხრობა, გუშინწინ შესძახა ხმელთაშუა ზღვის თევზებს, მოემზადეთ, ებრაელთა გემრიელი ხორცის ჭამა გელითო“. გუშინწინ. მას მერე რა ხდება? ნუხელი, იმის წინა ღამესაც, ზურისკოს სულ რადიომიმღები „ვეფი“ ეჭირა ხელში, ყური ზედ ჰქონდა მიდებული, იქნებ რამე გავიგო, ვერაფერს გახდა... რადიო მომაკვდავი ძალიან ხრიალდა — კაცი იფიქრებდა, გვერდარება, დამანებთ თავი, არ იცით, რა დღეში მაგდებენ, რას არ მიშვრებიან, ჩემგან რომ ვერაფერი გაიგოთო. „ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან, არც გუშინდელი ამბავი ვიცით და არც — გუშინწინდელი... დღეს კი, აგერ, შუადღეა...“

ვერავინ იტყვის, იოსები რამდენ ხანს იყო ასე უხმოდ ფიქრსა და დარდს აყოლილი, ან კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა სიმწრის ტყვეობაში, ბესია „ბლარტას“ რომ არ გადაენია ფარდა და არ შეექძახნა: „ერთი გითქვამს, მაზალი“ არა მაქვს, არავინ პატივის არა მცემსო და მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ!“ იოსები უხმოდ მიაჩერდა ბესია „ბლარტას“. ისიც მიხვდა, ვერაფერი ვერ გაიგო, და ლამის დამარცვლით თქვა: „ამირან ხუტავეიჩმა ყოველი ისრაელიშვილს შემოგიტოვალა, ლოცვაში მნახეთო!“ იოსები კვლავ თავისი ვარამის ტყვეობაში იყო და ბესია „ბლარტას“ ხმადაბლა ჰკითხა: „ვინ არი, ბიჭო, ამირან ხუტავეიჩი და სალოცავში რატო უნდა ვნახო?“

— არ გადამრიო, იოსებ, ალბათ ქალეზზე თუ ფიქრობდი — კაი გაფუძნებულ ქალეზზე, თვარა ამირან ხუტავეიჩი ვინ არი, რავა არ იცი ამხელა კაცმა — საქართველოს კომუნისტური პარტიის ჩვენი რა-

მწვიდობისმოყვარე მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს, ამიტომ ერთხმად უნდა დავემთო ისრაელის ავანტიურა, სოლიდარობა უნდა გამოვუცხადოთ მეგობრულ არაბულ სახელმწიფოებსო.

— კი, მარა... ეს რაფერ... ხო ისინი აპირებდნენ სიონისტების... ებრაელებს ასე და ასე ვუზამთო, რო იხაზოდნენ, — წამოიზლაზნა შებეთიკო „ყალილა“.

ამირან ხახუბიამ თითქმის დამარცვლით თქვა:

— კიდევ ერთხელ გიმეორებთ: ისრაელმა მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად, შეუტია მეგობარ არაბულ სახელმწიფოებს და ჩვენი ვალია, სოლიდარობა გამოვუცხადოთ აგრესიის მსხვერპლ სახელმწიფოებს!

— გვმობთ, რავა არ გვმობთ?! — ცქვიტად წამოხტა შებეთიკო „ყალილა“. სახეზე სიხარულის ღიმილი დათამაშებდა. ჯამათის წევრებს მიუბრუნდა, — ხომ გვმობთ,

ისტებმა ის არ იკმარეს, რომ პალესტინის არაბები მშობლიური კვირიდან გააძევეს, არაბულ სახელმწიფოებს ომის გამოუცხადებლად, მოულოდნელად დაესხნენ თავს. ამას კი საბჭოთა ებრაელობა, რომელიც ისრაელის მხედრობის ვერაგობამ ძალიან გააბრაზა, ვერ მოითმენს — სიონისტებს ასეთ თავხედობას არაფრით აპატიებდა.

— საბჭოთა ებრაელობა აღწევს თუ არა აბრამ მანაშეროვმა, შებეთიკო „ყალილა“ მარჯვენა ხელი ასწია. აბრამი გატაცებით საუბრობდა — შეწყვეტა არ ენადა და შებეთიკოს ხელს თვალს არიდებდა. მაგრამ შებეთიკო რის შებეთიკო იქნებოდა, აბრამის ნებას დაყოლოდა — ხელის ქნევა დაიწყო: მისრესავით აქანავებდა — ხან მარჯვნივ გადასწევდა, ხანაც — მარცხნივ: იქნებ, ასე მაინც შეამჩნიოს, აბრამი კი საუბრის შეწყვეტას არ აპირებდა. შებეთი-



იონული კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის მეთაური. გადოლი არ იცი?

— მაგას ჩვენთან რა უნდა, ან ლოცვაში რატო გვეძახის? — გაკვირვება ვერ დაფარა იოსებმა.

ბესია „ბლარტას“ გაეცინა.

— როდის იყო, რაკიკომი აჩოტებს მე მაბარებდა: ასე და ასე ვფიქრობ და მენ რას იტყვი, რავა მირჩევ, ამხანაგო ბესიაო!

„რას გლახაბო, ვერ ხედავ, ქვეყანას ცეცხლი ეკიდება — რა დღეშია სასირეულო?“ ენადა, ეთქვა იოსებს, მაგრამ არ თქვა: ეს გლახაობას არ მოჩჩებო და: „ა, ბატონო, თუ ასეა საჭირო, მოვდივარ!“ — წინსაფარი სკამზე მიაგდო.

\*\*\*

— რამდენი ებრაელი ცხოვრობს ჩვენს ქალაქში? — ჰკითხა ამირან ხახუბიამ თანაშემწეს — ირმა ადამიას — ებრაელთა სალოცავში ოქმის დასანერდა რომ წამოეყვანა. ირმამ საქალაქე გახსნა. ბესია „ბლარტას“ კი ყოველთვის იმათკენ ჰქონდა ყური მიგდებული, ვისი ნათქვამ-ნაქნარიც აინტერესებდა. ცხადია, არც რაკიკომის წარმომადგენლის კითხვა გამოეპარა. ირმას არ დააცალა:

— მე ვინმეს სახლში დავტოვებდი, გინდა, სამუშაოზე? ყველა მოვიყვანე. აქ ქალეზების შემოსვლა არ იქნება, ქალეზი ზეით არიან — საქალაქობაში. სამი გოგო გვაკლია — ნიკიზე არიან — სადაცაა იმპრობირებენ და ისინი რომ მომეყვანა, ხომ ჩავეტლებოდა კრება!

ამირან ხახუბიამ დარბაზს თვალი მოავლო, ქალეზების სამყოფელს მიაცქერდა: „მეგონა, ჩვენს ქალაქში ოთხჯერ მეტი ებრაელი იყო — სადაც შეხვალ, ყველგან ეგენი გხვდებიან“ — გაიფიქრა და წამოდგა: ბევრი დრო არა გვაქვს, ძალიან ცუდი ამბავი უნდა გაცნობოთ, ამხანაგებო, რომ თქვა, იოსებს გული ლამის საგულედან ამოუვარდა: „იმ მამაძაღლმა მაინც თავისი ქნა და ახლა ამ კაი მამისშვილმა იმისთვის დაგვიძახა, სამძიმარი გამოგვიცხადოს? ვაი, ჩვენს გაჩენას, „ხუშუ ლეყურათი ადონაი თეშუყათი!“ — გაიფიქრა, მაგრამ მომდევნო წინადადება იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი გამოდგა, დაიბნა: აგრესიული ისრაელის მხედრობამ დაწაშა ულტრარაიონალიზმი. ომის გამოუცხადებლად, მოულოდნელად დაესხა თავს

ისრაელის შვილებო, უყურე შენ, რამდენს ბედავენ!

ვილაცამ გაიცინა, ხახუბიას კი მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, ირმას გადაუჩრჩინა: „ნათქვამი ოქმში დააფიქსირეთ!“ შებეთიკო „ყალილა“ საყვედურიანი მზერა მიაპყრო და კვლავ ალაპარაკდა. ხმადაბლა, აუჩქარებლად საუბრობდა. იოსებს არ ესმოდა, თუ რას ამბობდა. რახან ის არ იყო, რამაც ლამის გული გაუპო, სხვა რამ არც აინტერესებდა.

— მაინც რა მოხდა, ბატონო, ამისთანა, რატომ ქნა ისრაელმა ამნაირი გლახა საქმე? — იკითხა არონიკომ. ამაზე რაკიკომის წარმომადგენელმა ბრძანა: იმისათვის, რომ თქვენ მიუკერძოებელი, ობიექტური ინფორმაცია მოგენოდოთ, დედაქალაქიდან სასწრაფოდ გამოგვიგზავნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეცხლსაღმებლოთა დეპარტამენტი. აბრამ მანაშეროვი. ველოდებით, სადაცაა გამოჩნდება. მანაშეროვს ყველა იცნობთ — ხშირად გვესაუბრება ტელეეკრანიდან. მის მოსვლამდე შეკითხვები თუ გაქვთ, მზად ვარ, გიპასუხო.

— მაგას ვინ არ იცნობს, ვიცნობთ და გვიყვარს კიდევ, მაგას ენაცვალს ყველა რამაყი?!

— გამჩენმა ჩემი ავადმასხენებელი შეიყვაროს ისე, რავარც ეგ ჩვენ გვიყვარდეს! — ჩაილაპარაკა ირმა „გრძელმა“. ამ დროს დარბაზში აბრამ მანაშეროვი შემოვიდა.

— აი, ამხანაგი მანაშეროვიც მოვიდა, აღარ დავაყოვნოთ, მას მივცეთ სიტყვა, ყველაფერს ავიხსნით.

აბრამმა კოსტუმი გაიხადა, ჰალსტუხიც მოიხსნა და დარბაზს ღიმილით მიმართა:

— ხო არ დამზრახავთ, უკოსტუმოდ რო ვილაპარაკო?

— არა, მაგისთვის არა! — შესძახა შებეთიკო „ყალილა“

აბრამმა კიდევ ერთხელ გაიღიმა და მოხსენება დაიწყო: სიონისტების ძალებით დაიწყო: ერთობ რეაქციული, ბურჟუაზიული მიმდინარეობა გახლავთ, სიონისტები ამერიკელი იმპერიალისტების ძუძუს სწოვენ — მათი ნასუფრალით იკვებებიანო. მერე მწვიდობაზე ძლიერ შეყვარებულ არაბულ სამყაროზე გადავიდა, სიონ-

კო „ყალილას“ ნერვიულმა შეძახილმა მაინც შეანწყვეტინა:

— შე კაცო, ხუთი შვილის პატრონი ვარ, ხუთ შვილს ვუზრდი ქვეყანას და ამხელა კაცს რავა ვერ მამჩნევ, რა არი ეს!

— შეკითხვები დასასრულს, მოხსენების დამთავრების შემდეგ! — თქვა ამირანმა.

— მერე ვინ თქვა, რომ შეკითხვა მაქვს, შიში მაქვს, ბატონო, შიში და ამიტომ გაწუხებთ!

— შიში? — გაკვირვდა აბრამ მანაშეროვი, — რაშია საქმე, რამ შეგაშინათ, გისმინთ!

— ამხანაგმა აბრამმა ბრძანა, საბჭოთა ებრაელობა გაბრაზებული და აღწევს თუ არა აბრამ მანაშეროვი, აგერ მე არც გაბრაზებული ვარ, არც — აღწევს თუ არა, ვერც მომეს ვატყობ გაბრაზებას და გადარევეს... და შეემშინდა, ბატონო... ხომ ვარ, ხო ვითვლები ისევე საბჭოთა ებრაელებად... რამე იმნაირი ხო არაფერი მომხდარა, რო... — მაღლა, „საქალაქობაში“, ვილაცამ გადაიკისკისა. შებეთიკომ ქალეზის სამყოფელს ახედა და მკაცრად შესძახა, — რა იყო, ნარგინა, რამ აგტეხა, ასე რო კისკისებ, — მერე ხახუბიას მიუბრუნდა, — ამ შიშმა შემანუხა, ბატონო, და იმით... თქვენ თუ არ გითხარით — ჩვენიანებს — ვის რაში ენაღვლება, შებეთიკო რას შობა, როგორ არისო.

ამირან ხახუბიამ აბრამ მანაშეროვს მიუბრუნდა, განაგრძეთო.

მომხსენებელი ისევ „დაუნდობელ და ვერაგ სიონისტებზე“ ალაპარაკდა — ხომ ხედავთ, როგორ ექცევიან მწვიდობისმოყვარე არაბ მეზობლებს, ამიტომ ყოველი წესიერი ადამიანის მოვალეობაა, დაგმოს სიონისტების თავაშეშეულობაო. მერე ამირან ხახუბიამ დაინტერესდა, შეკითხვა ხომ არავის გაქვთო?! სიტყვა არავის მოუთხოვია და ის იყო, ამირან ხახუბიას არაბ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი დახურულად უნდა გამოუცხადებინა, იოსებს უკნიდან ნაცნობი ხმა მოესმა: „შეიძლება?“ იოსებმა მიიხედა. მისი უფროსი ვაჟი — ზურიკო — ეკითხებოდა რაკიკომის განყოფილების უფროსს, შეიძლება თუ არა, სიტყვა ვთქვაო. ხახუბიამ ზურიკოს მიაჩერდა — რალაცის გახსენებას ლამობდა. მერე დაიხარა და ირმა ადამიას ჰკითხა, ეს ხომ ის ბიჭია, ამ დილას ჩემთან რომ იყოო. ირმამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. „მობრძანდით!“ — თქვა ამირან ხახუბიამ და იოსებს

გულიცემდა აუჩქარდა — მისი შვილი იქით მიემართებოდა, სადაც „რაიკომი იჯდა“.

„რას მიშვრება, რას მიშვრება, რა უნდა, რატომ მჭრის თავს — რაში ერევა ჩემი შვილი!“ — აფორიაქდა იოსები.

შალიკო-„დარიკომ“ ხმადაბლა, თუმცა, ენადა და მოახერხა კიდევ, მისი ხმა ყველას მისწვდენოდა, ჩაილაპარაკა: „ვინ არი ე ბაღანა, პატრონი არ ჰყავს?!“ იოსებს ლამის თვალთ დაუბნელდა.

ირმიაჰუმე კი შალიკო-„დარიკოს“ ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა: „ჩვენი იოსების ბიჭა, საპოჭინის!“ რაიკომის წარმომადგენელმა მარჯვენა ხელი ასწია, ყურადღებით იყავით, გამომსვლელს მოეუხმინო.

„ზურიკომ უმწეოდ გაიღიმა და ხახუბიას მიუბრუნდა: — პატივცემულო, გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: თქვენ კარადის წინ ზიხართ.“

ამ კარდას ჩვენ ეხალს ვეძახით. ეს სწორედ ის კარადაა, რომელშიც ებრაელი ხალხის სულიერი საგანძური — თორის გრაგნილები — ინახება. ჩვენ ამ საკაცობრიო განძს თანახს ვეძახით, თქვენ — ძველ ალთქმას. თანახს მთელი წლის განმავლობაში ვკითხულობთ...

— საკითხზე თუ შეიძლება, საკითხზე ისაუბრეთ — ისრაელი აგრესორების თავდასხმაზე მეზობელ სახელმწიფოებზე! — შეანწყვეტინა ხახუბიამ.

„ზურიკო მოულოდნელმა რეპლიკამ დააბნია. ირმას უმწეოდ მიაჩერდა, თითქოს ვერ გაეგო, რას ითხოვდნენ მისგან და იქნებ ირმა ადამიამ გამაგებინოსო. ირმამ თანაგრძნობით გაუღიმა და გადაუჩურჩულა: „კარგად დაიწყე, მიდი, მიდი!“ ირმას ღიმილმა და სიტყვებმა ზურიკოს თითქოს ძალა შთაბერა — უფრო ხმაძალა, მტკიცედ თქვა:

— მე სწორედ საკითხზე ვლაპარაკობ: თანახსის ბოლო თავებში საუბარია იმაზე, ებრაელობა ხმლით, თავდადებული ბრძოლითა და მოსეს წინამძღოლობით, როგორ მოიპოვეს იქ ცხოვრების უფლებას, სადაც ღმერთმა მიუჩინა ადგილი. ეს იყო ოცდაათი საუკუნის წინათ...

— მეტი, ოცდაცამეტიც, ბატონო, ოცდაცამეტიც! — შესძახა ვიღაცამ ერთობ უკმაყოფილოდ. ზურიკომ მიმოიხედა, ასე ვინ მიბრაზდებოდა, ვერ დააზუსტა და განაგრძობ:

— მე იქ არ ვყოფილვარ. ალბათ თქვენ იყავით და უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ მაინც ჩაიხედეთ წყაროებში, — მერე ხახუბიას მიუბრუნდა (ამ დროს ხახუბია გაკვირვებულმა მისჩერებოდა ზურიკოს — მისმა პასუხმა გააკოცა: ხანდაზმულ კაცს როგორ იქედნურად მიუგო), — ასე იყო თუ ისე, ეს უხსოვარ დროს იყო, დღეს კი მეოცე საუკუნეში ასეთი რამ მიუღებელია. ისრაელის მხედრობი არასწორად იქცევა. ჩვენთვის ძვირფასია არაბული კულტურა — პოეზია, ფილოსოფია, პატივის...

იოსები კი არ წამოადგა, წამოხტა, სირბილით დატოვა სალოცავი.

\*\*\*

ძნელი მისახვედრი არ იყო, მამა როგორც შეხვედებოდა და არა შინისკენ, მარჯვნივ — უფროსი მეგობრის სახლისაკენ — წავიდა. გაიგო, რამდენიმე დღით ჩამოსულია. დანიელი ეზოში, ლეღვის ხის ძირში იჯდა და კითხულობდა. ზურიკოს მიეგება: გავიცა, ოქროს მედალზე ამთავრებ, სწავლის გაგრძელებას სად აპირებ — რა გაქვს გუნებაშიო? ზურიკოს კი ყოველთვის სხვათა მოსაზრების გაგება უფრო იზიდავდა, ვიდრე თავისი ნაფიქრის გაზიარება და დანიელის კითხვას კითხვა შეაგება: იქნება მირჩიო, სად სჯობია — რომელ ფაქულტეტზე მირჩევ სწავლასო? დანი გაკვირვებული მიაჩერდა, მერე თქვა: ეგ შენი გადასაწყვეტია — რა გიზიდავს, რა გაინტერესებს. კარგი ის ფაქულტეტია, რომელი სპეციალობის დაუფლებაც გნადია. მაშინვე უნდა, ეკონომიურზე მესწავლა, მე კონსერვატორია იმიტომ ვარჩიე, რომ მუსიკა მაინტერესებსო. დანის — დანიელს — ლოდინი დიდხანს არ მოუწია, ზურიკომ, თითქოს გამხელა ერთდებოდა, ხმადაბლა თქვა: „უნივერსიტეტში, ფილოლოგიურზე რას იტყვი?“ თუმცა, ჟურნალისტიკის ფაქულტეტზე შესვლა ენადა. დანიმ პასუხი შეაყოვნა, ფიქრობდა: „ცუდი რატომ უნდა იყოს, ძალიან კარგია, მაგრამ...“ გაჩუმდა, ლეღვის ხის ფოთლებს ისე მიაჩერდა, თითქოს იმ ფოთლის შემადგენლობას სწავლობდა, მერე თავი გააქანა: „რა ვიცი, ვერაფერს გეტყვი გარდა იმისა, რომ მე თავს

შევიკავებდი.“ ზურიკომ მყის შეაგება კითხვა: „რატომ?“ დანის დუმილი რომ გაუგრძელდა, ზურიკომ ხმადაბლა გაამჟღავნა მთავარი: „ჟურნალისტიკა? ახლახან გაიხსნა, ახალგაზრდობა ძლიერ ეტანება.“ დანის გაღიმა, მზერაში სიანცე შეეპარა — ზურიკოს პოეზიის სიყვარული მორევით. იკითხა კიდევ: „ლექსებს წერ და ფილოლოგია-ჟურნალისტიკა იმიტომ გინდა, ხომ?“ ზურიკო შეიშუმუნა და უარის ნიშნად თავი გააქანა.

— კარგი, ეგ შენი საქმეა! მე ასე გეტყვი: ფილოლოგიური, ჟურნალისტიკა რატომ არი ცუდი. ძალიან კარგია, მაგრამ რახან ეს მიმართულება გაინტერესებს, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაქულტეტს გირჩევდი: ფილოლოგიც იქნები და ენებსაც შეისწავლი: გინდა არაბული, გინდა სპარსული, თურქული. იცი, რამდენი რამე გახდება შენთვის ხელმისაწვდომი? ახალი სამყარო გადაგეშლება!

ზურიკო ყურადღებით უსმენდა. ეს ამბავი არც იცოდა. ენადა, დანისგან კიდევ ბევრი რამ გაეგო, მაგრამ ჭიშკარს შოთა და რუბენი მოადგნენ.

— რას შერებთ, ისრაელისშვილებო, რავა ხართ? — შოთამ ისე გაიღიმა, გეგონებოდათ, იმიტომ იღიმის, ამხანაგებს თავისი ლამაზი — თეთრად მოეღვარე — ჩანიკნიკებული კბილები აჩვენოსო.

— ამის ამბავი კარგად ვიცი, — ზურიკოზე მიათითა რუბენმა, — დღეს რაიკომში ისე ჩაანყო საქმე, დიდი მომავალი ექნება, ის გვითხარი, შენ როგორ ხარ, რას შერები, — დანის მიუბრუნდა, — სამსახური ხო არ დაიწყე? — რუბენს რადიომიმლები „ვეფო“ ეჭირა ხელში, თან ლაპარაკობდა, თან მის სახელურს ატრიალებდა. რადიომიმლები ხან ცხოველიერ დაიდმუფლებდა, ხანაც — სიმღერის, ან მუსიკის ჰანგებს გამოსცემდა.

— რა არი, ასე უკუღმა რატომ ლაპარაკობ? — სახე მოედრულა დანის.

— რატომ უკუღმა? რაიკომმა ბურთი აადგო და ამან ცხრიანში ხია, მაღაღეც, ეს რა მაგარი ყოფილა! — შოთამ ირონიული ღიმილით ზურიკოზე მიათითა.

— ვერაფერი გავიგე. არ მეტყვი, რა მოხდა?

რუბენი ზურიკოს მიუტრიალდა. მას შესცქეროდა, პასუხს კი დანიელს აძლევდა.

— რატომაც არა. დღეს რაიკომმა მიტინგი გამართა, ისრაელელი აგრესორები დავგმობ, სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ, დაჩაგრულ არაბებს სოლიდარობა გამოვცხადებთო. ხო ასე იყო, ზურიკო, ხო არაფერი ვამატებ? — ზურიკოს სახეზე ირონიული ღიმილი მორეოდა, რუბენს პასუხი არ გასცა. იმან კი განაგრძო, — მთელი ჩვენი ქალაქის ისრაელობა იქ იყო, ყველამ ენას კბილი დააჭირა — ხმა არავის ამოუღია და თუ მიხვდები, ვინ გამოხტა, ისრაელელ აგრესორებს დედა ვინ უტირა? — რუბენი გაჩუმდა. პასუხის მოლოდინში უხმოდ იდგა. სახეზე მწარე ღიმილი გადაფენოდა, — ა? სიონისტებს თავზე ზეცა ვინ დაამხო?

— ხამორი<sup>4</sup> ხარ შენ, რუბენ! — თქვა ზურიკომ, — ნამდვილი ხამორი!

რუბენმა კი ტუჩები დაბრიცა და იკითხა: „ჰა, ვითომ ასეა საქმე?“

დაბნეული დანი ხან რუბენს შესცქეროდა, ხანაც — ზურიკოს. ცოტა ხნის შემდეგ, ნიონამხდარმა, ხმადაბლა ჩაილაპარაკა: „რომელი იმისრაელიშვილია მოგვჭრა თავი?“ დანის კითხვას არავინ უპასუხა. მძიმე დუმილი ჩამოწვა. რუბენი კვლავ ზურიკოს მიუბრუნდა:

— იქნება უთხრა, რა იყო, როგორ იყო?

დანი ძალიან ცდილობდა, ჩასწვდომოდა, თუ რა გახდა მიზეზი ზურიკოს ასეთი საქციელისა. შოთამ, ტყუილად ეძებ მიზეზს, არც არავის ურჩევია, არც არავის დაუტანებია ძალა, უბრალოდ ცანცარაა და გამოხტა, ნახეთ, რა ბიჭი ვარო. რუბენმა კი, ჩვენზე ჭკვიანი და მიხედვითი ჰგონია თავი, ახლა რაიკომს ვაჩვენებ, ყველაზე მეტი რომ ვიციო. დანიმ კი, არც ერთი ხართ სწორი და არც მეორე, აქ რაღაც სხვა ამბავია და ზურიკომ თვითონ უნდა აგვიხსნასო. კამათი კარგა ხანს გაგრძელდა. ზურიკოს რამდენჯერაც უთხრეს: „იქნება გვითხრა, მეგობრებს გავერძობო, ამნაირი ნაბიჯის გადადგმა რამ გაიძულაო“, ზურიკო ირონიული ღიმილით შესცქეროდა.

— ზური, თუ ძმაკაცებად მიგაჩნევართ, უნდა გვითხრა, რა მოხდა, რამ გადაგადგმევინა ეს სამარცხვინო ნაბიჯი, თუ არ მიგაჩნევართ, მაშინ რა... შეგიძლია, ისიც

გვითხრა, რა თქვენი საქმეა, სად რას ვიტყვიო და ახლავე დავიშალოთ...

— მე ეგ ძმაკაცად აღარ მიმაჩნია, ამიტომ წავედი, — წამოდგა რუბენი, — ჩემმა ძმაკაცმა ამნაირი საქმე არ უნდა იკისროს.

— გვაცალე, რუბო, ერთი წუთით დაჯექი! — დანის გაღიზიანებული კაცის ხმა ჰქონდა.

— ამ დილას შენ რაიკომში ყოფილხარ. ამირანმა გითხრა? — იკითხა შოთამ.

ზურიკომ უცებ, დაუფიქრებლადაც კი, ჩაილაპარაკა: „ჰო, იმან“. მერე თავი ასწია და ხმადაბლა თქვა:

— ასე ილაპარაკეო, მითხრა!

დანიმ, რას ამბობ, ვინ მისცა უფლება, არ შევარჩინე, ხვალ დილასაც მივადგები და ერთ ამბავს ავტყებავო.

რუბენი რადიომიმლების დილაკს ატრიალებდა, ცალი ყური იქით ჰქონდა, რაიმე არ გამოემეპაროსო, დანის წამოძახილმა ღიმილი მოჰგვარა:

— დანი, დანყნარდი, არ არის ასე, არ შეიძლება, ასე იყოს! — მერე ზურიკოს მიუბრუნდა, — შენ ახლა ცოდვაც ჩაიდინე. კაცის ის დააბრალებ, რაც არ გაუკეთებია. ხახუბია ჩემი მეზობელია და კარგად ვიცი, ვინც არი, რა სულის კაცია. ჩემს ნათქვამზე პასუხს ვაგებ, — თითქმის აყვირდა, — რატომ აკეთებ ამას, ბიჭო, რატომ აბრალებ კაცს იმას, რაც არ გაუკეთებია, რატომ, მიპასუხე, ჩქარა, ახლავე მითხარი!

ზურიკო უაზროდ მიაჩერდა რუბენს, მერე თავი ჩაქინდრა. რუბენი კი კვლავაც ბრაზით შესცქეროდა, რალაცის თქმაც დააპირა, ალბათ, ენადა, კიდევ უფრო შეეტია ზურიკოსათვის, მაგრამ შოთამ სახელოზე ჩამოქარა, ზურიკოზე მიანიშნა: შეხედე, რა დღეშია, გაჩუმდით, რუბენი სკამზე დაეშვა. შოთამ სამზადისკენ გაიხედა, დანის დედა ხომ არ გამოსულაო, „პრიმა“ ამოიღო და გააბოლა. რუბენმა ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია და ისევ რადიომიმლები აიღო ხელში. კვლავ ამოოდ ცდილობდა, რომელიმე რადიოსადგურის ხმა მიწვედებოდა, მიმღები კი ხრიანდებოდა, ხანაც მუსიკის ხმები გაისმოდა. მიუხედავად ამისა, ყველას სმენას მისწვდა ზურიკოს ხმა:

— დანი უკვე ამთავრებს... თქვენ უმაღლესში სწავლას არ აპირებთ... მე ძალიან მინდა... რა გზა მაქვს... ვინ მყავს ისეთი, რაიკომის მდივანთან მივიდეს და ის უთხრას... — გაჩუმდა.

დანის, არც სხვებს, ზურიკოს ხმაში სასონარკვეთილი კაცის ნუხილის გაგება არ გაუჭირდათ, სიბრაზე თანაგრძნობამ შეცვალა. ეს მის კითხვაშიც გამოიჭრა — თავდახრილი და სასონარკვეთის ზღვარს მისულ ზურიკოს ხმადაბლა, ლამის ალერსით ჰკითხა, რა უნდა უთხრან, რაიკომსო...

ზურიკოს თავი არ აუწევია:

— ვიცი, რავა არ ვიცი, არ არი მოსანონი საქმე, მარა ამით ისრაელს რა უნდა დაუშავდეს, მე კი იქნებ...

— გვითხარი, ზურიკო, რა...

— ამ რაიონში სკოლას ოქროს მედალზე სამი ბავშვი ვამთავრებთ... ერთი გამოცდა დაგვრჩა, ხვალ ქიმიცა და მორჩა, — ზურიკო კვლავ თავდახრილი ლაპარაკობდა, — მედალოსნებს რაიკომმა უნდა მისცეს რეკომენდაცია, რომ უმაღლესში უგამოცდოდ ჩაირიცხონ... ყოველ რაიონს თავისი ლიმიტი აქვს. ჩვენ რაიონს მხოლოდ ორი რეკომენდაციის უფლება აქვს... ყირაზე რომ დადგეს, მესამეს ვერ გასცემს... — თავი ასწია, დანის მიაჩერდა, მას თხოვდა პასუხს კითხვაზე, — რატომ არი ასე, რატომ არ შეიძლება, ამ რაიონში სამი ბალანა იყოს მედლის ღირსი? მე და კიდო ორი გოგო ვართ... ერთის მამა რაიონის პროკურორია... მეორის — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, მამარჩემი საპოჭინი იოსებ ჯანაშვილია... ვისი სიტყვა გავა, ვინ...

— სუ, ჩუმად! — იყვირა რუბენმა. დიქტორის ხმა მთელ ეზოს მოედო. არასოდეს ასე მკაფიოდ, ასე სუფთად არ ისმოდა „ბი ბი სის“ დიქტორის მშვიდი და ეგზომ ნანატრი ხმა, როგორც ახლა. და როცა დიქტორმა თქვა, ისრაელის არმია ეგვიპტის დედაქალაქის მისადგომებთან დგას და დედაქალაქის ასაღებად ემზადებაო, აქ, ეზოში, ისეთი ყიფინა, ხტუნაობა ატყდა, სამზადიანი სარა დეიდად გამოიხედა.

— ჩაუწიეთ მაგ რადიოს ხმა, მთელ ქალაქს ესმის მაგის ლაპარაკი — შარი არ ავიტყვოთ!

— გადარჩა, ხალხი გადარჩა, დედა! — მიძახა სიხარულმორეულმა დანიელმა დედას.

— კარგი, შვილო, რატო გავიწყდება, რომ ისრაელის გამჩენი დიდია?!

— აბა, შენ იცი, რაფერ აღვნიშნავთ ამ ამბავს! — დანი სიხარულისგან თითქმის ხტოდა.

— ოღონდ მაგ რადიოს ხმა ჩაუწიეთ და ყველაფერი იქნება! — სარა დეიდა შებრუნდა, რუბენმა კი შესძახა:

— ჩუმად, მაცალეთ!

ეზოს კვლავ მოედო „ბი-ბი-სის“ დიქტორის ხმა:

— ისრაელის არმიამ იორდანის ოკუპაციისაგან გაანთავისუფლა იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილი. ახლა ისრაელის სამხედრო შენაერთები იორდანის დედაქალაქს უტყვენ. რამდენიმე წუთის წინ იორდანის მეფე ჰუსეინმა გამოაცხადა, რომ იორდანია ომიდან გადის, — ეზოში კვლავ შეძახილები ატყდა, შოთას კვლავ ენადა, საცქევით ნრე შეეკრა, მაგრამ დაინახა, რომ სიხარულმორეული რუბენი ქვაზე ჩამოვდარიყო და ტიროდა. რუბენს დანი მიუჯდა...

\*\*\*

ცოტა ხანში სარა დეიდად ლეღვის ხის ქვეშ, მაგიდაზე, ბატის შაშხი, ხენაგი და ალადასტური გამოიტანა. ბიჭები ისე სულმოუთქმელად ლაპარაკობდნენ, ჭიქებსაც ისე ჩქარ-ჩქარა ცლიდნენ, თითქოს თვითმფრინავი უკვე დაქოქილია, ძრავაც გახურდა, ესენი კი ტრაპთან დგანან და პილოტი სალონში მათ ასვლას ელოდებოდა. ისრაელს გაუმარჯოსო, მერე — მოშე დაიანს გაუმარჯოსო. რუბენმა კი შესძახა, თვითონ ეგონა, შევძახეო, თორემ სინამდვილეში ყვიროდა: „აბა, ღმერთი გარდაიცვალაო? არც ახლა დაიჯერებთ, რომ ღმერთი წყვეტს ყველაფერს? დაიჯერეთ, ირწმუნეთ გამჩენის!“ დანი ამ სიტყვებს ღიმილით ისმენდა. ზურიკომ რომ ჭიქა ჯერ ასწია და მერე განზე გადაგა, შოთამ გაცხებულმა იკითხა, „რას შობი, ისრაელის სადღეგრძელოს არ სვამ?“ ზურიკომ კი — „ხვალ ბოლო გამოცდა გვაქვს — ქიმი“. შოთამ ხელები გაშალა და ზურიკოს უთხრა (თან ისე გაიღიმა, იფიქრებდით, ასე იმიტომ იღიმი, თავისი ქათქათა კბილები კვლავ გამოაჩინოსო) — „ბიჭო, შენ ქიმი მენდელეევზე უკეთ იცი, შესვი, აბა, ჰე!“

რუბენმა შოთას მკლავში ჩაავლო ხელი, თავისკენ მოატრიალა და უთხრა:

— დაანებე თავი, რაიკომის სადღეგრძელო ხომ არ არის, დალიოს. აბა, მოშე დაიანს გაუმარჯოს! — ჭიქა დაცალა, გადმოაპირქვავა და მაგიდაზე დადგა, — ა, კაცები ისრაელის გადარჩენის სადღეგრძელოს ასე ვსვამთ!

ზურიკომ ჭიქა ასწია და სულმოუთქმელად დაცალა.

\*\*\*

ქიმიის მასწავლებელი დაბული გერსამია პირისახეს იხიკავდა: სკოლის თვალისჩინი და მისი საყვარელი მოსწავლე, რომელიც ქიმიის რესპუბლიკური ოლიმპიადებიდან მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა — ზურაბ ჯანაშვილი — გამოყვეჩებული, უაზროდ დასცქეროდა საგამოცდო ბილეთს. რესპუბლიკის განათლების სამინისტროდან მოვლინებული ამბერკი ყაზახაშვილი იქედნურად შესცქეროდა დაბული გერსამიას ფუთფუთს. „კიდევ კარგი რომ ჩამოვედი, ესე იგი, ძლიერ საჭირო ყოფილა ჩემი ჩამოსვლა, თორემ ეს უღირსი მოსწავლე ხომ მიიღებდა ოქროს მედალს!“

დაბული გერსამია კი ლამის ყვიროდა, ლამის იატაკზე ეთრია ზურიკო ჯანაშვილი.

„რას მიშვრები, ზურიკო, ეს ხომ იმას ნიშნავს, ჩემს წესიერებაშიც შეეპარებათ ეჭვი, რას მიშვრები, შვილო, რას!“

ამბერკი ყაზახაშვილს კი მიმართა:

— ავად არის, ამხანაგო ამბერკი, ბავშვი, ხომ ხედავთ, როგორ დასცქერის ბილეთს!

გაღიზიანებულმა ამბერკი ყაზახაშვილმა დაბული გერსამიას ნიშნის მოგებით გადახედა და კბილებსმუა გამოსცრა: „ცნობა წარმოადგინა?“, დაბულიმ კი კიდევ ერთხელ შემოირტყა ლოყაზე ხელი: „რას მიშვრება ეს ბიჭი, რას!“

<sup>1</sup> მახალი — ილბალი.  
<sup>2</sup> გამოემეურე ჩვენს საშველად, ღმერთო! (ფსალმუნი).  
<sup>3</sup> რაშაყი — ბოროტი, ავისმქმნელი.  
<sup>4</sup> ხამორი — ვირი. აქ: უვიცი, ხეპრე.

შესავლის მაგიერ

მეცნიერი და პედაგოგი პროფესორი გრიგოლ კიკნაძე (1909-1974) თხემით ტერფამდე დისიდენტი გახლდათ, როგორც „ლიტერატურული“, ისე ზედმინეწითი გაგებით. მისი ერთგვარად ლეგენდარული სახელი „ნათელ პროფესორას“ და ოფიცოზს არ ეპიტნავებოდა, ამიტომაც მუდამ წინის ქვეშ იყო. 1945 წელს ბრწყინვალედ დაცული სადოქტორო დისერტაცია „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, რომელმაც ოპონენტებისა (აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე) და სამეცნიერო საბჭოს უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, ცეკას ბრძანებით გააუქმეს. მრავალთა შორის ერთ-ერთი „ბრალდება“ ასეთი იყო: სტალინის არცერთი ციტატა არ არის მოყვანილი! გრიგოლ კიკნაძემ, რომელსაც საკანდიდატო დისერტაცია 24 წლის ასაკში ჰქონდა დაცული, სადოქტოროს დაცვა განმეორებით აღარ იკადრა: ზნეობრივი მაქსიმალიზმის გარდა, მას უხვად ჰქონდა მომადლებული სტოიციზმიც. აშკარა თუ ფარული რეპრესიების მიუხედავად, იგი განაგრძობდა საქმიანობას. 1953 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური მონოგრაფია „ქართული სატირისა და იუმორის განვითარებისათვის“. „ვაჟა-ფშაველას შემოქმედების“ დასტამბვა მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 1957 წელს მოხერხდა. 1957 წელსვე გამოვიდა მისი „მეტყველების სტილის საკითხები“.

იმავედროულად, ბატონმა გრიგოლმა ნამოიწყო თითქოსდა უტოპიური საქმე, რომელიც 1962 წელს უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის ხელშეწყობით, „ვაჟა-ფშაველას კაბინეტის“ ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა. გადაუჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ იმ თორმეტი წლის მანძილზე, როცა გრიგოლ კიკნაძე ხელმძღვანელობდა, კაბინეტი ტოლს არ უდებდა რომელიმე ინსტიტუტს. მოგვიანებით ბატონმა გრიგოლმა დიდი ხნის ოცნება აისრულა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა ვაჟა-ფშაველას „დევის ნაფხურები“ (ტიციან ტაბიძე); ყოველწლიურმა ექსპედიციებმა „ვაჟა-ფშაველას ნაკვალევზე“, ლიტერატურათმცოდნეობითი შედეგისა და ფოტოალბომის გარდა, მონაწილეთა სულელებში ამადლებულისა და სიდიადის ნარუხოციელი ტვიფარი დატოვა. ექსპედიციათა უცვლელი წევრი გახლდით და ეს იყო, გადაუჭარბებულად, უბედნიერესი ხანა ჩემს ცხოვრებაში. ამ მცირე მოგონებათა ფრაგმენტები იმ დაუწინყარ მოგზაურობათა გამოძახილია.

შატილი. 1964

ბარისასოში დაბინავებულმა ჩვენმა ექსპედიციამ შატილისაკენ აიღო გეზი. საბარგო მანქანამ დათვისჯვრის უღელტეხილამდე ჩამოგვსხა, საავტომობილო ტრასა აქ წყდებოდა. დამქანცველი აღმართი ფეხნის ავიართ. შატილამდე დაგვიღამდებოდა, ამიტომაც ლეზაისკარში გავათითეთ ღამე. დიდებული ამინდი იყო, მასპინძელმა ოთახი შემოგვთავაზა, თუმცა სახლის ბანზე ვარჩიეთ დაძინება. კარების გაშლაც არ იყო საჭირო, იქვე, მიჯრით გავშალეთ საძილე ტომრები. ბანი მომცრო იყო, სივინროვის გამო „გენდერული“ გამოცალკევება არ მოხერხდებოდა. მარტო სამი ქალი ვიყავით — სტუდენტების უსაყვარლესი ახალბედა ლექტორი შეია ყუბანეიშვილი, „ვაჟა-ფშაველას კაბინეტის“ თანამშრომელი ნანი წერეთელი და მე — ასპირანტი; დანარჩენი კი მამაკაცები — პროფესორები, ასპირანტები, სტუდენტები. აქ, ცოტა არ იყოს, კურიოზული რამ მოხდა: მეთამ და ნანიმ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — კაცების გვერდით ვერასგზით დავნებებითო! გამიკვირდა, მაგრამ არ დავფიქრებულვარ, ისე შევთავაზე — კი ბატონო, ბუფერის მაგივრობას მე გავწევმეთქი. როგორც ჩანს, ბატონი გრიგოლიც ფიქრობდა ამაზე, რადგან თავადაც „ბუფერობა“ იკისრა და გვერდიგვერდ ყველას ტკბილად ჩაგვეძინა. ინათა თუ არა, გამიკრთა ძილი, იმნამსვე საარაკო სამყაროში აღმოვჩნდი და მართლაც რომ დაუწინყარი მხედველობითი ხატის მონამეც გავხდი: მეთას, რომელსაც ზღაპრის მზეთუნახავით ლამაზი თემები ჰქონდა, ეფიქრა, სანამ სხვებს ძინავთ, დროს ვიხელთებ, დავივარცხნიო და



ლალი ავალიანი

ვაჟა-ფშაველას ნაკვალევზე თუბ-ფშავ-ხევისურეთში

ბოლომდე გაეშალა თემები, ზუსტად ჩვენს ფერხითი კი უშველებელი კავკასიური ნაგაზი ჩამოიჯდარიყო — სფინქსით გაირინდებული, თვალს არ გვაცილებდა. იჯდა ასე, სანამ მზე არ ამოიწვერა, მერე ზანტად წამოიშარათა და თავის ძაღლურ საქმეებს მიუბრუნდა. თურმე ავზე ავი ნაგაზი ყოფილიყო, მაგრამ სახიფათოდ არ მიგვიჩინია და ამიტომაც ურუმრად მიგვატოვა. ახლა, როცა უპრობლემოდ შეიძლება შატილში ჯვით აგრილება, ძნელად თუ წარმოიდგენს ვინმე, რა სირთულე გვხვდებოდა შატილის გზაზე. ბუნების მშვენიერება გვმატებდა ძალ-ღონეს. ვისაც საფარას მონასტერი უნახავს, მოეხსენება, რა ხიბლია მისი უეცარი, მოულოდნელი გამოჩენა. მაშინ ასე იყო შატილის გზაზეც: ერთი რიგითი მოსახვევის შემდეგ უეცრად აღმოვჩნდით ქართული ხუროთმოძღვრების ათასწლოვანი, თითქოსდა ხელთუქმნილი დიდებულების ნინამე. უფროსები წინ მიგვიძლოდენ: გრიგოლ კიკნაძე, სოლომონ ხუციშვილი, ლექსო ჭინჭარაული. „დიდება შენდა, ღმერთო“ — აღმოხდა ბატონ სოლომონს და პირვეარი გადაიწერა. ჯოხზე დაყრდნობილი ბატონი გრიგოლი, გარინდებული, დიდხანს იდგა უჩუმრად. შატილიონ ლექსოს კი ღაპალუპით ჩამოსდრიდა ცრემლები — შემდეგ გამოიკვცა, რომ დიდი ხანი (თუ არ ვცდებით, 15 წელი) არ ენახა მშობლიური სოფელი.

უკანა ფშავის გზაზე

შუაფხოდან ხოშარასაკენ მიმავალმა ჩვენმა ექსპედიციამ ის-ის იყო, აიარა დიდი აღმართი და გაივალა ვინრო ბილიკზე, რომ შემხვედრი ჯგუფი შევნიშნეთ: ერთადერთ ცხენზე ტილოს ლურჯი ხალათითა და ფარფლებიანი ნაბდის ქუდით შემოსილი კაფანდარა მოხუცი იჯდა. წინ რამდენიმე, არცთუ ახალგაზრდა ქალბატონი მიუძლოდა. მხედარი უკან სხვებთან ერთად გამყოლი ფშაველიც მიჰყვებოდა. ახალბედას (მაშინ, 24 წლისა, პირველად ვიყავი მთაში) ყოველივე ეს ძალზე მუცუნაურა, მცოვანი მხედრის მიმართ გამაყვანებულმა პიეტეტმაც გამაკვირვა; სულთ ცოდვილო, ისიც გავიფიქრე, ასეთ ღრმა მოხუცს მთაში რა ესაქმებოდა! არადა, თურმე მწარედ ვცდებოდი: მხედარი, არც მეტი და არც ნაკლები — სახელოვანი მეცნიერი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ღვანლობისი აკადემიკოსი გიორგი ჩიტიია გახლდათ. ეს მაშინ გავიცე, როცა გრიგოლ კიკნაძის დანახვისთანავე მცოვანი აკადემიკოსი მარჯვედ ჩამოხდა ცხენიდან. გულითადად შეხვდნენ ერთმანეთს, იქვე, პატარა ტაფობზე განაპირდნენ სასაუბროდ... იდგა 1964 წელი, ბატონი გიორგი მაშინ 74 წლისა ბრძან-

დებოდა. შემდეგში, როცა ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, ბატონმა გრიგოლმა მკაცრად დაგვტუქსა, ასეთი დიდი პიროვნება რომ ვერ ვიცანით. ძალიან შეგვრცხვა, მით უმეტეს, რომ ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ნამდვილი ვარსკვლავების, გიორგი ჩიტიიასა და მისი მეუღლის, ვერა ბარდაველიძის, დიდი ღვანლი კარგად ვიცოდით. გრიგოლ კიკნაძის მძიმე ავადობის გამო მოგზაურობა „ვაჟა-ფშაველას ნაკვალევზე“ მხოლოდ რამდენიმე წელს გაგრძელდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტის მუშაობა ბატონი გრიგოლის თანამოაზრისა და მეგობრის პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძის თაოსნობით კვლავ გრძელდებოდა, ექსპედიციათა ორგანიზება ვეღარ მოხერხდა. მთას საოცარი მონატრება სცოდნია; ამიტომაც, ათიოდე წლის შემდეგ, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის განყოფილებამ უკანა ფშავისა და ბორბალოს მთის დალაშქვრა განიზარა, ჩემი უახლოესი მეგობრის, ია დუდუჩიასა, წყალობით მეც მათ შორის აღმოვჩნდი. სამაგალითო განყოფილება იყო: მცოდნე და დაუზარელი ბიბლიოგრაფები დიდ სამსახურს უწევდნენ ქართველ მეცნიერებს, მეგობრობითაც სანიმუშონი იყვნენ. ყველას კარგად ვიცნობდი, ამიტომაც სიხარულით გავემგზავრე მათთან ერთად. არც სიძნელეები მაფიქრებდა, რადგან შუაფხოდან ხოშარამდე უკვე ნამყოფი ვიყავი. მაშინ არც საძილე ტომრები და კარები ნაგვილია. ხოშარაში „ვაჟა-ფშაველას კაბინეტის“ ლაბორანტის, დათო ნონკოლაურის, ნათესავებმა გვიმასპინძლეს: გოგონები ისეთ გაქათქათებულ და გახამებულ თეთრეულში ჩაგვანინეს, რომ ნამგზავრებს გვრცხვენოდა კიდევ. ფუმფულა მატყლის საბნებში გავეხვიეთ და ტკბილად გამოვიძინეთ. ხოშარადან უკანა ფშავის ბოლო სოფლამდეც არ მივსულვართ, მოვიწახულოთ ლაშარის ჯვრის სახატე და გამოვბრუნდით უკან. ამჯერად კი მთელი ხეობა უნდა გავვევლო და ბორბალომდე მიგვეღწია. მართლაც რომ უნიკალური ხეობა იყო. ღამე კარვებში გავათითეთ და აღრიანად გავუღექით გზას. მდინარეშიც შევტოპეთ და ბევრი აღმართ-დაღმართიც გავიარეთ. ბოლოს, გვარიანად დაქანცულები, პატარა ქედის თხემს მივადექით. თხემს სწორი ბილიკი მიუყვებოდა, ორივე მხრით მომაჯადოებელი პანორამა იშლებოდა. ემოციით დამუხტულს „მეორე სუნიქვა“ მომეძალა. გამწკრივებულ მივიდიოდით, თანამგზავრები თითქმის არ ჩანდნენ. ზურგჩანთიანი ისე მსუბუქად მივაბიჯებდი, როგორც არასდროს, არაფერზე ვფიქრობდი, ლურჯ, მოკრიალესულ ცას ავყურებდი და თითქოს საერთოდ ვერ ვგრძნობდი სხე-

ულს, თავს თითქოს ზესკნელის ნაწილად მივიჩნევდი. ეს იყო ნამდვილი ექსტაზი, ბუნებით მოგვრილი. სამწუხაროდ, „გლობალური ადამიანი“ კატასტროფულად შორდება ბუნებას და ბუნებრიობასაც ჰკარგავს.

არსობი

უმშვენიერეს, მაგრამ ხიფათიან მთას ბევრი უბედური შემთხვევა ახსოვს. ამაზე ტრაგიკულად დაღუპულთა სახელზე მათი ახლობლების მიერ საგანგებოდ ამოშენებული ანკარა წყაროებიც მეტყველებს. არხოტისთავამდე შედარებით გავგიოლდა სიარული, მით უმეტეს, რომ ალპური ზონა მოშორებით იყო და უღრანი ტყეები გვიცავდა მცხუნვარე მზისაგან. რასაკვირველია, ყველას ნაკითხული გვექონდა „სიკვდილი მთებში“, გურამ რჩეულიშვილის სახელიც ბევრჯერ დავგვხვდნენ. ხევესურებს იგი არ დაეინყებოდათ. არხოტის გზაზე უცხოელის დაღუპვა და, მეტადრე, მისი იქვე დაკრძალვა სრულიად მოულოდნელი რამ იყო. გამყოლს ვთხოვეთ, ეჩვენებინა გერმანელი კომუნისტი მწერლის, რომელმაც დიდხანს იცხოვრა რუსეთში და პირველი ცოლი რუსი ჰყავდა, ალფრედ კურელას მეორე ცოლის, ელზიდე (ელფრიდე) კურელას, საფლავი. ჩვეულებრივი, უსაფრთხო გზა იყო, იქვე ეყარა ქვის ლოდები, რომლისთვისაც სულ იოლად შეიძლებოდა გვერთის ავლა; მაგრამ გაუგებარი მიზეზით დამფრთხალმა ცხენმა მაინცდამაინც იქ ჩამოაგდო საწყალი ქალი (ოთხი შვილის დედა), სადაც ყველაზე ნამახული ლოდი ეგდო. ხევესურმა ის ლოდიც გვანახა და შემდეგ საფლავთანაც მიგვიყვანა. იქვე ფოტოც გვაქვს გადაღებული: ყველას სახე ჩამოგვეტრის... საფლავი მოვლილი და მიხედული დაგვხვდა. მართალი გითხრათ, უჩვეულო, აუხსნელი ძრწოლა დაგვეუფლა უკაცრიელ და უცხო მხარეში გერმანელი ქალის ეული განსასვენების გამო. დიდხანს გავყვავა ეს შეგრძნება — ბედისწერის გარდუფალობის განცდა. წინ კიდევ გრძელი, დამქანცველი გზა გველოდა. „გუმან აქც, გადაავლიონ არხოტის თავე მთიანი, გადაბერციონ ნალთა ქუჩი მთებისა ცვირანი“ — ცვირანისა რა მოგახსენოთ და, ალბათ მთიანი შუადლე იყო, არხოტისთავზე უეცრად რძესავით ნისლში რომ შევბიჯეთ. ექსპედიციაში თითქმის ყოველთვის ივლისში მივდიოდით, ერთხელაც არ მახსოვს, გავდრებულიყო; დილაუთენია არასოდეს გავსულვართ, შემდეგში კი ნისლი უკვე მთის მწვერვლებზე აკრეფილი გვხვდებოდა. ამიტომაც, თეთრ წყვილაში მყისიერმა მოხვედრამ, თავზარი დამცა, მით უმეტეს, რომ ვინრო ბილიკზე მივაბიჯებდით, რატომღაც ძალის დაძვინიანი გვხვდებოდა. ნისლიც უნდა გაგვეგრძელებინა ნისლიდან თავის დასაღწევად, სწრაფი სიარულის ნაცვლად, კატასავით ფრთხილად უნდა გვევლო. თანამგზავრებთანაც არავინ ჩანდა, თუმცა გამამხნეველები შეძახილები მესმოდა. კიდევ კარგი, გამოცდილი ნანი წერეთელი მომეგონა მხსნელად: ნაბიჯი შეანეულა, როცა მიუახლოვდი, მომგლიჯა თავსაფარი (იმ დღეს ციოდა) და ქურთუკიც წამსვე შემომამდღვნა. ცოტაოდენი შვევა ვიგრძენი, სუნთქვაც გამიიოლდა, ნისლიც შეთხელდა და სულ მალე მზით გაჩახჩახებულ უფსკრულის პირას გამავალ ბილიკზე აღმოვჩნდი ყველანი. მაშინლა გავაცნობიერეთ, რას გადავურჩით; ფერდობებზე აქა-იქ ზამთრიდან შემორჩენილი თოვლის შეთხელებული საფარველიც იყო. დაილოცოს ახალგაზრდობა, ხიფათი აღარც გავვხსენებია, ისე მხიარულად გავაგრძელებთ გზა. ახალა ჩავიხედე ქართულ ენციკლოპედიაში: არხოტისთავის — თუშეთ-ხევესურეთის კავკასიონზე მდებარე მწვერვალის სიმაღლე 3370 მეტრი ყოფილა! აქვე უნდა თქვა, რომ არხოტი ყველაზე რთულად მისადგომი აღმოჩნდა; მგონი, ახლაც ასეა. მთა არამარტო ვაჟა-ფშაველას სამყაროსთან — ამადლებულთან ზიარებაც იყო. ფსევდო-ლონგინეს თხზულებაში „ამადლებულისათვის“ (ბაჩანა ბრეგვაძის ბრწყინვალე თარგმანი) მთა — ბუნების სხვა

თვალნარმტაც მოვლენებთან ერთად — ამალღებულის თვალსაჩინოებად არის წარმოსახული. ჩვენთვის მთავრი მოგზაურობა და ზოგადად მთის სიყვარული — თავისუფლებისკენ სწრაფვის, ყოველდღიური ერთფეროვნებისაგან თავის დაღწევის, გაქცევის, „გავარდნის“ (გურამ რჩეულიშვილს თუ დავისესხები) სურვილიც უნდა ყოფილიყო.

მთავრი ნაკლებად იგრძნობოდა ტოტალიტარიზმის „ხიბლი“. ამის დასტურად არხოტში ყოფნის ერთ ამბავს მოვიხმობ, რომელსაც ვუძღებთ თითქმის უნდა ვუძღვდეთ. ახილვით დაბანაკებულებს, იქაურებისაგან ქართველურად პატივსაცემებას, მეორე დღეს ვუძღვრება სოფლისაგან კარგად დაშორებული ამლის სახატის ნახვა შეგვთავაზა. უფროსებს ვერ შევხვდეთ, ნაბახუსევმა ბიჭებმა იუარეს, მხოლოდ ნანი წერეთელსა და მე გაგვიჩნდა ამის სურვილი.

აქვე ვიტყვი, რომ ახალგაზრდებს შორის ჯუმბერი უპირობო ლიდერი იყო. ბიჭებიც დიდი სიყვარულით უთმობდნენ პირველობას. თუმცა ეს პირველობა უწინარესად იმით გამოიხატებოდა, რომ ყველაზე ძნელ და დიდ ტვირთს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) შეეჭიდებოდა, თავს არ იზოგავდა, გულიც ერჩოდა და ღონეც. ერთობ ქარიზმული ბატონი გრიგოლი მის ახალგაზრდულ გარემოცვას თავისებურ ხიბლსა და სხივს გვინილავდა. თითქოს არავინ ჰყავდა გამორჩეული, მაგრამ ეტყობოდა, გასაჭირში (ასეთი რამ კი ბევრჯერ ყოფილა), უწინარესად ჯუმბერის იმედი ჰქონდა.

არხოტის თემის სოფლებიდან მხოლოდ ახიელი იყო ხალხმრავალი, ამაღა თითქმის დაცარიელებულიყო. ჭიბლაში კი ერთადერთი ადამიანი სახლობდა.

სახატესაკენ მიმავლებს გზა ავეკვნა და ცივი და ღრმა (წელამდე) მდინარის პირას აღმოვჩნდით. ღონიერმა ჯუმბერმა ტომარასავით მომივლო ზურგზე და გაღმა გამიყვანა. ნანი, რომელიც ჩემგან განსხვავებით, ალპინიადებზეც იყო ნასყოფი, ითაკითა, მაგრამ სწრაფ დინებას ვერ შეუბდა და ჯუმბერმა ხელჩაჭიდებული გამოიყვანა. მცირე ხნის შემდეგ ამლის უკაცრიელ სახატესაც მივადექით, ჯიქურ დავადეთ თავი და შიგ შევედით. დავათვალთქვით შესანიშნავი — კობტად ჩამსკრივებული ვერცხლის ნაკეთობანი (რასაკვირველია, მათთვის ადგილიც კი არ შეგვიცვლია). სად იყო და სად არა, შუახნის არხოტიონი წამოგვადგა თავზე (ანკი როგორ დაგვინახა), სტუმარმასპინძლობის წესს არ უღალატა, თუმცა მანაც მკვახედ აგვიხსნა, რომ ქალების ადგილი იქ არ იყო (რაც ისედაც ვიცოდით). ჯუმბერი, მეგრული ზრდილობით და ჩვენი ექსპედიციის მიზნის გაცნობით (ვაჟა-ფშაველას სახელი „პაროლივით“ ჭრიდა თუმ-ფშა-ხევისურეთში), მალევე მოიგო მისი გული. სიხატესთან შორიახლო მყოფებს ხევისურმა თავადვე გამოგვიტანა კურდღლის შენაირი ვერცხლის თასი რუსული წარწერითურთ, ისიც დასძინა, რომ გერმანელი ახალ ცოლთან ერთად იყო ჩამოსული ელფრიდეს საფლავის მოსანახულებლად. მანვე გაგვინიშნა მეგზურობა (ყინულის ცივი მდინარე აღარ შეგვხვედრია) და უფაიერაოდ დავგვარდუნა უკან. ჯუმბერი და ხევისური საუბარ-საუბარში დანინაურდნენ, ნანი და მე მორჩილად და ჩუმად მივყევდით.

მოგვიანებით ჯუმბერმა სიცილით გაგვანდო: ასე მითხრა, შენ რა კარგი ბიჭი ყოფიხარ, რას დადიხარ ამ გოგოებთან ერთად, ესენი ალბათ კომკავშირლებიც კი იქნებიან!

მთათუბათი

1965 წლის ზაფხულში მთათუბათში ვიმოგზაურეთ. იმჯერად ჩვენი ექსპედიცია ხალხმრავალი იყო. ბატონ გრიგოლს თან მიუღწევდა ახლდა — შესანიშნავი ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძის ყოფილი მონაფე, უაღრესად განათლებული, საინტერესო და ექსცენტრიული პიროვნება — დარეჯან რამიშვილი. ექსპედიციაში, აგრეთვე, იყვნენ: რადიოსა და ტელევიზიის ლიტერატურული გადაცემების რედაქტორი ლამარა კიკილაშვილი, შემდეგში „ოქროს ფონდის“ მფორმირებელი და ჟურნალისტა „ოქროს ფრთის“ მფლობელი; აგრეთვე, ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის მევოლინი, მოგვიანებით, დიდად წარმატებული

ლი მწერალი და სცენარისტი ზაირა არსენიშვილი (მამინ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ერთადერთი ბრწყინვალე მოთხრობის „შაჰ-აბაზას“ ავტორი); ხელნაწერთა ინსტიტუტის, „ვაჟა-ფშაველას“ კაბინეტისა და უნივერსიტეტის თანამშრომლები და სხვები.

თელავში ზაირა არსენიშვილის სტუმრები ვიყავით. ნადიკვარის აღმართზე მდებარეობდა მისი პატარა, კობტა, ერთსართულიანი სახლი, რომლის დახვეწილმა და ინტელიგენტურმა სისადავემ მომხიბლა.

გვიანობამდე ვისხედით სახლის უკანა ეზოში. ზაირამ ვახშმად ტარხუნი შექმნა, რომელიც სოკო მოგვართვა, რამაც საყოველთაო აღტაცება გამოიწვია: ერთადერთი გამონაკლისი მე ვიყავი, რადგან ნატიფი სერვიზით მორთმეული ჩაითა და მურაბით დაკვამყოფილი (სოკოს რატომღაც ვერ გეახლებოდა).

სუფრის ალაგების შემდეგ მასპინძელმა სპირტიზმის სეანსის გამართვა შეგვთავაზა, რასაც სიამოვნებით დავთანხმდით.

ეგრეთ ნოდებული „თეფშის ტრიალი“ ჯერ კიდევ მეთავე კლასში მქონდა მოსინჯული, მთანმინდაზე, ნიაღვრის ქუჩაზე მცხოვრები ჩემი კლასელი მეგობრის სახლში. გოგონებს შორის ყველაზე „ურნმუნო თომა“ მე აღმოვჩნდი, მაგრამ როცა ჩემს გარდა ყველამ მოაშორა თითები თეფშს და ის კი მაინც მოძრაობდა და უცნობი შემოსწრებელი მეზობლის გვარიც დაინერა — რაღა მეთქმოდა. შემდეგ ზაირას მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით.

სიცილისა და ყვილ-ხივილის გამო თეფში ერთხანს „გაგვინანყებდა“, შუქიც ჩავეაქრეთ, სანთელიც ავანთეთ, მაგრამ სანამ არ გავისუსეთ, არაფერი გამოგვივიდა.

როდის-როდის თეფშიც დაიძრა — ვინ არ გამოვიძახებ, ნაპოლეონ ბონაპარტედან დაწყებული, სტალინით დამთავრებული. თვითნაკეთი ანბანით სრულიად უაზრო პასუხებს ვღებულობდით, მხოლოდ ბესარიონის ძემ გამოიჩინა თავი და, შეკითხვაზე, თუ როგორ მოვმზადებულიყავით მთათუბათში მოგზაურობისათვის, დავგარიგა, „თუშეთში ლელები ნაიღეთ“; ორთოგრაფიული შეცდომის (ლელები — ლეიბები) მიუხედავად, რჩევა გონიერული იყო: საძილე ტომრები მართლაც მიგვქონდა.

მეორე დღეს თელავიდან ომალოში გავფრინდით მორახრახე მვეთლმფრენით. ამ „პეპელაში“ პირველად ვიქეცი. მოსკოვსა თუ ლენინგრადში თვითმფრინავით მგზავრობისას სამინლად მტკიოდა ყურები — ბამბა და სანუნნი კანფეტები მშველოდა. ამიტომაც თადარიგი დავიჭირე და ყველამ ჩამოვურთგე ერთიც და მეორეც (ცოტა კი გამამახსრეს, მაგრამ უარზე არ დამდგარან — განსაკუთრებით კანფეტები ეამათ. როგორც შემდეგ მივხვდი, ყურებში ბამბის გაჩრა ასეთ დაბალ სიმაღლეზე სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა.

ჩემი გადაჭარბებული „თადარიგანობა“, როგორც ჩანს, უადგილო იყო, რადგან მტკრიან გზებზე ბევრჯერ გამოვთქვი სინანული ტანსაცმლის ჯაგრისის უქონლობის გამო. ეს ამბავი არ გამოჰპარვია ენაკვიმატ ლექსო ჭინჭარაულს: ჩემს დაბადების დღეზე, 20 ივლისს, პატარა, კობტა ჯაგრისი მაჩუქა (ნეტავი სად შეიძინა!) და კაფიაც მოაყვალა:

დაბადების დღეს მოგიძღვენი შავი ჯაგრისი, შენი ტუბასური შარვლის საკადრისი...

როცა 60-იანი წლების ფოტოებზე ჩვენს მოკრძალებულ ჩაცმულობას ახლანდელი მთის მოყვარული ცოგო-ბიჭების მოხერხებულ და მდიდრულ „ეკიპირებას“ ვადარებ (ფეისბუქის მეშვეობით), მეცინება: რაის „ტუბასური“ — პოლონური, იღბლად ნაშოვნი ჯინსი მეცვა!

ჯაგრისი არ გამოიყენებია, თბილისში დაბრუნებისთანავე ხის სახელურზე ლექსოს კაფია ამოვკანრე, რომ არ დამეჩივებოდა. ჯაგრისს კი დედა დიდხანს იყენებდა თავისი ძველმოდური ფეტრის თუ ხავერდის შლიაკების გასანმენდად.

ომალოში, იქაურების რჩევითა და დასტურით, ულამაზეს ხის სახლში დავბინავდით — მეპატრონენი სხვაცან ცხოვრობდნენ. პირველი სართული ფიქალისა იყო, მეორე კი ხისა — დიდი აივნით. იქვე, შემოულბოვებ უზოში წყაროს წყლის პატარა აუზიც ავეწებინათ.

საბედნიეროდ, ომალოს, შენაქოს, და, ზოგადად თუშეთის მშვენება სამარადუამ-

ოდ აღიბეჭდა დიდებული კინორეჟისორის გიორგი დანელიას „მძინოშო“.

თავდაპირველად ომალოდან შენაქოსა და დიკლოს მივამურეთ, ბევრი ხეე-ხევი, მდინარე და დაბურული წიწვნარიც გავინარი. ახალგაზრდებს რა გვიშავდა; ბატონი გრიგოლი, ჯოხზე დაყრდნობილი, მძიმედ მიიბიჯებდა, ბატონ სოლომონს დაღლისა არაფერი ეტყობოდა, ქალბატონი დარეჯანის გამო კი ხშირად გვიხდებოდა დასვენება. ისიც უნდა ითქვას, რომ მასში „ველური“ ბუნებით ტკობას ყოფილი დის-კომფორტით უქმყოფილება ვადასწონდა. ერთხელაც გურული „ბუნტი“ მოაწყო: ულანი წიწვნარის რბილი ნიადაგი მოსინჯა, იქვე, დემონსტრაციულად მიწაზე მოკალათდა და ფეხსაც აღარ მოვიცვლიო — განაცხადა. ეს მოხდა დიკლოსკენ მიმავალ გზაზე. ყველანი შევჩერდით, ცოტა არ იყოს, დავიბენით. ისევ ბატონმა გრიგოლმა „მინაურულად“ მოაგვარა საქმე და გზა გავნაგრძეთ. ქალბატონი დარეჯანი აღარ „აჯანყებულა“, მხოლოდ დროდადრო, ყველას გასაგონად, ფიცხად იმერებდა ფრანსას: „Как я ненавижу Дюкло!“

ზღაპრულ დიკლოში ჩასვლისა და კეთილად დაბინავების შემდეგ, კიდევ კარგი, „Дюкло!“ აღარ უხსენებია.

დიკლოში ერთმა ცისფერთავლება, მობედნილმა ქალმა ლემა, რასაკვირველია, უანგაროდ, თავისი დიდი სახლი შეგვთავაზა: მარტო ვარ, ქმარი საქონელშია წასული, ყველანი დავეტყვითო. მოგვიანებით, როცა ერთმანეთს გავუშინაურდით, მოულოდნელად გვითხრა: რომ იცოდეთ, ვისი ცოლი ვარ, იქნებ არც მოგინდეთ ჩემთან ყოფნაო — შეილები ჯერ არ გვყავს, ჩემი ქმარი კი ქისტია. გაგვეცინა და გულზეც მოგვეშვა: ქისტები ძალიან მოგვწონდა, მრავალი წელია, „ზიანისმოცემი“, „ქურდ-კანტალა ლილველების“ დრო წარსულს ჩაბარებოდა, რუსეთის მიერ ინსპირირებულ „წრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ შემზარავ ქმედებას აფხაზეთში კი თითქმის ოცი წელი გავშორებდა.

დიკლოს ციხე პირიქეთა თუშეთში შემორჩენილ ძველ ფორტიფიკაციულ ნაგებობათა ნამდვილი საოცრება აღმოჩნდა — კლდის ქარავზე ნამომართული მიწვალე ციხე-სიმაგრე. ჟამთაველას საკმაოდ დაეზიანებინა, საკმაოდ სახიფათოც გახლდათ, მაგრამ ამან ვერ შეგვაჩერა. მეცა ყუბანიშვილს, რომელიც ქურციკივით მიდიოდა შევედი აღმართზე, რაღაც შეუცნობელი მიში დაუფლდა, აღარ ისურვა ამოსვლა და ფრთხილად დაეშვა ძირს. ჩაჭიდებისას ზოგჯერ ხელში გვეფშვნებოდა გამოშვერილი ქვეები, მაგრამ კონგურებამდე მისვლის სურვილით ატაცებულმა ვერ დავძლიე „იქით“ ვადახედვის ცდუნება და დიდა გაჭირვებით, როგორღაც ბოლომდე ავფოვხდი.

ბევრი უღელტეხილი მინახავს იშვიათი, გონისნამგვრელი ხედით.

სიტყვამ მოიტანა: საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ჰოლივუდის დიდმა მსახიობმა ჯეინ ფონდამ, რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის შეკითხვაზე — ყველაზე უფრო რა მოგეწონა საბჭოთა კავშირში — განაცხადა: ვადასახედი ჯვრის უღელტეხილიდან და ქართული სამზარეულო. „პერესტროიკა“ ის-ის იყო ინყებოდა, ჯეინ ფონდას და მის იმჟამინდელ ქმარს, მედიამაგნატ ტედ ტერნერს ზურაბ ნერეთელი მასპინძლობდა.

მაღალი კლდის კბოდეზე აშენებული დიკლოს ციხის ქონგურებიდან დანახული უზარმაზარი პირამპული უფსკრული და სადაცაც, სულ ქვემოთ, მწვანეში ჩაფლულ ტაფობში მდებარე ქისტების სოფლები თითქოსდა სათამაშო სახლებით — რაღაც უცნაური, განუმეორებელი მშვენებით და მაგნეტიზმით იყო აღჭურვილი. სანახაობის ამბივალენტურობა (ამალღებული — ძრწოლისსომგვრელი) თითქოს თავისკენ მიწვევდა და უფსკრულისკენაც მიბიძგებდა. მივხვდი, რომ ცოტაც და ამ ზღაპრულ სამყაროში სიამოვნებით ვადავეშვებოდი. კიდევ კარგი, რომ იმწამსვე „ჩამერთო“ ვადარჩენის ინსტინქტი და ნელ-ნელა, სულ ცოცვით დავიხიე უკან. სამშვიდობოს ჩასულიც დიდხანს ვიყავი გონებამღვრეული და აფორიაქებული.

იამბუ, ელიზბარაო, რა ამავე მოხდა ჰელოსა

მოგვიანებით, დართლოში დაბანაკებულიებმა, ცხენების თითქმის ნახევარდღი-

ანი და მოუთმენელი ლოდინის შემდეგ, დინჯმა თუშებმა როგორც იქნა, ჩამორეკეს ისინი საძოვრებიდან და გამყოლის თანხლებით გავემურეთ ჰელოსაკენ.

დართლოს თემსაბჭოს თუ კოლმეურნეობის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, წარმოსადგემა, ბრგე ვაჟკაცმა ვახტომ (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს), რომელმაც სანაქებოდ გვიმასპინძლა, პატივისცემის ნიშნად, თავისი ჩინებული, ბაჯალლო ოქროსფერი ცხენი (ასეთი უზარმაზარი ცხენი მთავი არასოდეს მინახავს) „მძიმენონიან“ ბატონ გრიგოლს დაუთმო.

გავიარეთ სოფლები და ნასახლარები — ფარსმა, გირევი, ჭეშო... გულს გვიკლავდა ნასოფლარებისა თუ ნასახლარების სიმრავლე იმ ხეობაში. ზოგიერთ სოფელში სულ ორიოდე კომლი თუ სახლობდა. განსაკუთრებულად მწარედ დამამახსოვრდა ფიქალისაგან ნაშენი ულამაზესი სახლი, რომელიც ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ ზუსტად შუაში გარღვეულიყო; განიერი ღრიჭოდან ავეჯი და ხელუხლებელი საოჯახო ნივთებიც კი მოჩანდა. მათ შორის თვალი მოგვტაცა მდიდრული ორნამენტებით შემკულმა ხის სკამ-მოგინმა, რომელიც ნებისმიერ ეთნოგრაფიულ მუზეუმს დამსვენებდა. როგორც ჩანს, ამ სახლის ყოფილ ბინადართა ბედიც არ იყო შესაშური.

რამდენჯერმე არცთუ წყალუხვ მდინარეზე მოგვიხდა ცხენით გადასვლა, ალბათ — თუშეთის ალაზნის შენაკადებზე. უკვე მოახლოებული ვიყავით ჰელოსთან, როცა ყველაზე ღრმა, ხმაურიან, სწრაფ მდინარეს მივადექით. ვიცოდით, რომ წყალს არ უნდა ჩავშტურებოდით — ბავშვობაში ექიმბეთის ბენვის ხიდზე გადასვლისას დამარიგეს მშობლებმა, მაგრამ ახლა, მრავალი წლის შემდეგ, თამამად მივუშვი ცხენი, რომელსაც წყალი მუცლამდე სწვდებოდა. შუამდე ვიყავი მისული, რომ წყალმა თვალი მომტაცა, ირგვლივ თითქოს ყველაფერი დატრიალდა; დამეუფლა თითქოს მსგავრძეობა, რომ წყალში ვვარდებოდი. შიშით ატანილმა ისეთი ცივი ხმით შევეკვილე, რომ საკუთარი ხმა ვერ ვიცანი. კიდევ კარგი, რომ თვინიერ ჯაგლაზე ვიყავი ამხედრებული, თორემ ფიცხი ცხენი უთუოდ დაფრთხებოდა, საუკეთესო შემთხვევაში, წყალში ტყაპანს ვერ ავცდებოდი. უკვე გაღმა გასულმა ლექსო ჭინჭარაულმა, ოქროკაცმა, რომელიც ხშირად მიტარებდა მთაში ქცევის „მასტერკლასს“, მყისიერად აუღო ალლო ჩემს მდგომარეობას და ნამშვიდ ხმამალა დამწყვილა — „თვალე დახეე, თვალე დახეე...“ გონებით კი არა, ინსტინქტურად დავემორჩილე, მაგრად დავხუჭე თვალები და ბედს მივხედე. ჩემმა ფლეგმატურმა ცხენმა აუჩქარებლად და უვნებლად გამიყვანა გაღმა.

ჰელოს სავალალო მდგომარეობით ხიბლგაფანტული დავრჩით, ციხისაგან თითქმის მხოლოდ ნანგრევები დარჩენილიყო.

თუშურმა „ბედაურმა“ ამკარად პატივი მცა. უფრო ადრე, როცა ომალოდან დართლოსაკენ მივემართებოდით, იმჯერად ბატონ სოლომონ ხუციშვილს არ გაუმართლა: საცალფეხო ვინრო ბლიკზე მისმა ბებრეკმა „ტაიჭმა“ არად ჩააგლო მსუბუქი და გამხდარი მხედარი, ტაატიო მიმავალმა უეცრად ჩაიშუხლა და, მგონი, ჩაიძინა კიდევ! ერთმანეთს მხარს ვერ აუუქცევდით, მთელი ჩვენი გამწკრივებული „კავალკადა“ შეჩერდა. გამყოლმა მწარედ ანანა ცხენს უდროოდ დროს ჩაიძინება, კარგად გაჯოხა და ისე ნამოაგოდ ფეხზე.

ბატონი სოლიკო გულწრფელად ნუხდა — რა სირცხვილი მაჭამა ჩემმა ცხენმაო, ჩვენ კი სიცილისაგან ვიგუდებოდით.

კოპალას ქვასთან

გრიგოლ კიკნაძის ცხოვრების ნირი, პედაგოგიურ-სამეცნიერო ღვაწლი და პიროვნული ღირსებანი პირმწინდად აქარწყლებდა ოდიოზურ „მაქსიმას“ შეუცვლელი ადამიანების არარსებობის თაობაზე. იგი სწორედ რომ „შეუცვლელ ადამიანთა“ დიდებულ კოპორტას მიეკუთვნებოდა. ეს განსაკუთრებული სიმძაფრით გაცხადდა ბატონი გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ. მძიმე ცხოვრებისა და უკურნებელი ავადობის გამო მოხუცს ჰგავდა, არადა მხოლოდ 65 წლისა იყო, როცა გარდაიცვალა — 1974 წლის 16 აპრილს.





# ვაჟა-ფშაველას ნაკვალევზე თუშ-ფშავ-საქსურეთში

დასასრული

მისი ყველა თაობის მეგობართათვის (მათ რიცხვს უკვე ჩემი სტუდენტებიც განეკუთვნებოდნენ) ეს უდიდესი დანაკარგი გახლდათ.

იმავე წლის ზაფხულში გადამწყდა, ცხვარი შეგვეწირა ბატონი გრიგოლის სულის საოხად კოპალას ქვასთან.

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილიდან: „კოპალას შესმენია, რომ ფშავი დევებისაგან დიდად შეწუხებული და შევიწროებულიაო, ამდგარა და წამოსულა ხალხის მოსაშველელად. დევების უმთავრესი სადღერი და სიმამრე ციხე-გორს (ადგილია) ყოფილა. კოპალა დევებთან სტუმრად მისულა, როგორც გზადაკარგული მონადირე, და ღამე დევებთან უთევია. მეორე დღეს დევებს დაუნყიათ თავისი ჩვეულებრივი ვარჯიშობა — ქვის სროლა. კოპალასაც უთხოვეს, რომ მიეცათ დევებს ნება, გამოეცადა თავისი თავი. დევებს მასხრად აუგდიათ, მაგრამ, როცა კოპალას გაუსროლია ქვა და დევების საფალავნო მიჯნისთვის გაუცილებია ბევრით შორს, დევებს თავს ხარი დასცემიათ. კოპალას მიუყვია ხელი, გაუშლეთა დევები და იმართი ციხე-დარბაზი თითონ დაუჭერია, იმათგან დავლად დარჩენია ქვა. დღეს ის ქვა არაგვის პირასაა, იქ, სადაც კოპალას სალოცავია და ჰქვია — კოპალის ქვა („კოპალა და იახსარი — დევების მებრძოლი“).

ადგილის შერჩევა ფშავის არაგვის წაღამში კოპალას ქვასთან სიმბოლური იყო, იგივე ითქმის თარიღზეც, რაც ლაშარის ჯვრის დღეობას დაემთხვა.

ცხვარიც დაიკლა, ჩაქაფულიც გაკეთდა, ახალგაზრდა ლექტორი, ჩინებული მკვლევარი გრიგორ ფარულავა მოგვეცლინა „შეფ-მზარეულად“, დანარჩენები იქვე წყაროსთან ვსაქმიანობდით მწვანისლის გასარეცხად და დასაჭრელად. თბილისიდან ჩატანილი გვექონდა პურ-ღვინო და სხვა საწვავი. იქვე, მინდორზე, გავშალეთ სუფრა.

ბატონი გრიგოლის ოჯახი საამაყო ვაჟით, არქიტექტორ რამაზ კიკნაძითა და მისი მეუღლით იყო წარმოდგენილი. უნივერსიტეტიდან უფროსების — ცნობილი მეცნიერებისა და მთარგმნელების, დიდად საპატივცემულო პიროვნებების, ნიკო ყიასაშვილის, ნოდარ კაკაბაძისა და შურა (ალექსანდრე) გვახარიათ გარდა, „ვაჟა-ფშაველას კაბინეტისა“ და ექსპედიციათა უცვლელი წევრები ჭარბობდნენ. სამწუხაროდ, ბევრმა ვერ მოახერხა წამოსვლა, შუა ზაფხული იყო და თბილისიც დაცარიელებული.

უაღრესად გულთბილ და შთამბეჭდავ სადღეგრძელოებში ბევრი საგულისხმო რამ ითქვა ბატონი გრიგოლის თაობაზე, შეუცვლელ მაცნობზე, რომელიც სულიერ ფასეულობებს მუდამ მატერიალურზე მაღლა აყენებდა.

გრიგოლ კიკნაძის გარდაცვალებიდან თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, თუმცა მისი გამოკვლევები ვაჟა-ფშაველაზე დღემდე რჩება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ავანგარდში.

გაგზა ალუდაურის ფოტოები

მარტივად წერა რთულია და, საერთოდ, სრულყოფილი მხატვრული ტექსტის შექმნა რთულიც და, ამავდროულად, საინტერესოც. ესაა ჭიდილი ორ სამყაროს — ხილულსა და უხილავს — შორის. გემოვნებისა და უგემოვნობის დაპირისპირებაა. მსგავსი და განსხვავებული ინსტინქტების თანხვედრა და დაშორებობაც... ერთი სიტყვით, პოეზიის მსახურება ეგრეთ ნოდებულ სარისკო საქმეთა ჩამონათვალში შედის (ხუმრობით, რა თქმა უნდა) და როგორც თავი შუკაკიძე გვიმხელს — დიდი პასუხისმგებლობაა.

რაზე უნდა აგოს ადამიანი პასუხი იქ, სადაც ამ სიტყვის მნიშვნელობა მეტწილად სადღეგრძელოებსა და მილოცვებსღა შემორჩენია?!

სადაც ასე ადვილია: „პასუხისმგებლობის გადაჩეჩება. პასუხისმგებლობის გადაჩეჩება. პასუხისმგებლობა — მიიჩრე. პასუხისმგებლობა — ჰაიტ! პასუხისმგებლობა — ერთი. პასუხისმგებლობა — ორი. პასუხისმგებლობა — სამი. გაყიდულია. შესყიდულია. მიყიდულია.“

ახალი თაობის პოეტიკა თავი შუკაკიძე: საკუთარ თავში ჩაღრმავების, ძიების, ეჭვებზე გამარჯვების მცდელობის დაუოკებელ სურვილს აყოლილი და უპასუხო კითხვებს ვერ გაქცეული, ვერ გამკლავებული პოეტი და როცა ეს კითხვები ფაზლივით მიეწყობიან ერთმანეთს, ამჟღავნებენ კიდევ ლირიკოსის სულში ანრიალებულ შიშებს:

„რა ღირს პოეტი? რა ჯდება პოეზია? რამდენი იხდით ერთ პოეტში? როგორია პოეზიის კურსი? რამდენია პოეზიის საერთო წილი ეროვნულ ბანკში?“

ეს მოსვენებადაკარგული და ღამის ისტერიკაში გადაზრდილი კითხვები ბრაზის ცრემლებით დანოტივებული მიამიტობაა, რომელიც რიტორიკულ მდუმარებას ენიჭება. არავინ ზემოთ თქმულის ახსნას არ აპირებს. ნაკლზე დაფიქრება არავის სურს — ეს სამყარო ხომ უნაკლოთა და სრულქმნილთა საცხოვრისია!

ტრაგიზმის გამძაფრებული აღქმა ღრმად ჩაბუდეული თვალში, „რომელთაც დაკარგეს ვარსკვლავები“. სინათლეში, „რომელმაც მთელი ქალაქი დაფარა, მაგრამ არაფრისმოძვემია“. ამიტომაც, აპათია, დიდი მონდომების შედეგად აღწევს კიდევ მიზანს:

„ჩვენი ოცნებები მინის ქვეშ კარტოფილებივით მარხია და ფრთებს ვერასდროს შეისხამენ“. არადა, ისიც ცხადია, რომ: „დედა ყველაზე ოპტიმისტი ადამიანია, ის ხშირად მღერის ძველ, სევდიან სიმღე-



## „დადაჩაი ეროვნული გმირია“

რებს დაკარგულ სიყვარულსა და სამშობლოზე.

იმავე სიმღერებს დედამდე ბაბუა მღეროდა — მეგრული ფოლკლორის უზადოდ მცოდნე და მოტრფიალე, ცხრა შვილის მამა. ვისაც ამ ფოლკლორთან შეხება ჰქონია, იცის, რომ ამ სიმღერებში საკუთარი თავის მონატრებაცაა და მისი ხელახლა პოვნის სურვილიც, მითუმეტეს მამინ, როცა ადამიანებით გადაძედილ სამყაროში მარტოდმარტო ეპაექრები ბედისწერას:

„გამახსენდა ბაბუაჩემი, რომელიც მეურნეობიდან დაღლილი ბრუნდებოდა და გზადაგზა ლიდინებდა და მივხვდი, რომ ის ყველაზე მარტოსული კაცი იყო მათ შორის, ვისი ხმაც ოდესმე მსმენია“.

მამათა თაობის „ნამღერს“ სიტყვა-სიტყვით იმეორებენ შვილები... მათი შვილები...

და თუკი მუსიკის ჰანგები სასიამოვნოდ ეხება ყურთასმენას, სიტყვებში ჩაბუდეული სპლინი ფერუცვლელია და დროს არ ექვემდებარება. ეს შეხება არ ჰგავს დემონის ფრთების ნაზად შეხებას ისე, როგორც ეს ტიციაანთანაა. არც ვარსკვლავების შუბლით შეგრძნებაა წვიმიანი სიტყვების დათვლის შემდეგ. სულში მომხდარს გარეგნობა ნაკლებად, ან საერთოდ ვერ გამოხატავს.

თავი შუკაკიძის პოეზია ნახევრად ღია დღეებიდან ნახევრად დახურულ იდუმალეზამდე ფიქრებად, ნუთიერ მდუმარებად, შემადრწუნებელი სიცილისა თუ ნგრევის ხმის ექოდ მიღწეული პოეზიაა, რომელსაც მკითხველი ხან უახლოვდება, ხანაც შორდება და ასე დაუსრულებლად — მოძრაობს.

ბის ფარდობითობა აქტუალურობას არ კარგავს.

სილარიბე ბრმა რომ არ იყოს, ამდენი მავედრებელი მზერის ასხლეტას ვერ მოახერხებდა, მაგრამ თავის ღრმა რწმენით „სილარიბეს უნდა ჩახედო პირდაპირ თვალებში,

ისე, როგორც უყურებ ბავშვობის ფოტოებს“.

რომ სილარიბე „ძალიან დაკვირვებული და გამოცდილია“, თუმცა არა მიხვედრილი.

„ნიანგის კანზე გაჩენილი ხორკლებით ჩასაფრებული“ დღეები დღეებს მისდევენ.

პოეზიაც დროის გასვლასთან ერთად უსასრულოდ მრავალფეროვნდება:

ზოგისთვის „ლექსის წერის მიზეზი მშვენიერების შეცნობის მისტიურ გზაზე სიარულია“ (დითი რონენი), ზოგისთვის კი, „ბარბაროსული საქციელია — აუშვიცის შემდეგ“ (თეოდორ ადორნო).

და ამ ოქსიმორონულ რეალობაში, პოეტის იდეალი — დედა, ის ერთადერთი ეროვნული გმირია:

„რომელსაც სახელმწიფო თვეში 45 ლარს უხდის განუელი შრომისა და სიცოცხლის გადარჩენისთვის“.

თუმცა ისიც ცხადია, რომ არა ამდენი წინააღმდეგობა, დაცემა-წამოდგომის მონაცვლეობა — არც ეს შესანიშნავი პოეზია იარსებებდა, რომლის ერთგული და გემოვნებიანი მკითხველი დიდი ინტერესით მოელის თავი შუკაკიძის, ნიჭიერი და უდავოდ გამორჩეული ხმის მქონე შემოქმედის პოეტურ კრებულს.

და ეს კრებული იქნება სარკე ყველა სათვის — მამხილებელიცა და წყლულზე სალბუნიც. გააჩნია, ვინ რას დაინახავს მის სიღრმეებში.



ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურის, საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო  
საქართველოს მინისტრის სახლი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზაძე  
ქურნალისტი თამარ ჟურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com  
ISSN 2346-7940  
9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4